ლენა კილაძე

ამერიკული არქიტექტურის პარადიგმები



გამოიცა ამერიკის
საელჩოს ხელშეწყობით

ამერიკული არქიტექტურის პარადიგმები
ლენა კილაძე

რედაქტორი
დალი გვენცაძე

კორექტორი
ქეთი ჯაყელი

დიზაინი და დაკაბადონება
გეგა პაქსაშვილი

დაიბეჭდა შპს „სეზანში"
CEZANNE
PRINTING HOUSE


თბილისი 2014

©ლენა კილაძე
ყველა საავტორო უფლება დაცულია

ISBN-978-9941-0-6968-0

სარჩევი

წინათქმა	8
შესავალი	12
რიჩარდ მაიერი	16
სტივენ ჰოლი	36
პიტერ აიზენმანი	58
დილერ სკორფიდიო + რენფრო	78
ფრენკ ოუენ გერი	90
„მორფოზისი“	108
ბრიჯიტ შიმი და ჰოვარდ სატკლიფი	126
თოდ უილიამსი და ბილი ჩენი	138
ჯონ პატკაუ, პატრიცია პატკაუ	160
სტენლი საიტოვიცი	172
ეპილოგის ნაცვლად. მარკ უიგლი	184
პოსტ სკრიპტუმი	190
ფოტო კრედიტები	193
დამატებითი საკითხავი ლიტერატურა	194




ვოცნებობ სასწაულმოქმედი ენერგიით
სავსე სივრცეებზე...

სივრცეებზე, რომლებიც აღმოცენდება
და ვითარდება ბუნებრივად – დასაწყისის
და დასასრულის გარეშე...

...დიადი შენობა უნდა დაიწყოს
განუზომლიდან, გეგმარების პროცესში
განზომილებადი უნდა გახდეს და ბოლოს
ისევ განუზომელს დაუბრუნდეს...

ლუის კანი



წინათქმა

არსებობს თუ არა არქიტექტურა შენობებს მიღმა და თუ არსებობს, როგორია?... დღეს რეალურ არქიტექტურას მონუმენტები ჩაენაცვლა... არქიტექტურამ თავისი მნიშვნელობა და შინაარსი დაკარგა; დაკარგა მისწრაფება შექმნას უკეთესი სამყარო. არის თუ არა შესაძლებელი, რომ არქიტექტურის საშუალებით უკეთესი სამყარო შევქმნათ – სამყარო ღია შესაძლებლობებით, ნათელი გონებით, სამყარო ყოველდღიურობის მიღმა? მე მჯერა, რომ ეს შესაძლებელია. მჯერა, რომ უკეთესი სამყაროს შესაქმნელად სწორედ შენობებს უნდა გავცდეთ...

აარონ ბეტსკი

თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში პარადოქსია: როგორ გავხდეთ თანამედროვე და, ამავე დროს, დავუბრუნდეთ საწყისს, როგორ შევინარჩუნოთ უძველესი ცივილიზაცია და ადგილი დავიმკვიდროთ თანამედროვე სამყაროში.

პოლ რიკორი

თბილისში დავიბადე და გავიზარდე, პატარა სახლში, ალექსანდრეს ბაღში რომ იდგა და დღეს მრავალსართულიანი კორპუსი რომ ჩაენაცვლა. ჩემი სახლიდან ჯერ პატარა ეზოში ვხვდებოდი, მერე – ბაღში წითელი ქვიშით, ვარდებითა და კვიპაროსის ხეებით. 80-იან წლებში, პირველი ე.წ. რეკონსტრუქციისას, ასწლოვანი ხეები გაჩეხეს, სანაცვლოდ კი, რკინის ხეები დადგეს. ქალაქზე მზრუნველობის ახალი ტალღის შედეგად, რამდენიმე წლის წინ დარჩენილი ტერიტორია ქვებით მოაპირკეთეს, უამრავი ლამპიონი და სკამი დადგეს და ოტო სიმონსონის პროექტით შექმნილი ლანდშაფტური არქიტექტურის უნიკალური ძეგლი თანამედროვე ქართული კიჩის ნიმუშად აქციეს.


ბაღიდან ჯორჯიაშვილის ქუჩით რუსთაველის გამზირზე ვხვდებოდი: ყველაფერი რუსთაველის ირგვლივ ტრიალებდა: ჩემი სკოლა, „ლაღიძის წყლები“, სანაყინე, კინო, თეატრი, ოპერა, „პიონერთა სასახლე“...

მოგვიანებით, არქიტექტურის ფაკულტეტზე სწავლისას, გავაანალიზე ამ ტიპური „თბილისური სტრუქტურის“ მნიშვნელობა – მოძრაობა, გზა ჩემი, პერსონალური სივრციდან, ქალაქის, საზოგადო სივრცისაკენ. ნელ-ნელა ქალქის საზღვრები გაიზარდა... სოლოლაკი, კალა, პლეხანოვი, ვერა... მერე საბურთალოზე გადმოვედით... ქალაქიც იზრდებოდა და იცვლებოდა (როგორც ცოცხალი ორგანიზმი)... და ნელ-ნელა უფრო აქტიურად იჭრებოდა ჩემს ცხოვრებაში.

...დასავლეთის ქარმა მიაგდო იგი აღმოსავლეთისაკენ, თუ აღმოსავლეთის ქარმა დასავლეთისაკენ – ტფილისმა არ იცის. იცის მხოლოდ: შეყენებულა იგი ერთ ალაგას. წინ გაუწევს – რაღაც უკან აეკიდება და აჩერებს. ბრუნდება უკან – რაღაც წინ მიათრევს და აყენებს. ათასი ქარი ეხეთქება: თითქოს ქვეყნის გზა ჯვარედინია. აღმოსავლეთს მოსცილდა და დასავლეთს ვერ მიაღწია: შუაზე გარჩა... ტფილისი გოგირდის აბანოთი იწყება და გოგირდის აბანოთი თავდება... პატარა სახლები და ვიწრო ქუჩები. ერთ ყელში შესაძლოა ერთი აივნიდან მეორე აივანზე გადახტომა. აქაიქ: ყავახანა. ინით შეღებილი წვერები. აქნილი ფრჩხილები – ესეც ინით შეღებილი. ხელში კრიალოსანი: ქარვის თუ გიშერის. მუსაიფი: ნელი და ჩუმი. სიტყვა ქართული. ბაითი სპარსული. ხმა „ყარაჩოხელის“... ტფილისში სახლში არაეინ ბრუნდება. აქ ყველგან: შენი „სახლია“... ტფილისში ხეტიალს რა სჯობს?!
გრიგოლ რობაქიძე

ფრანკ ლოიდ რაიტი. რობი პაუსი





ნიუ იორკი. სოჰო



არის თუ არა შესაძლებელი დღეს, ამ გლობალურ სამყაროში, არქიტექტურის რაობის განსაზღვრა? XXI საუკუნეში სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკა თუ კულტურა ისეა ურ- თიერთდამოკიდებული, როგორც არასდროს. ციფრულმა ტექნოლოგიებმა მანძილისა და დროის აღქმა შეცვალა, მათი კავშირი კი საგრძნობლად გაამყარა. ამ ფონზე რეგიონალური თუ ეროვნული იდენტიფიკაციის პრობლემები უფრო აქტუალური გახდა.

და მაინც, როგორი უნდა იყოს თანამედროვე ქართული არქიტექტურის სამეტყველო ენა?

90-იან წლებში ქართული არქიტექტურა უამრავი პრობლემის წინაშე დადგა. სრულიად დაკარგა მნიშვნელობა დღევანდელობის ისეთმა არსებითმა პრობლემებმა, როგორებიცაა კულტურული იდენტობის ძიება არქიტექტურაში, რეგიონალიზმის პრინციპები, ისტორიულ-კულტურული კონტექსტი, „ადგილის მეხსიერება“, კავშირი ბუნებრივ თუ ურბანულ გარემოსთან. დასავლური არქიტექტურა, რომელიც წლების განმავლობაში აკრძალულ ხილად მიიჩნეოდა, გაუაზრებელი კოპირების საგნად იქცა, შუშა და ცათამბჯენი კი – თანამედროვეობის სინონიმად. შედეგად, უსახური ახალშენები, ურბანულ ჯუნგლებად ქცეული თბილისი და საქართველოს ავთენტურობადაკარგული ისტორიული ქალაქები მივიღეთ.

და მაინც, როგორი უნდა იყოს თანამედროვე ქართული არქიტექტურის სამეტყველო ენა? როგორ უნდა შეინარჩუნოს ქართულმა არქიტექტურამ XXI საუკუნეში ეროვნული, ტრადიციული და, ამავე დროს, იყოს თანამედროვე?..

ამ შეკითხვებზე მზა პასუხები ალბათ არ არსებობს. არქიტექტურა ითხოვს ცვლილებებს. ქალაქები იზრდება, ვითარდება და იცვლება და ამ ცვალებადობას ახალი, დროის შესატყვისი არქიტექტურული გადაწყვეტები უნდა მოჰყვეს... ფიქრი თანამედროვე არქიტექტურის სამეტყველო ენაზე კი ალბათ უტოპიური ოცნებით, იდეების, კონცეფციების გენერირებით, და რა თქმა უნდა, მსოფლიო გამოცდილების გაზიარებით უნდა დაიწყოს.

წიგნი ამერიკულ გამოცდილებას გვაცნობს.

როდესაც ჩემი გემი ნაპირთან გაჩერდა, მე დავინახე ნისლიდან ამოზრდილი მითიური ქალაქი – ახალი სამყაროს სიმბოლო.

ლე კორბუზიე. ამერიკული დღიურები


„ამერიკული არქიტექტურის პარადიგმები" არ არის ამერიკული არქიტექტურის ანთოლოგია. აქ არც ჩიკაგოს სკოლაა ნახსენები, არც ლუის სალივანი, არც ფრენკ ლოიდ რაიტი, არც ლუის კანი, მის ვან დე როე თუ ფილიპ ჯონსონი... და არც სხვა მრავალი, თუმცა ისინი აქ უხილავად თანაარსებობენ.

ფიცჯერალდისეული „ამერიკული ოცნება" – უტოპიური ოცნება უკეთეს მომავალზე, უკიდეგანო მწვანე მდელოების, „სანუკვარი მიწის" აღმოსაჩენად რომ უბიძგებდა და დღესაც უბიძგებს მოგზაურებსა თუ ხელოვანებს, სხვადასხვა კონფესიის მისიონერებს, მეცნიერებსა თუ ავანტურისტებს – ამ წიგნის ინსპირაციის მთავარი წყარო გახდა. ოცნება, რომლითაც გამსჭვალულია ამერიკული ყოფა და კულტურა, უტოპია, რომელსაც, ჟანრის საზღვრების თანახმად ანტიუტოპია და ორუელისეული დისტოპიაც თან სდევს.

და მაინც, ამერიკული ოცნება თუ პრაგმატული რეალიზმი?.. „არქიტექტურული პარადიგმები" იხატებიან რა წყალზე (სტივენ ჰოლი), იდეალების, ოცნებებისა თუ ეფემერული პირველხატების სამყაროდან წამოიმართებიან პრაგმატულ რეალობაში (ამერიკულ ოცნებასავით), რომელშიც თითოეული დეტალი ნაფიქრი, გათვლილი, მკაცრად რაციონალური და ტექტონიკურად გამართლებულია.

წიგნში წარმოდგენილი მასალა შერჩევითია – XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე და ჩრდილო-ამერიკული არქიტექტურის სამი სხვადასხვა სკოლის ათი არქიტექტურული ოფისის შემოქმედებას აერთიანებს. დღეისათვის, ვფიქრობ, სწორედ ისინი ქმნიან იმ განსხვავებულ არქიტექტურას, რომელიც გარემოსთან, კულტურულ და ისტორიულ კონტექსტთან ფაქიზი დამოკიდებულებით გამოირჩევა, ამავე დროს, საკმაოდ თამამი და ინოვაციურია.

აღმოსავლეთ სანაპიროდან წიგნში შესულია ამერიკული მოდერნის ლიდერი რიჩარდ მაიერი, განმანათლებელი და დეკონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი პიტერ აიზენმანი, დღევანდელობის ერთ-ერთი ყველაზე პოეტური არქიტექტორი სტივენ ჰოლი, ტექსტურული არქიტექტურის ოსტატები თოდ უილიამსი და ბილი ჩენი და ხელოვნებასა და კულტურასთან ინტეგრირებით ცნობილი მრავალფუნქციური სტუდიო დილერ სკოფიდიო + რენფრო.





დასავლეთ სანაპიროდან – კალიფორნიაში მოღვაწე სტენლი საიტოვიცი, პოსტ-სტრუქტურული იმპრესიონისტი ფრენკ გერი, ინტერდისციპლინარული სტუდია „მორფოზისი“.

უკიდურესი ჩრდილოეთიდან, კანადიდან (რომელიც, ბოლო კვლევების თანახმად, ამერიკული არქიტექტურის ნაწილად მოიაზრება) – ვანკუვერში მოღვაწე ჯონ და პატრიცია პატკაუები, აგრეთვე ჰოვარდ სატკლიფი და ბრიჯიტ შიმი ტორონტოდან.

არჩევანი, ჩემივე სუბიექტურ დამოკიდებულებასთან ერთად, განაპირობა ხსენებულ ხუროთმოძღვართა ნაშრომებში საერთო ტექტონიკური ღირებულებების არსებობამ: კონტექსტმა ლანდშაფტთან, მკაფიო სტრუქტურამ, პოეტურობამ, აქცენტმა სამშენებლო მასალაზე, თითქმის ხელოსნობამდე დაყვანილმა ოსტატობამ, სივრცისა და სინათლის ჰარმონიამ.

საპირისპიროდ, დღეს სულ უფრო მეტად იზრდება მოთხოვნა ისეტ არქიტექტურაზე, რომელშიც ნაკლები ყურადღება ეთმობა კონტექსტს და შენობის სტრუქტურულ გამართულობას – „Architecture of Spectacle“.

განსხვავებით, წარმოდგენილი ავტორები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ თავიანთი ნამუშევრების გარემოში თითქმის ნიუანსურ დონეზე ინტეგრაციას. არაჩვეულებრივი ოსტატობა და სინათლის მუდმივი არტიკულაცია კი არის ერთმანეთთან დაკავშირებული ის ორი ასპექტი, რომლებიც ყველა აქ მოყვანილ ნამუშევარში გარკვეული ოდენობით გვხვდება. გამონაკლისი მხოლოდ ფრენკ გერია, რომელიც სწორედ რომ დანარჩენებისაგან განსხვავებულობის ნიშნით შევარჩიე.



ჩიკაგოს სკოლის ნიმუშები

წიგნში ამ ხუროთმოძღვრებისათვის მიძღვნილი ათი თავია, რომლებშიც მათი კრედო, ფილოსოფია, მოკლე ბიოგრაფია, ძირითადი პროექტები და მიღწევებია შეტანილი. ყოველ თავს დეტალურად განხილული რამდენიმე პროექტიც ახლავს. თავები, მიუხედავად მსგავსი სტრუქტურისა, განსხვავებულია, რაც არქიტექტორთა შორის განსხვავებით არის გამოწვეული. მაგალითად, სტივენ ჰოლის, რიჩარდ მაიერის ან ფრენკ გერისადმი მიძღვნილი თავები დიდია, (შეიძლება ითქვას, უფრო პოეტურიც) – სტენლი საიტოვიცის ან, თუნდაც პატკაუს შესახებ თავებისაგან განსხვავებით. ვფიქრობ, მკითხველიც ცხადად დაინახავს, რომ ზოგიერთი მათგანი მეტს საუბრობს, ზოგიც თავშეკავებულია. წიგნის მასალას იელის (2005-2006) და კოლუმბიის (2008-2012) არქიტექტურის სკოლებში ჩატარებული კვლევა დაედო საფუძვლად. საილუსტრაციო ფოტომასალა საავტოროა.

წიგნში შეტანილია ინტერვიუები რიჩარდ მაიერთან, სტივენ ჰოლთან, ფრენკ გერისთან, პიტერ აიზენმანთან, სკოტ ლისთან, ბილი ჩენთან, კენეტ ფრემპტონთან და მარკ უიგლისთან.

„ამერიკული არქიტექტურის პარადიგმები“, ძირითადად, სტუდენტებისა და ახალგაზრდა არქიტექტორებისთვის ჩავიფიქრე, რომლებიც, ჩემი აზრით, ჯერაც მოწყვეტილი არიან თანამედროვე არქიტექტურის კრიტიკულ დისკურსს. ამასთან, იმედს ვიტოვებ, რომ წიგნი დააინტერესებს ყველა თაობის არქიტექტორს, ხელოვნების ისტორიკოსს, კულტუროლოგს და მათ, ვისაც არქიტექტურა უყვარს.

RICHARD MEIER



რიჩარდ მაიერი

...და ისევ თეთრი

რიჩარდ მაიერი დაიბადა 1934 წელს ქალაქ ნიუ არკში. 1957 წელს მიიღო არქიტექტურის ბაკალავრის ხარისხი – კორნელის უნივერსიტეტში. დამოუკიდებელი პრაქტიკის დაწყებამდე (1959 – 1963) მუშაობდა მსოფლიოში უდიდეს ამერიკულ არქიტექტურულ და საინჟინრო კომპანიაში SOM;[1] თანამშრომლობდა მოდერნიზმის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელთან, უნგრული წარმოშობის ამერიკელ არქიტექტორ მარსელ ბროიერთან.[2]


1963 წელს მაიერმა დააარსა საკუთარი კომპანია – **Richard Meier & Partners Architect**, რომელიც ახორციელებს პროექტებს ამერიკაში, ჩინეთში, ისრაელსა და ევროპაში. კომპანიას, რომლის ოფისები მდებარეობს ნიუ იორკსა და ლოს ანჯელესში, მას საყოველთაო აღიარება მოუტანა „თეთრმა ვილებმა“ და გეტის ცენტრმა (კალიფორნია, ლოს ანჯელესი). მაიერი ტალანტის, თავდადების, პროფესიონალური ხედვის დემონსტრირებისა და გარემოსა და კაცობრიობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებულია პრიცკერის პრიზით,[3] რომელიც არქიტექტურაში ნობელის პრემიის ტოლფასია.

---

1. **SOM (სკიდმორ ოუინგს & მერილ)** – 1936 წ. დაარსეს ლუის სკიდმორმა, ნათანიელ ოუინგსმა და ჯონ ო. მერილმა. SOM ცნობილია ცათამბჯენებით: John Hancock Tower –1969, Sears Tower –1973, Burj Khalifa/Burj Dubai -2010.

2. **მარსელ ბროიერი** (1902-1981) – არქიტექტორი და ავეჯის დიზაინერი. სწაელობდა და ასწაელიდა ბაუჰაუსში. 1930-იან წლებში გადავიდა ამერიკაში.

3. **პრიცკერის პრიზი** – დააარსეს ჯეი პრიცკერმა და მისმა მეუღლემ, სინ-





გეტის ცენტრი, ინტერიერი

სტილი ცისარტყელასავითაა. ეს არის აღქმის ფენომენი, რომელსაც გარკვეული ფიზიკური პირობების დამთხვევა განაპირობებს. ცისარტყელას დანახვა სულ ცოტა ხნით შეიძლება, მზიან დარსა და წვიმას შორის პაუზის დროს. მიახლოებისას კი უჩინარდება.

ჯორჯ კუბლერი

მე მწამს არქიტექტურის. იგი ხელოვნების დედაა. მჯერა, რომ არქიტექტურა აწმყოს – წარსულთან, მატერიალურს კი არამატერიალურთან აკავშირებს.

რიჩარდ მაიერი



სკამი. დიზაინერი რიჩარდ მაიერი

რიჩარდ მაიერი – რაციონალიზმისა და დახვეწილი პოეტურობის სიმბოლო – ნიუ იორკის დიდი ხუთეულის *(The New York Five)*[1] წევრია; მისი შემოქმედება ლე კორბუზიეს იდეებიდან იღებს სათავეს. (ეს იდეები, გავრცობილი და გაღრმავებული, თავის არქიტექტურაში – საცხოვრებელ სახლებსა თუ საზოგადოებრივ შენობებში გადაიტანა); მაიერი XX საუკუნის კლასიკოსია; თეთრი მისი სავიზიტო ბარათია.

მისი შენობები, უპირველეს ყოვლისა, ესთეტიკური განცდა, სისავსისა და სიცარიელის, შუქისა და ტექსტურის ძიება, სტრუქტურის თხზულებაა. პროპორციისა და გეომეტრიის ფუნდამენტური საფუძვლებით აგებული მისი ყოველი შენობა ვიზუალურად მომაჯადოებელი და უაღრესად ჰარმონიულია; შთაგონების წყაროს სამშენებლო ადგილია; სახელმძღვანელო პრინციპებია: ადგილის, კონტექსტის განცდა და სინათლის, როგორც სამშენებლო მასალის, გამოყენება, დიალოგი შენობასა და გარემოს შორის. ბუნებრივი სინათლე – ისეთივე სამშენებლო მასალა, როგორიც ბეტონი ან ქვა – სივრცისთვის ფორმის მიცემის საშუალებაა; ბუნებრივი სინათლე შეგვაგრძნობინებს დროს და ინტერიერში რთავს ცას. მისი ბოლო პერიოდის ნამუშევრები გამოირჩევა გარემოსა და მისი რესურსების მიმართ პასუხისმგებლობით, ახალი „მწვანე ტექნოლოგიების“ აქტიური გამოყენებით და მდგრადობით.

რიჩარდ მაიერის ოფისი




1. New York Five – ნიუ იორკის ხუთეული – ნიუ იორკელი არქიტექტორები (პიტერ აიზენმანი, ჩარლზ გუოთმი, ჯონ პეჯდუკი, რიჩარდ მაიერი და მაიკლ გრეივზი), რომლებსაც 1970-იან წლებში იელის უნივერსიტეტის „ნაცრისფრების“ (ბობ სტერნი, ჩარლზ მური და სხვები) საპირისპიროდ, „თეთრებს“ უწოდებდნენ. მათ ლე კორბუზიეს და მოდერნიზმის იდეების მიმდევრებად მიიჩნევდნენ. მომდევნო წლებში ხუთივე არქიტექტორმა საკუთარი სტილი და იდეოლოგია შეიმუშავა.

ჩემთვის თეთრი ყველაზე ლამაზი ფერია იმიტომ, რომ მასში ცისარტყელას ყველა ფერი შეიძლება დაინახო. ის არასდროს არის, უბრალოდ, თეთრი, მასში ყოველთვის არის სინათლე.

სითეთრე საშუალებას იძლევა, უფრო ადვილად აღიქვა განსხვავება გამჭვირვალეს, ნახევრად გამჭვირვალესა და გაუმჭვირვალეს შორის. თეთრი ფერი ძირითადი არქიტექტურული ელემენტების აღქმას აძლიერებს. მე მაჯადოებს შუქ-ჩრდილების ის სამყარო, რომელიც კონკრეტულ ფერსა თუ მასალასთან არ ასოცირდება. სითეთრე ქმნის ნეიტრალურ ზედაპირს, რომელზეც სივრცე იგება; აძლიერებს სივრცის ორგანიზებისა და მოწესრიგების პრინციპების აღქმას; შუქ-ჩრდილების თამაში ყველაზე ექსპანსიური გამოხატვის საშუალებას იძლევა. ის არქიტექტურას შუქით ავსებს – შუქი დომინირებს, შუქი ყველგანაა და არქიტექტურას მისი წმინდა სახით განგაცდევინებს.

მჯერა, რომ არქიტექტურას აქვს შთაგონების, სულიერი ამაღლების, გონებისა და სხეულის მასაზრდოებელი ძალა და უნარი. არქიტექტურა ჩემთვის ხელოვნების დარგებს შორის ყველაზე სახალხო ხელოვნებაა".[1]


1. Richard Meier. Richard Meier Architect 1966-1984, NY, 1985, გვ. 311





კლაბ-ჰაუსი, შენჟენი, ჩინეთი





ინტერვიუ რიჩარდ მეიერთან

ადგილი: ნიუ იორკი, მე-10 ავენიუ /475 Tenth Avenue, 6th floor/, Richard Meier & Partners Architects-ის ოფისი – თეთრი და მკაცრად რაციონალური.
დრო: 10 მაისი, 2012 წელი.
თანამედროვე არქიტექტურის 78 წლის ლეგენდა მუხლის ოპერაციის მერე ჯოხით დადის, გადაადგილება უჭირს, მაგრამ მაინც სულ იღიმის. ეს ჩვენი მესამე შეხვედრაა. რიჩარდი 2006 წელს იელის არქიტექტურის სკოლაში გავიცანი, პირველი ინტერვიუ 2010 წელს ჩავწერე, ახლა საუბარში მის ფილოსოფიას, მიმდინარე პროექტებსა და თანამედროვე არქიტექტურის სხვადასხვა ასპექტს ვეხებით.

ლ.კ. თქვენი კრედო არქიტექტურაში დღესაც იგივეა?

რ.მ. ვფიქრობ, Richard Meier & Partners-ის კრედო, ძირითადად, იგივეა. თუმცა, გარკვეული ცვლილებებიც მოხდა, განსაკუთრებით, ბოლო 25 წლის განმავლობაში. დღეს არქიტექტურაში უმნიშვნელოვანესი საკითხია მდგრადობა. არ შეიძლება, უბრალოდ, აშენო იმისთვის, რომ შენობა იყოს გამართული. დედამიწის ნებისმიერ კუთხეში ის უნდა იყოს მდგრადი და ეკონომიური. დღეს არქიტექტურის ვერც შეფასებას და ვერც აღქმას ვერ შეადარებ 25 წლის წინანდელს. ადამიანები დღეს ბევრს მოგზაურობენ, ეცნობიან როგორც უძველესი არქიტექტურის ნიმუშებს, ისე თანამედროვე ნაგებობებს. აქედან გამომდინარე, დღევანდელი საზოგადოება უფრო განათლებული და ინფორმირებულია. ეს მეტად პოზიტიური ფაქტორია.

ლ.კ. შეიძლება ითქვას, რომ „სახლი" და „მუზეუმი" ისევ თქვენი საყვარელი თემებია?

რ.მ. დღეს სახლებს აღარ ვაშენებ. გამონაკლისია ვილები ბოდრუმსა და ინგლისში. არა აქვს მნიშვნელობა, სახლს აშენებ თუ დიდ საზოგადოებრივ დაწესებულებას, ორივეს ერთნაირად დიდი დრო სჭირდება. დღეს უფრო დიდ პროექტებზე ვმუშაობთ. მუზეუმი საზოგადოებრივი ნაგებობა, სოციალური ურთიერთობის ადგილია. მას, სანახაობრივის გარდა, სხვადასხვა დანიშნულებაც აქვს. ეს ასპექტები არქიტექტორს „განსხვავებული სივრცეების" შექმნის საშუალებას აძლევს

ლ.კ. თქვენი პროექტების მასშტაბი გაიზარდა? ცათამბჯენებისკენ იხრებით?

რ.მ. მე ცათამბჯენებს... არ ვაშენებ, თუმცა, რამდენიმე შედარებით მაღალი შენობა ავაგეთ: Harumi 2Chome და Vitrum კოშკები, Coffe plaza.

ლ.კ. და ისევ თეთრი?

რ.მ. ეს ის შეკითხვაა, რომელსაც ყველაზე ხშირად მისვამენ სტუდენტები: რატომ თეთრი? და მე ყოველთვის მაოცებს ეს შეკითხვა. ჩემთვის თეთრი ყველა ფერს აერთიანებს. მას ყველაზე უფრო ეფექტურად შეუძლია სხვა ფერების რეფლექსირება: მწვანე ბალახისა, ლურჯი ცისა, შემოდგომის ფოთლებისა. თეთრი ყველა ფერის ერთობლიობაა. თუ ავირჩევთ მხოლოდ ერთ ფერს, ის იქნება სტატიკური, თეთრი კი ნაგებობაში მთელ სპექტრს საკუთარი თავის მანიფესტირების საშუალებას აძლევს.

ლ.კ. რა არის თქვენი შთაგონების წყარო?

რ.მ. ვათვალიერებ არქიტექტურულ ჟურნალებს, ვაკვირდები მიმდინარე პროცესებს, მაგრამ ინსპირაციის ძირითადი წყაროა ბუნება, ადგილი, კონტექსტი.

ლ.კ. რით იწყება პროექტზე მუშაობის პროცესი?

რ.მ. პირველ რიგში, ვცდილობთ გავიაზროთ პროექტის ამოცანა, პრობლემის არსი, დავინახოთ, რას მივიღებთ შედეგად, შეიქმნება თუ არა საზოგადოებისთვის უკეთესი გარემო. ეს ერთ-ერთი მთავარი ასპექტია სივრცესთან, სინათლესა და მასალასთან ერთად.

ლ.კ. ოფისის დათვალიერებისას პატარა სამაკეტე სახელოსნო შევნიშნე. მაკეტები თქვენთვის მნიშვნელოვანია?

რ.მ. პროექტირებას ხშირად სწორედ მაკეტით ვიწყებთ. ჯერ ვაკეთებთ სამი დუიმის ზომის მოდელებს, შემდეგ – უფრო დიდებს... პატარა ხის მოდელებს აქ, სახელოსნოში ვამზადებთ. სასწავლო-სამუშაო მოდელებს პრეზენტაციისთვის ვიყენებთ. ეს ყველაფერი პროექტის სწორად და კარგად გააზრებაში გვეხმარება. ლონგ აილენდზე

კლაბ-ჰაუსი, შენჟენი, ჩინეთი





კლაბ-პაუსი, შენჟენი, ჩინეთი

გვაქვს მოდელების მთელი „მუზეუმი“, რომელშიც ყველა დიდი მოდელია თავმოყრილი. ეს „მუზეუმი“ კვირაში ერთი დღე ღიაა დამთვალიერებლისათვის.

ლ.კ. თანამედროვე ტექნოლოგიები, კომპიუტერი?..


რ.მ. კომპიუტერმა საგრძნობლად შეცვალა არქიტექტურა, სტილი, ხარისხი. იგი, როგორც სამუშაო იარაღი, პროექტში ცვლილებების სწრაფად შეტანის საშუალებაა. ადრე ყველაფერს ხელით ვაკეთებდით. მაგალითად, გეტის ცენტრზე მუშაობისას ყველა ნახაზი ფანქრითა და ტუშით იყო შესრულებული და მასში ცვლილების შეტანა ადვილი არ იყო. გეტის მუზეუმი კომპიუტერზე რომ შეგვესრულებინა, არ გვექნებოდა ის ათასობით ნახაზი და ვერ მივიღებდით ერთგვარ „ხელნაკეთ“ „პროექტს. დღეს ასეთი „ხელნაკეთი“ პროექტები აღარ მზადდება. კომპიუტერი დამხმარე იარაღია და ხელს ისევე, როგორც აზროვნების უნარს, ვერ ცვლის.

ლ.კ. როდის ხვდებით, რომ ძიება დასრულდა – რომ ეს საბოლოო ვერსიაა?

რ.მ. როცა შენობა აშენდება. სინამდვილეში, როცა კონსტრუირება იწყება. ამ დროისთვის პროექტირება, ნახაზები, საოფისე საქმე დამთავრებულია, თუმცა, ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია...

ლ.კ. გარკვეული პერიოდის მერე თქვენს ნამუშევარზე გითქვამთ:
ამას დღეს სხვანაირად გავაკეთებდი?

რ.მ. არა, არასოდეს ვუბრუნდები პროექტს. ყოველ შემთხვევაში, არ მახსოვს. არ ვფიქრობ, რომ შევცვლიდი... პირიქით, მიმაჩნია, რომ ასეთი უნდა გაკეთებულიყო. მომავალში კიდევ იქნება სხვა პროექტები.




გეტის ცენტრი

ლ.კ. გამორჩეული პროექტი თუ გაქვთ?

რ.მ. ფავორიტი ყოველთვის მომდევნოა.

ლ.კ. როგორ ჩამოაყალიბებდით თანამედროვე არქიტექტურის განმარტებას? და, ამავე დროს, რას იტყოდით თანამედროვე ამერიკულ არქიტექტურაზე?

რ.მ ...კარგია, რომ დღეს აღარავინ ახსენებს პოსტმოდერნიზმს. დარწმუნებული ვარ, არც ევროპაში, არც რუსეთში და არც თქვენთან... მე მოდერნიზმის ეპოქას ვეკუთვნი. ვფიქრობ, მოდერნიზმი იდეებია და არა – პრესტიჟი ან გარეგნული სტილი. ეს ადგილის (სივრცის) შექმნაა. შეიძლება ითქვას, ჩვენ ისევ მოდერნიზმის პერიოდში ვართ იმდენად, რამდენადაც ისევ გვაინტერესებს საგნების შექმნის ისტორია, წარმომავლობა, ხარისხი. ეს ძიების მუდმივი პროცესია. უკვე 50 წელია არქიტექტორი ვარ და ვხედავ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში – სამხრეთ ამერიკაში, აზიაში, აფრიკაში, ევროპაში – დღესაც იქმნება შთამბეჭდავი, ექსტრაორდინარული ნაგებობები. ახალგაზრდა არქიტექტორები მშვენიერ თანამედროვე არქიტექტურას ქმნიან. თუმცა ჩემი ოფისის ფანჯრიდან რომ ვიყურები, კარგი არქიტექტურული ნაგებობების სიმწირეს ვხედავ. აი, ამ საცხოვრებელ შენობას (ოფისის წინ მშენებარე კორპუსზე მიმანიშნებს – ლ.კ.) არქიტექტურასაც ვერ უწოდებ. შენობა, თავისთავად, არ არის არქიტექტურა. არ ვიცი, რა არის ამის მიზეზი. პროფესიონალი არქიტექტორის კონსულტაცია ძვირი სიამოვნებაა. ზოგიერთი დეველოპერი პროექტს არქიტექტორის



გარეშე ასრულებს. ერთი სიტყვით, ჭეშმარიტად არქიტექტურული ნაგებობა ცოტაა.

ლ.კ. თქვენ ბევრი პროექტი განგიხორციელებიათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში... შეიძლება თუ არა დღეს, გლობალიზაციის პირობებში, ვისაუბროთ რეგიონულ არქიტექტურაზე?

რ.მ. მე ვმუშაობ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. ჩვენი არქიტექტურული პროექტები განსხვავებულია.რასაც გერმანიაში ვაკეთებთ, განსხვავდება იმისაგან, რასაც ვაკეთებთ ესპანეთში, იტალიასა თუ საფრანგეთში... შემოქმედების დროს ვითვალისწინებთ ქვეყნის ტრადიციას, კულტურულ მემკვიდრეობას, კონტექსტს, ადგილს. ასე რომ, ჩვენ ისევ შეგვიძლია ვისაუბროთ ეროვნულ არქიტექტურაზე.

ლ.კ. არქიტექტურაში უტოპიის, ოცნების გჯერათ?


რ.მ. მე ოპტიმისტი ვარ. არ ვიცი, ვარ თუ არა უტოპისტი, მაგრამ ოპტიმისტი ნამდვილად ვარ.


საუბრის ბოლოს შევთანხმდით, რომ რიჩარდ მაიერის ოფისი აუცილებლად გვესტუმრებოდა თბილისში. 2013 წლის მარტში რიჩარდის პარტნიორი ბერნჰარდ კარპფი პროექტ „ამერიკული არქიტექტურის პარადიგმების“ ფარგლებში ლექციებითა და მასტერკლასებით მართლაც ჩამოვიდა თბილისში.

გეტის ცენტრი, ლოს ანჯელესი, 1997

გეტის ცენტრი, მუზეუმის გარდა, მოიცავს კვლევით ცენტრს (მიზანი – სახვითი ხელოვნების შესახებ ცოდნის გაღრმავება), ბიბლიოთეკას (900.000 წიგნით) და გეტის კონსერვაციის ინსტიტუტს (კვლევა, განათლება, ტრენინგები, ფილანთროპიული პროგრამები, ხელოვნების და არქიტექტურის კონსერვაციის პროექტები). მუდმივი კოლექცია მოიცავს XX საუკუნის ევროპული მხატვრობის, მანუსკრიპტების, სკულპტურის და დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებს, აგრეთვე, XIX-XX სს. ამერიკულ და ევროპულ ფოტოგრაფიას.

ცენტრი ცნობილია თავისი არქიტექტურით, ბაღით და რიჩარდ მაიერისეული თეთრი ფერის დომინირებით. სამშენებლო მასალად გამოყენებულია ბეტონი, ტრავერტინის ქვა და ლითონი. ოსტატურადაა გამოყენებული რელიეფი. შენობა განთავსებულია ორ ბორცვზე, რომლებიც ერთმანეთთან 22,5 გრადუსიან კუთხეს ქმნის. მთელ კომპლექსს აერთიანებს საფეხმავლო გადასასვლელები და პანდუსები. ტერიტორიაზე რამდენიმე შადრევანია. შენობას 7-სართულიანი მიწისქვეშა გარაჟი აქვს (გათვლილი 1.200 მანქანაზე). აქედან დამთვალიერებლები კომპლექსთან ელექტრომატარებლით ხვდებიან. ცენტრალური ბაღი მხატვარ-დიზაინერის რობერტ ირვინის სკულპტურული ნამუშევარია.








სახლები პერის და ჩარლზის ქუჩაზე, ხედი სანაპიროდან

საცხოვრებელი სახლები პერის და ჩარლზის ქუჩებზე, ნიუ იორკი

პერის ქ. 173-176, 1999-2002

საცხოვრებელი სახლი პერის ქუჩაზე რიჩარდ მაიერის პირველი კონსტრუქციაა მანჰეტენზე. ორი 15-სართულიანი კოშკი გრინვიჩ ვილიჯში გადაჰყურებს მდინარე ჰადსონს. კოშკების მინიმალისტური შუშის დიზაინი საინტერესოდ ერწყმის ნიუ იორკის ხედს და ერთგვარ სიმსუბუქეს სძენს მას. შენობის ფასადი დაფარულია ჰიდროსაიზოლაციო ლამინირებული მინით და თეთრი ლითონის პანელებით. თითო სართულზე თითო ბინაა განთავსებული (1800 კვ. ფუტი), საიდანაც მანჰეტენის პანორამა იშლება მდინარესა და ნიუ ჯერსიზე. ჰადსონის განახლებული სანაპიროს და Battery Park-ის სიახლოვე, გამწვანებითა და სარეკრეაციო (სასეირნო, საველოსიპედო თუ სავარჯიშო) სივრცეებით, მობინადრეებისათვის ამ საცხოვრებელს კიდევ უფრო მიმზიდველად აქცევს.



სახლი პერის ქუჩაზე – ფრაგმენტი

ჩარლზის ქ. 165, 2003-2006

ეს საცხოვრებელი კოშკი დიზაინით, გადაწყვეტით პერის ქუჩის სახლების ერთგვარი გაგრძელებაა. პირველი ორი კოშკისგან განსხვავებით, შენობა შუა ღერძით ორად იყოფა და თითო სართულზე გვაძლევს 2-ოთახიან ბინას. არქიტექტურული გეგმარება (განსხვავებით პერის ქუჩის თავისუფალი სტუდიური სივრცისაგან) მთლიანად რიჩარდ მაიერს ეკუთვნის.




თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ბარსელონა

ბარსელონას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი (MOCA), 1987-1995


მუზეუმი გამორჩეულია მაიერისეული სისადავით, გეომეტრიული ფორმებითა და ტრადიციული თეთრი ფერით. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბარსელონას გოთური უბნის რეკონსტრუქციაში.





კლაბ-ჰაუსი, შენჟენი, ჩინეთი





ეკლესია – *Jubilee Church*, რომი, იტალია



პროექტები

- ატენეუმი – The Atheneum – ახალი ჰარმონია, ინდიანა, 1975-1979
- ბიბლიოთეკის ოთახი – Aye Simon Reading Room, გუგენჰაიმის მუზეუმი, ნიუ იორკი, 1978
- ხელოვნების მუზეუმი – High Museum of Art, ატლანტა, 1983
- გროტას რეზიდენცია, გრინ ვილიჯი, ნიუ ჯერსი, 1984-1989
- გეტის ცენტრი, ლოს ანჯელესი, 1984-1997
- Canal+ -ის სათავო ოფისი, პარიზი, 1992
- ეკლესია – Jubilee Church – რომი, იტალია, 1996-2003
- არპის მუზეუმი – Remagen-Rolandseck, გერმანია, 2002-2007
- ბურდას მუზეუმი, ბადენ-ბადენი, გერმანია, 2004
- ხელოვნების მუზეუმი – UCLA/Broad Art Center, ლოს ანჯელესი, 2006
- Coffe Plaza, ჰამბურგი, გერმანია, 2010
- ოფისის კოშკი – Mitikah office tower, მეხიკო, მექსიკა, 2011
- Harumi 2Chome, იაპონია , 2009
- საცხოვრებელი სახლები პერის ქუჩაზე, ნიუ იორკი, 1999-2002
- OCT Shenzhen Clubhouse, ჩინეთი, 2008-2012
- თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ბარსელონა, ესპანეთი, 1995
- იელის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის და ხელოვნების ბიბლიოთეკის შენობა, 2001
- ლილუმის კოშკი, პოლონეთის კონკურსი, 2007
- როტშილდის კოშკი, თელ ავივი, ისრაელი, 2007
- კონდომინიუმი ჯესოლო ლიდო, ჯესოლო, იტალია, 2007-2012
- საცხოვრებელი სახლი ლუქსემბურგში, 2007-2012
- City Green Court, პრაღა, ჩეხეთი, 2010-2012
- საცხოვრებელი სახლები ბოდრუმში, თურქეთი, 2007
- სასამართლოს შენობები, ფენიქსსა და სან დიეგოში, 2011
- იტალცემენტის – Italcement – ლაბორატორია, ბერგამო, იტალია, 2005-2012
- ვილა და სასტუმრო ტიანჯინში, ჩინეთი, 2012
- Engel & Volkers-ის შტაბ-ბინა, ჰამბურგი, გერმანია, 2012
- Vitrum კოშკი, ბოგოტა, კოლუმბია, 2013


გეტის ცენტრი


გეტის ცენტრი

ჯილდოები და პრემიები

- პრიცკერის პრემია – Pritzker Prize,[1] 1984
- ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის – AIA – ოქროს მედალი, 1997
- იაპონიის მთავრობის ჯილდო წვლილისათვის ხელოვნებაში – the Praemium Imperiale, 1997
- საპატიო ჯილდოს მფლობელი AIA/NY 1980 და ოქროს მედალი AIA/LA 1998
- AIA-ს 30 ეროვნული ჯილდო და AIA-ს 50 რეგიონალური დიზაინის ჯილდო
- ბრიტანელ არქიტექტორთა სამეფო ინსტიტუტის – RIBA – სამეფო ოქროს მედალი, 1992
- საფრანგეთის მთავრობის ჯილდო – Commander of Arts and Letters 2008
- ოქროს მედალი რომში ამერიკის მწერლობისა და ხელოვნების აკადემიისაგან 2008
- საერთაშორისო პრემია – Dedalo Minosse International Prize, წლის საუკეთესო ნაგებობისათვის: პროექტი ჯესოლო ლიდოს კონდომინიუმი, 2012
- Architizer-ის ჯილდო წვლილისათვის არქიტექტურაში, 2013
- რიჩარდი მაიერი არის კუპერ ჰიუტის მუზეუმის სამეურვეო საბჭოს წევრი
- Design Futures Council-ის უფროსი მკვლევარი. ნეაპოლის უნივერსიტეტმა, ნიუ ჯერსის ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა, სოციალური კვლევის ახალმა სკოლამ და პრატის ინსტიტუტმა მას საპატიო ხარისხი მიანიჭა.



ატენეუმი, ახალი პარმონია, ინდიანა, აშშ



11 სექტემბრის მემორიალის საკონკურსო პროექტი




დე მოინის არტ ცენტრი, აიოვა, აშშ



საცხოვრებელი კოშკების პროექტი, პარუმი, იაპონია


STEVEN HOLL




სტივენ ჰოლი

შავი გედის თეორია – ჩანაწერები წყალზე

სტივენ ჰოლი დაიბადა 1947 წელს ვაშინგტონში. დაამთავრა ვაშინგტონის უნივერსიტეტი. 1970 წელს არქიტექტურის შესწავლა განაგრძო რომში. 1976 წლიდან ლონდონის არქიტექტორთა ასოციაციის წევრია. ნიუ იორკში დააფუძნა კომპანია Steven Holl Architects. კომპანიას დღეს ორი ოფისი აქვს – ნიუ იორკსა და პეკინში. სტივენ ჰოლი კოლუმბიის უნივერსიტეტის არქიტექტურის, დაგეგმარებისა და პრეზერვაციის სკოლის მუდმივი პროფესორია. ინტენსიურად ატარებს ლექციებს, აწყობს გამოფენებს, ხატავს და აქვეყნებს თეორიულ ნაშრომებს, მათ შორისაა: Anchoring (1989), Parallax (2000), იდეა და მოვლენები (2002), სიკაშკაშე/ფორიანობა (2006), სახლი: შავი გედის თეორია (2007), Architecture Spoken (2007), Urbanisms (2009)





ჰიგინს ჰოლი, პრატის ინსტიტუტი, ჩანახატი, 1997

ჩვენი ფიქრები ჩვენი გრძნობების აჩრდილებია /ფრიდრიხ ნიცშე

აზრი, ყველაფრის მიუხედავად, უხილავია /არტურ დანტო

არქიტექტურის გამოუთქმელი ძალა შთაგვაგონებს და ცვლის ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ხარისხს /სტივენ ჰოლი, სიტყვა AIA-ს ოქროს მედლის გადაცემის ცერემონიაზე, 2012.

„მე შევიგრძნობ სინათლეს, როგორც ყოველივე არსებულის სანყისს"[1] – ჰოლის შემოქმედებაში კანის ეს სიტყვები უცნაური სიზუსტით განხორციელდა. ძნელია დღეს ამერიკულ არქიტექტურაში იპოვო ადამიანი, რომელიც ამდენ დროს უთმობს შენობის კონცეფციის, სივრცის ფილოსოფიის შემუშავებას; რომლისთვისაც სინათლეს, „სიცარიელეს", კანისეულ სიჩუმეს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს. ჰოლის საოცარი სიფაქიზით, წყლის საღებავებით შექმნილი რომანტიკული ჩანახატები – კულტურულ თუ ისტორიულ კონტექსტთან ინტეგრირებული უნიკალური კონცეპტუალური დიზაინი – თითქოს წყალზე იხატება.


1. Lois Kahn, Essential texts, გვ. 229



პიგინს ჰოლი პრატის ინსტიტუტი – რეალიზაცია, ღამის ხედი, 2005

„მუსიკის, სკულპტურის, მხატვრობის, კინოსა და ლიტერატურისგან განსხვავებით, არქიტექტურა გადაჯაჭვულია ადგილთან. ადგილი კონცეფციის უმთავრესი ინგრედიენტი, მისი ფიზიკური და მეტაფიზიკური საფუძველია“,[1] – წერდა სტივენ ჰოლი თავის წიგნში წლების წინ და ეს აზრი მისი შემოქმედების მთავარ პოსტულატად იქცა. 1980-იან წლებში ჰოლმა საოცრად ლიბერალური მანერით მოახდინა „ამერიკული სახლის“ ინტერპრეტაცია. მან განახორციელა კულტურული, სამოქალაქო, აკადემიური და საცხოვრებელი პროექტები, როგორც აშშ-ში, ისე მთელ მსოფლიოში. დღეს განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გრანდიოზული პროექტები ჩინეთში, სადაც აშკარაა XX საუკუნის დასაწყისის რუსული ავანგრადის – კონსტრუქტივიზმისა და სუპრემატიზმის – გავლენა.

1. *ს. ჰოლი, Anchoring, კ. ფრემპტონი. გვერდი* 188



პიგინს პოლი, პრატის ინსტიტუტი – ჭრილი

დიზაინის ფილოსოფია
ხუთი აქსიომა: წესი და გამონაკლისი


1. ადგილი: არქიტექტურა გარემოსთან მჭიდრო კავშირშია; ადგილი არქიტექტურის ფიზიკური და მეტაფიზიკური საფუძველია.


2. სტრუქტურა: თუ სტრუქტურა, როგორც წესი, შენობის ხარჯების 25%-ია, ის მისი მნიშვნელობის ინტეგრალური ნაწილი უნდა იყოს.

3. სივრცითი ენერგია: აღქმა სივრცეში სხეულების ურთიერთგადამფარავი პერსპექტივით ყალიბდება.

4. სინათლე: სინათლე უდრის ცნობიერებას. სივრცე სინათლის გარეშე მივიწყებულია.


5. შეგრძნების სამყარო: პროცესში მონაწილეობს მატერიალური და ფსიქოლოგიური განზომილებები.





ნელსონ ატკინსის მუზეუმი, კონცეფტუალური ჩანახატები





ინტერვიუ სტივენ ჰოლთან

ადგილი: ნიუ იორკი, ვესტ საიდი, 31-ე ქუჩა / 450 West 31 st./Steven Holl Architects-ის ოფისი, სტივენის კაბინეტი – წიგნები და აკვარელის ჩანახატების ალბომების მთელი წყება...

დრო: 12 აპრილი, 2012 წელი.

სტივენი: ტრადიციულად შავ ტანსაცმელში გამოწყობილი – უშუალო და, ამავე დროს, ძალიან სერიოზული – დიდი ენთუზიაზმით მაჩვენებს თავის აკვარელის ჩანახატებს და მიყვება, როგორ დაიბადა ესა თუ ის იდეა. სამწუხაროდ, დრო ცოტა გვაქვს – იმავე დღეს მიფრინავს ჩინეთში. კენ ფრემპტონზე – ჩემს მენტორზე – ვსაუბრობთ (სტივენს მასთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს და დღევანდელობის ლეგენდად მიიჩნევს). კანზასში ჩემი მოგზაურობით და ნელსონ ატკინსის მუზეუმის შთაბეჭდილებით ინტერესდება (სწორედ მისი ოფისი დამეხმარა ამ მოგზაურობის ორგანიზებასა და მუზეუმის პროექტის გაცნობაში). ეს ჩვენი მესამე ინტერვიუა და საუბარი მის უკანასკნელ პროექტებსა და ფილოსოფიას ეხება.



ვანკე ცენტრი, ჩინეთი, 2009

ლ.კ. სტივენ ჰოლის ფილოსოფიით დავიწყოთ... როგორ შეიცვალა დროთა განმავლობაში თქვენი კრედო, არქიტექტურული კონცეფცია?

ს.ჰ. ერთ-ერთი გამოსვლისთვის (2012 – AIA-ს ოქროს მედლის გადაცემის ცერემონია – ლ.კ.) დავწერე ხუთწუთიანი მანიფესტი, რომელშიც მოკლედ და მკაფიოდ ჩამოვაყალიბე ჩემი იდეები. ამ იდეებზე უფრო ვრცლად ვსაუბრობ ჩემს წიგნებში, მაგალითად, Anchoring-ში. ყოველი პროექტის დაწყებისას ძირითად ყურადღებას ვაქცევთ ადგილს და კონტექსტს, ამას მეტაფიზიკური საფუძველი დავარქვათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა პროექტი თავისი სულით უნიკალურია. მე არ მაქვს მზა რეცეპტი, ახლის გამოგონებას ვცდილობ. არსებობს მოსაზრება, რომ იდეა წარმართავს დიზაინს. იგი დიზაინის პატარა ნაწილებს აერთიანებს, საბოლოოდ კი, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდილებაა. მთავარია, როგორ მოძრაობ შენობაში, როგორ გრძნობ სინათლეს, სივრცეს. აი, მაგალითად, როგორ შემოდის დილით შენობაში შუქი, როგორ ჩაედინება წყალი ტბაში, როგორ მოძრაობს ჰაერი, როგორ შეიგრძნობ სივრცეს, რას გეუბნება მასალა, როგორ მოძრაობს ბგერა



ნელსონ ატკინსის მუზეუმი, წყლის სარკე

და მრავალი სხვა... არ არის აუცილებელი, იცოდე არქიტექტურის იდეები ან დიზაინით იყო დაინტერესებული. რეალურად, ხუთი წლის ბავშვსაც კი შეუძლია არქიტექტურის ინტენსიურობის შეგრძნება. სინათლე, ადგილი და გეომეტრია – სამი მთავარი რამაა, რასაც მუდამ ვითვალისწინებ. ამას ფილოსოფიას ვერ დავარქმევ. უფრო შესაფერისი სახელი სამუშაო სისტემა და საქმის შეგრძნება იქნებოდა.

ლ.კ. ვის თვლით არქიტექტურაში თქვენს მასწავლებლად?


ს.ჰ. ლუის კანსა და ლე კორბუზიეს. ვოცნებობდი ლუის კანთან მუშაობაზე. მის ოფისში მიმიღეს კიდეც. ფილადელფიაში ვაპირებდი გადასვლას. სამწუხაროდ, სწორედ იმ დროს ლუის კანი ტრაგიკულად დაიღუპა პენსილვანიის სადგურზე. მერე ევროპაში წავედი და ლე კორბუზიეს ყველა შენობა შევისწავლე.

ლ.კ. როგორია თქვენი სამუშაო პროცესი იდეიდან მის განხორციელებამდე?

ს.ჰ. ყველაფერი მარტივი ესკიზით იწყება – აი, როგორიც ესაა (აკვარელის ჩანახატს მაჩვენებს – ლ.კ.). აქ ყველა ჩანაფიქრი და აზრი ფერით არის გამოხატული. სწორედ ამის მიხედვით ვამზადებთ პროექტს. რა თქმა უნდა, მაქსიმალურად ვიყენებთ კომპიუტერს და ციფრულ ტექნოლოგიებს, ვბეჭდავთ ციფრულ მოდელებს ჩვენი კომპიუტერული ნახაზების მიხედვით.

ლ.კ. როგორ ხვდებით, რომ პროექტი მზადაა?

ს.ჰ. საბოლოო მიზნამდე ბევრი სამუშაოა გასაწევი. ზოგჯერ რამდენიმე იდეის დამუშავება გვინევს. მაგალითად, ქვინსის ბიბლიოთეკის შემთხვევაში (მიმ-



ნელსონ ატკინსის მუზეუმი, ფარეხი

დინარე პროექტი – ლ.კ.) 25 განსხვავებული დიზაინი შევქმენით. ასე რომ, რეალურად, არასდროს იცი, რამდენი ხანი დაგჭირდება. როცა საბოლოო ვერსია შეიქმნა, უკვე ვიცოდით, რომ ეს იყო ის, რასაც ვეძებდით. ეს პროცესი სამი თვე გაგრძელდა.

ლ.კ. შთაგონების წყარო ყველაფერი შეიძლება იყოს?

ს.ჰ. დიახ, ეს არის დღევანდელი არქიტექტურის ყველაზე საინტერესო თვისება. აუცილებელი არ არის, შთაგონება არქიტექტურიდან მოდიოდეს.

ლ.კ. მუსიკიდან? მახსოვს, კოლუმბიის უნივერსიტეტში მუსიკალური სახელოსნოც გქონდათ.


ს.ჰ. კი, მუსიკის არქიტექტონიკიდან. ეს ექსპერიმენტული სახელოსნო იყო – ბარტოკს და სტრავინსკის ვუსმენდით და ამით შთაგონებული პროექტებს ვქმნიდით...

ლ.კ. მუშაობის დროს მუსიკას უსმენთ?


ს.ჰ. დიახ, უმთავრესად – აბსტრაქტულს...

ლ.კ. თანამედროვე არქიტექტურაზე რას იტყვით?

ს.ჰ. XX საუკუნის 20-იანი წლების ამერიკული არქიტექტურა კლასიკური იყო, ბერძნულ-რომაულით გაჯერებული. შემდეგ იყო „თანამედროვე არქიტექტურა". 50-60-იან წლებში საერთაშორისო სტილი გვქონდა. 80-იანებში შენდებოდა პოსტმოდერნისტული ნაგებობები – ჩემი აზრით, ყველაზე საშინელი პერიოდი საშინელი ნაგებობებით. შედეგად მივიღეთ დეკონსტრუქტივიზმი, ერთგვარი „ზიგზაგი ცარიელი თავით". რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და



ნელსონ ატკინსის მუზეუმი, ინტერიერი



ნელსონ ატკინსის მუზეუმი, ჩანახატი

საინტერესოა, ყველა ეს სტილი უკვე გაქრა და შეგვიძლია თავიდან დავიწყოთ – ადგილიდან, გარემოდან და იდეიდან, რომელიც ყველაფერმა შეიძლება წარმოშვას, მაგრამ მას აუცილებლად სჭირდება განვითარება. ასე რომ, ჩემი აზრით, პრეცედენტის არარსებობა ახალი არქიტექტურის შესაქმნელად თავისუფალ სივრცეს ტოვებს.

ლ.კ. დღევანდელ ამერიკულ არქიტექტურას როგორ დაახასიათებდით?

ს.ჰ. ის ამერიკული არ არის, საერთაშორისოა, როგორც დედამიწა, ატმოსფერო ან ჰაერი. ჩვენ ამას ვუდგებით, როგორც პრობლემას, მაგალითად, გლობალურ დათბობას. ენერგოპრობლემების 40% დღეს შენობების გამოწვეულია. ჩვენი შენობები გეოთერმულად თბება და გრილდება, ვიყენებთ მზის ენერგიას, რამდენადაც ამის შესაძლებლობა გვეძლევა. ეს არის ჩვენი ძირითადი ფუნდამენტი. ვფიქრობ, მშენებლობის დროს ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

ლ.კ. თქვენ ბევრ ქვეყანაში აშენებთ. რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი კულტურა და ისტორია – მაგალითად, ჩინეთში?

ს.ჰ. პირველ რიგში, ვეცნობი მშენებლობის ადგილს, შემდეგ – ადგილობრივ კულტურას. პროექტის მომზადებისას ყოველთვის ვითვალისწინებ ქვეყნის კულტურას, ისტორიას... ეს ჩემი კრედოა. ჩინეთში მუშაობის დროს ამ კუ-

თხით ბევრი რამ შევისწავლეთ – ქვეყნის კულტურა, რელიგია, ფენ შუი... ამას დრო სჭირდება. ამიტომ ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში არ ვმუშაობთ. ჩინეთის გამო დუბაის და აბუდაბის პროექტებზე უარი ვთქვით.

ლ.კ. რომელია თქვენი ფავორიტი პროექტი?

ს.ჰ. ის, რომელზეც ახლა ვმუშაობ – ქვინსის ბიბლიოთეკა. ჩემთვის ეს ძალიან სათუთი პროექტია. შენობას ვერტიკალური ფორმა მივანიჭეთ, რითაც შევძელით ტერიტორიის ⅓ ავტომანქანების სადგომისთვის დაგვეთმო. ყველაზე მნიშვნელოვანი აქ შენობის შიგნით მოძრაობის შეგრძნებაა. ფანჯრიდან უყურებ მანჰეტენს, ნიუ იორკის ერთ-ერთ ცენტრალურ ბიზნესრაიონს, შენობაში კი წიგნთან გაქვს ურთიერთობა. დღევანდელ ბიბლიოთეკებში მთავარი პრობლემა ე.წ. ციფრული და ნაბეჭდი წიგნების ურთიერთობაა. საკითხავ მაგიდასთან ადამიანები სხედან კომპიუტერებით, მეორე მხარეს კი წიგნებს ხედავენ. ასე რომ, შენობაში ნაბეჭდსა და ელექტრონულ წიგნს შორის ბალანსი იგრძნობა.

სწორედ ესაა თანამედროვე არქიტექტურის დანიშნულება – დროის შესაბამისი არქიტექტურული ნიმუშების შექმნა და ოპტიმისტური განწყობა დღევანდელი დაძაბული ცხოვრების რიტმის მიმართ.

ლ.კ. როდის დასრულდება ეს პროექტი?

ს.ჰ. ათ თვეში მშენებლობა დაიწყება.

ლ.კ. უკვე დასრულებული პროექტის შეცვლის სურვილი არ გაგჩენიათ?

ს.ჰ. არასოდეს. მაგალითად, ერთი შენობის პროექტი ათი წელი იდო უჯრაში და მხოლოდ თხუთმეტი წლის შემდეგ დაიწყო მისი მშენებლობა. როცა გადაწყდა მშენებლობის დაწყება, უბრალოდ, უჯრიდან ამოვიღეთ, დიზაინი საერთოდ არ შეგვიცვლია, იგივე კონცეფცია დავტოვეთ. ეს ჩემი მუშაობის სტილია – ჯერ იდეას ვამუშავებ და მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყებ დიზაინის შექმნას. საჭირო ცვლილებები დიზაინის შექმნისას შემაქვს. ამის შემდეგ აღარაფერი იცვლება.

ლ.კ. არქიტექტურაში უტოპიის გჯერათ?

ს.ჰ. ჩემი აზრით, ყველა პროექტი მინიუტოპია, ანუ საოცნებო იდეაა.


არ მინდა უტოპიად დარჩეს ის აზრი, რომ საქართველოშიც როდესმე დაიწყებენ პროექტებზე ასე ღრმად ფიქრს და ასეთი განცდით გააზრებას... არც სტივენ ჰოლის საქართველოში ჩამოსვლა მინდა უტოპია იყოს.




კნუტ პამსუნის ცენტრი, ნორვეგია, 2009







ნელსონ-ატკინსის ხელოვნების მუზეუმის გაფართოების პროექტი /ბლოხის შენობა/ კანზას სიტი, მისურის შტატი, 2007



„სტივენ ჰოლმა მომაჯადოებელი ნამუშევარი შექმნა. როგორც ნამდვილმა იუველირმა, მან შეძლო შენობის ინტეგრირება მუზეუმის ისტორიულ ქსოვილსა და გარემომცველ ლანდშაფტთან. ეს ის მიდგომაა, რომელიც უნდა გაითავისოს ყველამ, ვინც მუზეუმის დაპროექტებას შეუდგება.“ [1]


„ეს შენობა არა მხოლოდ ჰოლის ნამუშევართა შორის არის ყველაზე კარგი, არამედ საუკეთესოა ბოლო თაობის არქიტექტორთა ნამუშევრებს შორის. ჰოლმა განსაცვიფრებელი და კრეატიული არქიტექტურული ფორმის ნიმუში შექმნა... ეს არის მშვიდი და შთამბეჭდავი ადგილი, სადაც ხელოვნებით უნდა დატკბე.“ [2]

მუზეუმის პროექტი 5 სპეციალური ლინზისაგან შექმნილი გამჭირვალე კუბების ერთობლიობაა (დამკვეთების თავდაპირველი იდეით, ერთი მასიური შენობა უნდა შექმნილიყო), რომელიც ისტორიული შენობის მიმდებარე ლანდშაფტშია გაბნეული. ჰოლმა ერთგვარი იდეალისტური კონცეფცია შესთავაზა და შენობა „ლანდშაფტში დამალა“. პერპენდიკულარული ღერძი ძველი შენობის გალერეებს ახალი შენობის გალერეებთან აკავშირებს. პროექტით შეიქმნა უფრო თავისუფალი ცირკულაცია, რის შედეგადაც ახალი გალერეებისაკენ მიმავალი გზები უფრო თავისუფალი გახდა. ახალი მსუბუქი შუშის შენობის მეტაფორული კონცეფცია თავისი გახსნილობით და ღია ცირკულაციით დაუპირისპირდა თავდაპირველ ქვის მძიმე შენობას – როგორც ერთგვარი გამოძახილი მუზეუმის კედელზე არსებული წარწერისა: „რეალურზე მეტად სული იდეალურს ითხოვს“.

შენობა რამდენიმე ფაზად განხორციელდა. პირველი მიწისქვეშა ფარეხი და ინფრასტრუქტურა იყო. ფარეხში სინათლე ერთგვარი ჭების მეშვეობით ჩადის ძველი შენობის წინ განთავსებული პლაზიდან. წყლის სარკე და კომპოზიცია ხელოვნების ერთგვარ ნიმუშია, რომელიც არტისტმა ვალტერ დე მარიამ შექმნა და რომელსაც „1 მზე/24 მთვარე“ ჰქვია. წყლით დაფარულ ზედაპირზე სინათლე ტყდება, მოძრაობს და ცვალებად სურათებს ქმნის.

---

1. ნიკოლაი ურუსოფი ნელსონ ატკინსის მუზეუმის შესახებ, ნიუ იორკ ტაიმსი, 06/06/2007
2. პოლ გოლდბერგი, ნიუ იორკერი, 30/04/2007




ნიუ იორკის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დეპარტამენტი, 2004-2007

ნიუ იორკის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დეპარტამენტის შენობა (1890) ქალაქის ისტორიული ძეგლების ნუსხაშია. ინტერიერის დიზაინის და რენოვაციის ამ პროექტით დეპარტამენტმა ახალი საკლასო და საოფისე სივრცეები, ბიბლიოთეკა და დარბაზი მიიღო. კიბის ახალ უჯრედში, საიდანაც მზის სინათლე შედის, ფანჯრებზე სპეციალური ლინზებია დამონტაჟებული. მათი მეშვეობით სინათლის სხივი გარდატყდება და ცისარტყელას ფერებად იშლება. ქვედა დონეზე 120-კაციანი საუნივერსიტეტო აუდიტორია, ზემოთ კი საკლასო და საოფისე ოთახები განთავსდა.

ქვინსის საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა, ქვინსი, ნიუ იორკი, 2012


ბიბლიოთეკა ცნობილ ადგილას, ისტ რივერზე მდებარეობს. მთავარ ამოცანას ციფრული მედიისა და წიგნების კოლექტიური სივრცის შეთავსება, ამასთან, მანჰეტენისა და რუზველტის კუნძულების ინსპირაციის შენარჩუნება იყო. შენობა სამ გამოკვეთილ სექციას შეიცავს – ბავშვებისა მოზარდებისათვის. ბეტონის სტრუქტურა შიგნიდან სადა, თეთრია, გარედან კი გადამუშავებული ალუმინის ფირფიტებითაა დაფარული – ამ სამი სექციის დანახვა ფასადზეც შესაძლებელია ზედაპირზე ამოჭრილი სიბრტყეების მეშვეობით (შიგნიდან ხედების გახსნის საშუალებას იძლევა). დასავლეთით შენობას ტბა აქვს, აღმოსავლეთით კი საზოგადოებრივ ბაღს უერთდება. ბაღი ბიბლიოთეკის სივრცეს საზოგადოებას უბრუნებს (ბაღი ლანდშაფტის არქიტექტორ მაიკლ ვან ვალკენბურგის პროექტია უნიკალური გინკო და ბოსკო ხეებით). აქედან შესაძლებელია ასვლა სახურავის დონეზე არსებულ ბაღში, საიდანაც საოცარი ხედები იშლება.




დაკავშირებული ჰიბრიდი – LINKED HYBRID, პეკინი, ჩინეთი, 2003-2009


შენობის პროგრამაში გაერთიანებულია 644 საცხოვრებელი (ბინა), საზოგადო, სარეკრეაციო, მწვანე სივრცეები, კომერციული ზონები, სასტუმროები, კინოდარბაზი, საბავშვო ბაღები, დაწყებითი სკოლა და ავტოსადგომი.

ჰიბრიდული ნაგებობა – „ჰორიზონტალური ცათამბჯენი" – პეკინის ძველი, ისტორიული ქალაქის კედელთან მდებარეობს და ქმნის XXI საუკუნის ურბანულ საზოგადო სივრცეს. ესაა მიკრო-ურბანიზმი, ქალაქი – ქალაქში. შენობა სამ დონეზე – მიწის ქვეშ, მიწის ზედაპირზე და მიწის ზემოთაა განთავსებული. მიწის დონეზე ღია პასაჟები, საერინო და სარეკრეაციო სივრცეებია, როგორც სახლის მაცხოვრებლების, ისე ვიზიტორებისათვის. ხელოვნური, რეფლექსური ტბის გარშემო განთავსებული მაღაზიები სივრცეს აცოცხლებს. ქვედა შენობის შუა დონეზე, საზოგადო სახურავზე, მწვანე სივრცეები და ბაღები იქმნება. საზოგადოებრივი ფუნქციები – რესტორანი, სკოლა, საბავშვო ბაღი, კინოთეატრი – ქვედა დონეზეა განთავსებული. ლიფტების მეშვეობით ვხვდებით მე-12 და მე-18 სართულებზე ვერტიკალური, მრავალფუნქციური ხიდების დონეზე – აქ არის საცურაო აუზი, სავარჯიშო ცენტრი, კაფეები და გალერეები. ეს დონე 8 საცხოვრებელ კოშკს და სასტუმროს კოშკებს ჰორიზონტალურად აერთიანებს. შენობის გეოთერმული კედლები, უნიკალური ეკოლოგიური ტექნოლოგიები ზაფხულში აგრილებს, ზამთარში ათბობს და ენერგიას ზოგავს. ეს მსოფლიოში ყველაზე დიდი მწვანე საცხოვრებელი პროექტია.






ლაზარ ლისიცკი, ჰორიზონტალური ცათამბჯენის პროექტი, 1923-1925




ვანკე ცენტრი, ჩინეთი. 2009

პროექტები (შერჩევით)

- ქიაზმის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ჰელსინკი, ფინეთი, 1998
- წმინდა იგნატიუსის სამლოცველო, სიეტლი, ვაშინგტონი, 1997
- სარპჰატისტრააატის ოფისი, ამსტერდამი, ჰოლანდია, 2000
- ახალი საცხოვრებელი სახლი შვეიცარიის საელჩოსთან, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, 2006
- ხელოვნების ისტორიის სკოლა აიოვას უნივერსიტეტში, აიოვა, აშშ, 2006
- ნელსონ ატკინსის მუზეუმი, კანზასი, 1999-2007
- დაკავშირებული ჰიბრიდი – Linked Hybrid, პეკინი, 2003-2009
- კნუტ ჰამსუნის ცენტრი, ნორვეგია, 1994-2009
- ჰერნინგის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, დანია, 2005-2009
- ჰორიზონტალური ცათამბჯენი – ვანკე ცენტრი, შენჩჟენი, ჩინეთი, 2006-2009
- საზღვაო ქალაქი და მუზეუმი – Cite de l'Ocean et du Surf , ბეარიცი, საფრანგეთი, 2005-2011
- დეიანგის გალერეა და სახლი, სეული, კორეა, 2008-2012
- Sliced Porosity Bloock, ჩენგდუ, ჩინეთი, 2007-2012
- კემბელის სპორტული ცენტრი, ნიუ იორკი, 2013
- ქვინსის ბიბლიოთეკა, ნიუ იორკი, 2014
- ინგდოო – კულტურის და ხელოვნების ცენტრი, ჩინეთი, 2013
- Reid Buiding – გლაზგოს ხელოვნების სკოლა, დიდი ბრიტანეთი, 2014
- თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუტი, ვირჯინიის თანამეგობრობის უნივერსიტეტი, დასრულდება 2015-ში
- ვიზუალური ხელოვნების შენობა, აიოვას უნივერსიტეტი, დასრულდება 2016-ში.



საზღვაო ქალაქი და მუზეუმი, ჩანახატი.
2011
ბიარიცი, საფრანგეთი




ხელოვნების და არქიტექტურის მუზეუმი, ჩანახატი.
2009
ნანჯინგი, ჩინეთი



საზღვაო ქალაქი და მუზეუმი
ბიარიცი, საფრანგეთი

ჯილდოები

- საფრანგეთის არქიტექტურის აკადემიის ჯილდო – The Grande Médaille d'Or, საუკეთესო არქიტექტორს, 2001
- სტივენ ჰოლი დასახელდა ბრიტანელი არქიტექტორების სამეფო ინსტიტუტის საპატიო მკვლევრად, 2003
- სიეტლის უნივერსიტეტისა და ბუდაპეშტის მოჰოლი-ნაგის უნივერსიტეტების საპატიო ხარისხები, 2006
- ჟურნალმა Time Magazine სტივენ ჰოლი დაასახელა ამერიკის საუკეთესო არქიტექტორად „შენობებისთვის, რომლებიც სულსაც სიამოვნებს და თვალსაც", 2011
- ემირატების ჯილდო – Glass Leaf Award, აშშ, პროექტისთვის Cite De Leocean Et Du Surf, 2011
- ეროვნული დიზაინის ჯილდო არქიტექტურაში – კუპერ ჰიუიტის ეროვნული დიზაინის მუზეუმი, სმითსონის ინსტიტუტი, 2002
- ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის – AIA და ამერიკის არქიტექტურის ინსტიტუტის ნიუ იორკის განყოფილების AIA/NY საპატიო ჯილდო, პროექტისთვის ხელოვნების სკოლა აიოვაში, 2007
- AIA NY ჯილდო, ჰიგინსის ჰოლი, ბრუკლინი, ნიუ იორკი, 2007
- AIA/NY საპატიო ჯილდო, Planar House, 2006
- AIA/NY ჯილდო – Architecture Project Citation, SAIL Hybrid, 2006



საზღვაო ქალაქი და მუზეუმი
ბიარიცი, საფრანგეთი

- ევროპის სასტუმროების დიზაინის პროექტისთვის Loisium, 2006
- AIA/NY ჯილდო, უიტნის წყლის გამწმენდი ნაგებობა და პარკი, 2005
- AIA საპატიო ჯილდო, ჰორიზონტალური ცათამბჯენი – Vanke Center, 2010
- ჯილდო სრულყოფილებისათვის დიზაინში, ქვინსის ბიბლიოთეკა, 2010
- ჰერნინგის წლის საუკეთესო შენობა, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ჰერნინგი, დანია, 2005-2009
- მწვანე დიზაინის ჯილდო – Green Good Design, ჰორიზონტალური ცათამბჯენი – Vanke Center, შენჩჟენი, ჩინეთი, 2006-2009.
- ჩრდილო ნორვეგიის არქიტექტურის ჯილდო – კნუტ ჰამსუნის ცენტრი, ხამარიოი, ნორვეგია, 1994-2009
- Dansk Byggeri in situ ჯილდო, ჰერნინგის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ჰერნინგი, დანია, 2005-2009
- ბრიტანეთის არქიტექტორთა სამეფო ინსტიტუტის/RIBA ჯილდო, ჰერნინგის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, 2010 ჰერნინგი, დანია, 2005-2009
- Architectural Record China, ჯილდო „კარგი დიზაინი კარგი ბიზნესია“, საუკეთესო მწვანე პროექტი – ჰორიზონტალური ცათამბჯენი – Vanke Center, ჩინეთი, 2010
- Architectural Record China, ჯილდო „კარგი დიზაინი კარგი ბიზნესია“, დაკავშირებული ჰიბრიდი
- საუკეთესო საცხოვრებლის ჯილდო, დაკავშირებული ჰიბრიდი, 2011
- AIA-ს ოქროს მედალი, 2012
- Annual Design Review & LEAF – ჯილდო Sliced Porosity Block, 2013
- AIA/NY დიზაინის ჯილდო, კემბელის სპორტული ცენტრი, 2014

PETER EISENMAN



პიტერ აიზენმანი

შიგნიდან გარეთ...


პიტერ აიზენმანი დაიბადა 1932 წელს ქალაქ ნიუარკში (შტატი ნიუ ჯერსი). არქიტექტურის ბაკალავრის ხარისხი კორნელის უნივერსიტეტში მიიღო, მაგისტრის ხარისხი – კოლუმბიის უნივერსიტეტის არქიტექტურის, ქალაქგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის ფაკულტეტზე, ხელოვნების მაგისტრის და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი – კემბრიჯის უნივერსიტეტში. თავდაპირველად ცნობილი გახდა, როგორც „ნიუ იორკის ხუთეულის“ (New York Five) წევრი.

აიზენმანი სხვადასხვა დროს ასწავლიდა კემბრიჯის, ჰარვარდის, პენსილვანიის, პრინსტონისა და ოჰაიოს უნივერსიტეტებში. ამჟამად იელის უნივერსიტეტში არქიტექტურის თეორიასა და თანამედროვე დიზაინს ასწავლის. ის კუპერ იუნიონის ინსტიტუტის (The Cooper Union for the Advancement of Science and Art) არქიტექტურის ფაკულტეტის საპატიო პროფესორია.

აიზენმანის მიერ განხორციელებულ დიდ პროექტებს შორის გამოირჩევა ვექსნერის ცენტრი, მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპაში დახოცილ ებრაელთა მემორიალი ბერლინში, ფენიქსის უნივერსიტეტის ახალი სტადიონი გლენდეილში (არიზონა), გალისიის კულტურის ქალაქი – სანტიაგო დე კომპოსტელა (ესპანეთი). მის წიგნებს შორის აღსანიშნავია: *დიაგრამის დღიური, თანამედროვე არქიტექტურის ფორმალური საფუძველი, 10 კანონიკური შენობა, სახლი X, ჯუზეპე ტერანი – ტრანსფორმაცია, დეკომპოზიცია – კრიტიკა, შიგნიდან გარეთ.*



კულტურის ქალაქი სანტიაგო დე კომპოსტელა, ინტერიერი, გალისია, ესპანეთი



ვექსნერის ცენტრი, მაკეტი, ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ. 1989

არაფერი არსებობს ტექსტის მიღმა... დეკონსტრუქციის განმარტების ყველა მცდელობა წარუმატებელია.../ჟაკ დერიდა

მე მზად ვარ ვიკამათო აზრთა, იდეათა სტრუქტურაზე, მიდგომაზე, თუ ეს არქიტექტურას ეხება, ანუ იმაზე, რასაც ჰქვია ნებისმიერი თეორიული მატრიცა, დისკურსი./პიტერ აიზენმანი

პირველი მნიშვნელოვანი დეკონსტრუქტივისტული შენობის, ვექსნერის ცენტრის ეპატაჟური ავტორი – წინააღმდეგობრივი და მრავალმხრივი პიტერ აიზენმანი – აღიარებულია არა მხოლოდ როგორც არქიტექტორი და თეორეტიკოსი, არამედ, როგორც ლიტერატორი, რედაქტორი, კურატორი და განმანათლებელი. ნიუ იორკის არქიტექტურის და ურბანული სწავლების ინსტიტუტის დამაარსებელმა და პირველმა დირექტორმა, ცნობილი გამოცემის – „Oppositions" – რედაქტორმა თავისი არქიტექტურული კარიერა სწორედ „ოპოზიციის" დიალექტიკას მიუძღვნა.

უტოპიური თუ დეკონსტრუქტივისტული იდეებით შთაგონებული აიზენმანი მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში, კოლინ როუვთან,[1] მანფრედო ტაფურისა[2] და ჟაკ დერიდასთან[3] მჭიდრო თანამშრომლობისას, არქიტექტურის ფორმათწარმოქმნის საკითხებს იკვლევს და თავის თეორიულ ნაშრომებში არქიტექტურული „ფორმის გათავისუფლებას" ცდილობს. ამისათვის იგი ჯუზეპე ტერანის,[4] ანდრეა პალადიოს,[5] ლე კორბუზიესა თუ ჯეიმს სტერლინგის[6] ნაშრომებს აანალიზებს, თანამედროვე გარემოში არქიტექტურული დიზაინის პროცესის და სტრუქტურის როლის რთულ და არაერთმნიშვნელოვან ფორმულას აყალიბებს.

---

1. კოლინ როუვი (1920-1999) – ბრიტანული ნარმოშობის ამერიკელი მკვლევარი, არქიტექტურის ისტორიკოსი, კრიტიკოსი, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ამერიკულ და მსოფლიო ქალაქგეგმარებაზე, რეგენერაციასა და ურბანულ დიზაინზე.

2. მანფრედო ტაფური (1935-1994) – იტალიელი არქიტექტორი, მკვლევარი, თეორეტიკოსი, კრიტიკოსი. XX საუკუნის მეორე ნახევრის არქიტექტურის ყველაზე გავლენიანი ისტორიკოსი, არქიტექტურული კრიტიკის ფუძემდებელი.

3. ჟაკ დერიდა (1930-2004) – ფრანგი ფილოსოფოსი, დეკონსტრუქტივიზმის დამაარსებელი. მისმა ნაშრომებმა უდიდესი გავლენა იქონია XX საუკუნის ფილოსოფიაზე, ლიტერატურათმცოდნეობასა და არქიტექტურის თეორიაზე.

4. ჟუზეპე ტერანი 1904-1943) – იტალიელი არქიტექტორი, მოღვაწეობდა ბენიტო მუსოლინის პერიოდში. იტალიური მოდერნიზმის და რაციონალიზმის პიონერი.

5. ანდრეა პალადიო (1500-1580) – იტალიელი არქიტექტორი, რომლის შთაგონების ნყარო იყო ბერძნული და რომაული არქიტექტურა, განსაკუთრებით ვიტრუვიუსი. ცნობილია მისი „ოთხი წიგნი არქიტექტურის შესახებ".

6. სერ ჯეიმს სტერლინგი (1926-1996) – ბრიტანელი არქიტექტორი. ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი არქიტექტორი XX საუკუნის II ნახევარში, რომლის კარიერა დაიწყო მოდერნიზმის პრინციპების გადააზრებით. მისი ეკლექტური არქიტექტურული სტილი კოლინ როუვის, ძველი რომისა და ბაროკოს არქიტექტურის ზეგავლენით ჩამოყალიბდა.





დიზაინის ფილოსოფია

აიზენმანის დიზაინის კონცეფცია, რომლის სათავეები უფრო ლიტერატურასა და ფილოსოფიაშია, ვიდრე არიქტეტურულ დოგმებში, ფილოსოფიასა და არქიტექტურას შორის დიალოგს ეფუძნება და გეომეტრიულ პროგრესიაზეა დამყარებული. ეს უაკ დერიდას ფილოსოფიით შთაგონებული ერთგვარი ესეა. მისი ფილოსოფია არქიტექტურაში „ფორმის გათავისუფლების" შესახებ ინოვაციურ და საინტერესო თეორიულ მცდელობადაა მიჩნეული, მაგრამ პრაქტიკულ გამოყენებაში იგი საკამათო აღმოჩნდა. აიზენმანი, აქტიური პოლემისტი, რომლისთვისაც არქიტექტურა ხშირად შოკური თერაპიაა, მას, როგორც ტექსტს, ისე იაზრებს; თეორიულ საფუძვლებს უკომპრომისო დიზაინთან აერთიანებს, რომელიც ძიების პროცესის ილუსტრირებულ დიაგრამად წარმოგვიდგება. აიზენმანის „სახლები", ჯუზეპე ტერანიის ზეგავლენით, არქიტექტორის მიერ შექმნილი „პოსტფუნქციონალისტური" ან „ნეორაციონალური" ესთეტიკური ძიებებია. დანომრილნი და არა დასათაურებულნი (სახლი I, სახლი II, სახლი III, სახლი IV...) – ისინი არქიტექტურული ფორმის ბუნების და შინაარსის ძიების პროცესს გამოხატავენ. „სახლები" იმ ელემენტებისგან შემდგარი სტრუქტურაა, რომლებიც, არქიტექტორის აზრით, ნებისმიერ ფუნქციას უნდა მიესადაგოს ისე, როგორც ერთგვარი იდეალური ფორმა ან იდეალური სახლი.



კულტურის ქალაქი სანტიაგო დე კომპოსტელა,
გალისია, ესპანეთი







ინტერვიუ პიტერ აიზენმანთან

ადგილი: ნიუ იორკი, ვესტ საიდი, 25-ე ქუჩა,
ოფისი Peter Eisenman Architects.

დრო: 2012 წლის 25 აპრილი.

პიტერ აიზენმანს პირველად 2005 წელს იელის არქიტექტურის სკოლაში შევხვდი – არქიტექტურის ფორმათწარმოქმნის თეორიული კურსი მიჰყავდა და ჩემი ერთ-ერთი პირველი მენტორი იყო. იელის არქიტექტურული სკოლის მკაცრ, ამბიციურ და, ერთგვარად, ოფიციალურ, უფრო ზუსტად კი – მკაცრად განსაზღვრულ გარემოში პიტერი გამონაკლისი იყო – ელეგანტური (ყოველთვის ფერადი ბაფთით), ეპატაჟური, შთაგონებული და შთამაგონებელი. კვირაში ერთხელ თავის ჯგუფთან უნივერსიტეტის კაფეში არაფორმალურ შეკრებას მართავდა. აქ არქიტექტურაზე, კინოზე, მწერლობაზე, ფილოსოფიასა თუ სიყვარულზე ესაუბრობდით. პიტერს თან სპორტულ ფორმაში გამოწყობილი სათამაშო მაიმუნი დაჰყავდა, როგორც „კლასის წევრი“ – ჩვენი პროვოცირებისათვის. მისი პირველი რჩევაც ეპატაჟური იყო: თავი გაანებე კვლევას და იმოგზაურეო, მითხრა და ნიუ იორკში, თავის ოფისში მიმიწვია...

2012 წელს პიტერი ვენეციის ბიენალეს პროექტის მზადებაში იყო ჩაბმული. ჩვენი საუბარიც სწორედ ამ ფონზე გაიმართა...



ეექსნერის ცენტრი


ლ.კ. ვინ მოახდინა გავლენა პიტერ აიზენმანის შემოქმედებაზე?

პ.ა. ალბათ დერიდამ და ჯუზეპე ტერანიმ. ტერანის ნაშრომის ენერგიამ დიდი გავლენა მოახდინა ჩემს ადრეულ ნაშრომებზე: სახლი I ტერანია, სახლ II-ზე უფრო როზალინ კრაუსის ნაწერების გავლენა იგრძნობა, ამ დროს ერთად ვმუშაობდით. მან დაწერა ესე „ჩანაწერები ინდექსის შესახებ“, რომელიც შემდგომში სახლი IV-ის ამოსავალი გახდა.

ლ.კ. მოდერნიზმის შესახებ დღესაც ხშირად საუბრობთ....

პ.ა. რაც არ უნდა უწოდოთ ამ მიმდინარეობას – რაციონალიზმი თუ მოდერნიზმი, ეს იდეა დღესაც ცოცხალია. ლე კორბუზიეს, ტერანის, მის ვან დე როეს, ალვარ აალტოსა თუ ლუის კანის იდეები კვლავ აქტუალურია.

პოსტმოდერნიზმი ერთგვარი ლინგვისტური პროექტი იყო. დერიდას გრამატოლოგია (Grammatology), დელუზი, ლაკანი გვთავაზობდნენ ალტერნატივას, მოდერნიზმის მთავარი ხაზის ფრანგი ეგზისტენციალისტებისაგან განსხვავებით (სარტრი, გი დებო), რომლებიც ომის მერე ერთგვარ „სხვა მოდერნიზმს“ აგრძელებდნენ. შემდგომ იუნგიანური ფსიქოანალიზის პერიოდი იყო, მერე კი – ტაფურის ხანა. როდესაც



სტადიონი ფენიქსში. არიზონა, აშშ

მოგვიანებით მანფრედო ტაფურიმ დაწერა ესე „იკაროსის მედიტაცია“ ჩემზე, პიტერ აიზენმანზე, როგორც იკაროსზე, რომელიც მზესთან ისე ახლოს მიფრინდა, რომ ფრთები დაეწვა, მე გავიაზრე, რომ რეალობასთან კავშირი არ მქონდა, „დამინებული“ არ ვიყავი...

ლ.კ. თქვენი სახლები იყო კვლევა იმისა, რასაც „ტრანსფორმაციულ გრამატიკას“ უწოდებდნენ. ამ დროს თქვენ სტრუქტურული ლინგვისტიკა გამოიყენეთ ჩომსკიზე[1] დაყრდნობით?

პ.ა. ეს უფრო სემიოტიკა იყო...

ლ.კ. თქვენ სემიოტიკის არქიტექტურაში ტრანსლირება გაინტერესებთ – იზომეტრულ ნახაზებს ქმნით, რომლებშიც დასრულებული შენობა კი არაა ასახული, არამედ განუწყვეტელი ტრანსფორმაციაა გადმოცემული – არქიტექტურა, როგორც მოქმედების სერია... რა არის დღეს თქვენთვის ახალი იდეების შთაგონების წყარო?

---

1. ავრამ ნოამ ჩომსკი – ცნობილი ამერიკელი ლინგვისტი, ანალიტიკური ფილოსოფიის ნარმომადგენელი, პოლიტიკის კრიტიკოსი; მისმა ნაშრომებმა გავლენა იქონია კომპიუტერული მეცნიერების განვითარებაზე.

პ.ა. ძალიან მომწონს Zeitgeist, ანუ „დროის (ჟამის) სული“[9] და რაშიც ის აისახება – ხელოვნება, კინემატოგრაფია, ფილოსოფია თუ ლიტერატურა. თუ „დროის სულს“ გავიაზრებთ, მაშინ შეგვიძლია ალდო როსის ან ვიტორიო გრეგოტის დავუბრუნდეთ, რომლებიც ქალაქის არქიტექტურაზე საუბრობენ, ან – ყველა იმ წიგნს, რომლებიც 60-70-იან წლებში იწერებოდა. დღეს ტექნოლოგიური წინსვლის შედეგად გვაქვს ციფრული არქიტექტურა – ალგორითმების წერის კონცეფცია.

ლ.კ. რას ფიქრობთ, როგორ გავლენას ახდენს არქიტექტურაზე თანამედროვე მედია, ახალი ტექნოლოგიები – კომპიუტერი?

პ.ა. ჩემი აზრით, მედიისათვის პრიორიტეტი სტილია, ვიზუალური მხარე. იდეოლოგია, პოლიტიკური და კონცეპტუალური ნანილები კი მისთვის მეორეხარისხოვანია. ყველას უნდა იყოს ცნობილი, ე.წ. „არქიტექტორი ვარსკვლავი“. დღეს ბიენალე უკვე ძალიან ბევრგან იმართება – კორეასა და ჩინეთშიც. მედია და ბლოგები, ძირითადად, ახალი ფორმების შექმნაზე გადაერთო. იდეები კი განზე რჩება.

ლ.კ. შეიძლება დღეს ვისაუბროთ „ამერიკულ იდეაზე“ არქიტექტურაში?

პ.ა. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ახალი იდეები ურბანულ არქიტექტურაში ამერიკას ეკუთვნის. არსებობს ურბანიზმის იდეა, რომელიც რეგრესულია – თითქოს ბაზარმა და ურბანულმა ზრდამ უნდა უკარნახოს არქიტექტურას, თუ როგორ განვითარდეს ქალაქები. ჩემი აზრით, ეს უინტერესო მიდგომაა. ვფიქრობ დღესდღეობით ყველაზე საინტერესო ურბანული იდეები ჩვენს სფეროში რემ კულჰაასმა შეიმუშავა. მისი მიდგომა საინტერესოა, რამდენადაც მხოლოდ დიზაინს ან არქიტექტურულ კომპოზიციებს არ მოიცავს, პირიქით, ნაკლებ კავშირშია მათთან. მეც ყოველთვის ნაკლებად მაინტერესებდა დიზაინი და კომპოზიცია.

ლ.კ. რაზე მუშაობს დღეს პიტერ აიზენმანი?

პ.ა. ჩვენ ახლა უფრო მასშტაბურ პროექტებს ვახორციელებთ. სულ ახლახან მოვიგეთ დიდი ურბანული პროექტი სტამბულში, ვამთავრებთ კულტურულ ცენტრს სანტიაგო დე კომპოსტელაში; ვმუშაობთ პროექტზე ნეაპოლში. რატომ მაინცდამაინც მასშტაბური პროექტები? დღესდღეობით დეველოპერები დიდ პროექტებს ახორციელებენ, რომ მოგებაც, შესაბამისად, დიდი იყოს. რამდენადაც მე ვაკვირდები, ურბანულ განვითარებაში არ არსებობს ახალი იდეები, გარდა უტოპიური ხედვებისა, იდეალებისა ან ახალი ჩინური ქალაქებისა, რომლებიც, ჩემი აზრით, საშინელებაა. ვფიქრობ, რომ დიდი ქალაქის დაგეგმარება შეუძლებელია. არქიტექტურას თავისი ლიმიტი აქვს.

1. „Zeitgeist“ – **„დროის სული“** – ინტელექტუალური მოდა ან გაბატონებული ტრადიციული აზროვნება, რომელიც განსაზღვრულია გარკვეული ეპოქის აზროვნების სტილით. მაგ., XX საუკუნის არქიტექტურასა და ხელოვნების სხვა სფეროებზე დიდი ზეგავლენა მოახდინა მოდერნიზმის იდეებმა. ტერმინს „Zeitgeist“ ხშირად მიაწერენ ჰეგელს. მას სწამდა, რომ ხელოვნება ასახავს იმ ეპოქის კულტურას, რომელშიც იგი შეიქმნა.

ლ.კ. თქვენთვის საინტერესო პროექტები დღეს?

პ.ა. არც კი ვიცი, რა გითხრათ. ჩემი აზრით, საინტერესო ძალიან ცოტა რამ კეთდება, პირველ რიგში, იმიტომ რომ, აღარ არსებობს უტოპიური იდეები. უტოპიის ხანა დამთავრდა, ყოველ შემთხვევაში, აშშ-ში. ბიენალესთვის ურბანულ პროექტზე პიერ ვიტორიო რალისთან ერთად ვმუშაობდი. მას აქვს ნაშრომები აბსოლუტურ არქიტექტურაზე, ლუდვიგ ჰილბერზაიმერისა[1] და რემ კულჰასის ურბანულ პროექტებზე. ჩემი აზრით, საინტერესო წიგნია და ძალიან საინტერესო პროექტებია აღწერილი. დღეს ამერიკულ რეალობაში ბევრი რამ შეიცვალა. ქალაქებში ყურადღება აღარ ეთმობა საჯარო სივრცეებს. არ ცხადდება ტენდერები საზოგადოებრივ შენობებზე, როგორც ეს ხდება ევროპაში, სადაც ამ საკითხს საჯარო სააგენტოები უწევენ ორგანიზებას. ამერიკაში კი საჯარო სააგენტოები ამ უფლებას კერძო დეველოპერებზე ყიდიან, რადგან სამოქალაქო ერთეულებს ფინანსები არ აქვთ. სახელმწიფო ფულს, ძირითადად, ჯანდაცვასა და თავდაცვაზე ხარჯავს, მას არ აქვს საშუალება, ინვესტიცია საჯარო სფეროში ჩადოს.

ამერიკის არც ერთ პრეზიდენტს, არც მემარჯვენესა და არც მემარცხენეს, საჯარო სახლების იდეა არ შემოუტანია.

ლ.კ. რითი ახსნიდით ამას?

პ.ა. ვფიქრობ, რომ ამერიკა ევროპა არ რის, ჩვენ არ ვართ იდეოლოგიური ქვეყანა, ჩვენი პოლიტიკაც კი არ არის იდეოლოგიური იმ გაგებით, რა გაგებითაც ამას კარლ მარქსი განმარტავდა. ევროპაში კი, პირიქით, ყველაფერი იდეოლოგიასა და იდეოლოგიის ურბანულ მანიფესტაციასთანაა კავშირში. სწორედ ამიტომ ვმონაწილეობთ ევროპაში მიმდინარე არქიტექტურულ პროექტებში – იტალიაში, თურქეთში, ესპანეთში... ამერიკაში თითქმის არ ვმუშაობთ. ჩინეთი განსხვავებული შემთხვევაა, ინტერესიც არ მაქვს, რომ ამ ქვეყანაში ავაშენო რამე იმიტომ, რომ ტოტალიტარული სახელმწიფოა, რომელიც აგრარული ქვეყნიდან მალე ურბანულად გარდაიქმნება.

ლ.კ. მაგრამ არქიტექტორების უმრავლესობა ოფისებს დღეს სწორედ ჩინეთში ხსნის.

პ.ა. იმიტომ, რომ ევროპაში თითქმის აღარ არის სამუშაო. მაგრამ ჩინეთი მაინც არ მიზიდავს, ძველმოდური ვარ – ევროპა ჩემთვის უფრო საინტერესოა.

დამშვიდობებისას ჩვეული მანერით მკითხა, ოჰაიოსა და ფენიქსში თუ ვიყავი ნამყოფი და იქვე დასძინა, კოლუმბუსის და ცინცინატის უნივერსიტეტები უნდა ნახო (რაღა თქმა უნდა, ვექსნერის ცენტრს და არონოფის დიზაინისა და ხელოვნების ცენტრს გულისხმობდა); წასვლას თუ გადაწყვეტ, შემატყობინე და უნივერსიტეტის დეკანს გავაფრთხილებო...

---

1. **ლუდვიგ ჰილბერზეიმერი (1885-1967)** – გერმანელი არქიტექტორი, ქალაქმგეგმარებელი, ბაუჰაუზის წევრი. თანამშრომლობდა მის ვან დე როესთან ილინოისის უნივერსიტეტში. იკვლევდა ახალი ქალაქების თეორიას – დიდი ქალაქების დეცენტრალიზაციის იდეებს.



ინტერიერი, ვექსნერის ცენტრი





ვექსნერის სახვითი ხელოვნების ცენტრი, ოჰაიო, 1983-1989

ვექსნერის ცენტრი (სახელი დონორის, ფილანტროპის ჰ. ვექსნერის პატივსაცემად ეწოდა) აიზენმანის პირველი საზოგადოებრივი ნაგებობაა, მანამდე ის ცნობილი იყო როგორც პედაგოგი და თეორეტიკოსი. ეს ნაგებობა მან რიჩარდ ტროტთან და ლანდშაფტის დიზაინერ ლორი ოლინთან ერთად დააპროექტა. ეს ერთ-ერთი პირველი დეკონსტრუქტივისტული შენობაა. ცენტრი 1989 წელს ოჰაიოში გაიხსნა, ის ხელოვნების შესწავლის და კვლევის ერთგვარი ლაბორატორიაა, აერთიანებს სახვით ხელოვნებას, პერფორმანსს, მედია არტს, სტუდიებს, საგანმანათლებლო პროგრამებს. ის მუშაობს როგორც ფორუმი, რომელშიც ახალგაზრდა და ცნობილ ხელოვანებს სხვადასხვა სახის აუდიტორიის წინაშე თავიანთი იდეების ტესტირების საშუალება ეძლევათ.

აქ არის კინოთეატრის და თეატრის დარბაზი, ფილმების და ვიდეოების „პოსტ-პროდაქშენ“ სტუდია, წიგნების მაღაზია, კაფე და 12.000 კვ.მ გალერეები. ცენტრი ცნობილია იმით, რომ იქ უნიკალურ, ახალ თუ კლასიკურ, ყველაზე საინტერესო ფილმებს აჩვენებენ...

შენობის დიზაინი დეკონსტრუქტივისტულია – ხაზოვანი სტრუქტურა მნახველში გარკვეულ დეზორიენტაციას იწვევს, რთული კიბეების სივრცეები კი გადაადგილებას აძნელებს. ცენტრის ტერიტორიაზე მაია ლინის საინტერესო ქანდაკება „Groundswell“ და მშვენიერი ბაღია განთავსებული.



სტადიონი ფენიქსში, არიზონა, 2006

სტადიონის პროექტზე, რომელიც მდებარეობს გლენდეილში, არიზონას უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, 15 წუთის სავალზე ფენიქსის ცენტრიდან, აიზენმანი მუშაობდა HOK სპორტსა და Hunt Construction & Urban design ერთად. პროექტი ინოვაციურია, მწვანე (მაქსიმალურად უვნებელი გარემოს მიმართ). სტადიონი მრავალფუნქციური ნაგებობაა და შეუძლია უმასპინძლოს ფეხბურთის და კალათბურთის შეხვედრებს, მოტოსპორტს, როდეოს, კონცერტებს, შოუს თუ კორპორაციულ ღონისძიებებს. დიზაინში გამოყენებულია სინათლის ამრეკლავი ლითონის პანელები, სახურავი ნახევრად გამჭვირვალეა და ინტერიერს შუქითა და ჰაერით ავსებს. სახურავის პანელები იხსნება და იხურება ამინდის მიხედვით. ეს პირველი სტადიონია ამერიკაში ბუნებრივი ბალახის საფარით და ორიგინალური საირიგაციო სისტემით, რომელიც ბალახის სინოტივის შენარჩუნების საშუალებას იძლევა.





მეორე მსოფლიო ომის დროს დახოცილ ებრაელთა მემორიალი ბერლინში, 2003

მემორიალი (ცნობილი, როგორც ჰოლოკოსტის მემორიალი) მდებარეობს ბერლინში, 100 მეტრში მის არქიტექტურულ სიმბოლოს, ბრანდენბურგის ჭიშკარსა და პოტსდამერ პლაცს შორის. იგი ჰოლოკოსტის დროს დაღუპული ექვსი მილიონი ებრაელის უკვდავსაყოფად აიგო. 4,7 ჰექტარის ტერიტორია დაფარულია 2,711 ნაცრისფერი ბეტონის ფილით (სტელათი), ერთგვარი სამარხებით. თითოეული სტელა 0.95 მ სიგანისა და 2,38 მ სიგრძისაა, სიმაღლე მერყეობს 0,2-დან 4,7 მეტრამდე. ფილები რელიეფურ ტერიტორიაზე განლაგებულია გეომეტრიული კანონზომიერებით, რიგებად. არქიტექტორი თითქოს ქმნის არამარტივ, მემაწუხებელ ატმოსფეროს და ერთგვარ დისკურსს გვთავაზობს – ლოგიკური წესრიგის სისტემას, რომელსაც ადამიანურ ლოგიკასთან კავშირი დაკარგული აქვს. მიწისქვეშა საინფორმაციო სივრცე ჰოლოკოსტის ყველა ცნობილი მსხვერპლის სახელს ინახავს. ეს ერთგვარი რადიკალური მიდგომაა მემორიალის ტრადიციულ გააზრებასთან. მემორიალის მშენებლობა 25 მილიონი ევრო დაჯდა და ის დღეს ბერლინის ტურისტული მარშრუტის ერთ-ერთი მთავარი მემადგენელი ნაწილია.




სანტიაგო დე კომპოსტელას კულტურის ქალაქი გალისიაში, ესპანეთი




კულტურულ ნაგებობათა კომპლექსის აგება გალისიის პარლამენტმა 1999 წელს განიზრახა. პროექტის კონსტრუქცია, რომელიც მოძრავი ლანდშაფტის (მთების) განწყობას ქმნის, რთული და ძვირადღირებულია. გამოირჩევა კონცეპტუალური მიდგომით და ლანდშაფტთან ჰარმონიით. ეს ერთგვარი ქალაქია ისეთი ურბანული ლანდშაფტით, რომელშიც უნიკალურ ნაგებობებს ხელოვნების რანგში აყვანილი ქუჩები, პლაზები და ტექნოლოგიები აერთებს.


პროექტის ტოპოგრაფია დასმულია შუა საუკუნეების სანტიაგო დე კომპოსტელას გეგმაზე, რომელიც იუნესკოს მემკვიდრეობის ნუსხაშია შესული. ხუთი მთავარი საფეხმავლო გზა პროექტში ერთდება მთავარ მოედანზე, პლაზაზე, რომელსაც 25 ჰექტარის ზომის პარკი ეკვრის. პროექტი დღესდღეობით ექვს ნაგებობას მოიცავს – გალისიის მუზეუმსა და საერთაშორისო ხელოვნების ცენტრს, მუსიკის და საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრს, ცენტრალური სერვისების შენობას, გალისიის ბიბლიოთეკასა და არქივს. მთავარ შენობებს შორის მაღაზიები, კაფეები, სარეკრეაციო მოედნები, პარკინგი მდებარეობს. პროექტი დასრულების სტადიაშია. იგი უნიკალურ ურბანულ ექსპერიმენტად იქცა, მაგრამ ბიუჯეტს ძალიან გადააჭარბა და 2013 წელს გამოცხადდა, რომ მშებენლობა, რომელიც დეკადაზე მეტი ხანია გრძელდება, შეჩერდა – საერთაშორისო ხელოვნებისა და მუსიკის და სცენური ხელოვნების ცენტრები აღარ აშენდება.
















პროექტები

- ფალკ ჰაუზი (აიზენმანის სახლი II), ჰარდვიკი, ვერმონტი, 1969
- სახლი VI (ფრენკების საცხოვრებელი სახლი), კორნუოლი, კონეკტიკუტი, 1972
- ვექსნერის ხელოვნების ცენტრი, ოჰაიოს უნივერსიტეტი, კოლუმბუსი, ოჰაიო, 1989
- ეროვნული შენობა, ედოგავა, ტოკიო, იაპონია, 1991
- Greater Columbus Convention Center, კოლუმბუსი, ოჰაიო, 1993
- არონოფის დიზაინისა და ხელოვნების ცენტრი, ცინცინატის უნივერსიტეტი, ცინცინატი, ოჰაიო, 1996
- სანტიაგო დე კომპოსტელას კულტურის ქალაქი, გალისია, ესპანეთი, 1999
- *Il giardino dei passi perduti*, კასტელვეკიოს მუზეუმი, ვერონა, 2004
- II მსოფლიო ომში ევროპაში დახოცილ ებრაელთა მემორიალი, ბერლინი, 2005
- ფენიქსის უნივერსიტეტის სტადიონი, გლენდეილი, არიზონას შტატი, 2006

წიგნები

ათი კანონიკური შენობა: 1950-2000 (Rizzoli, 2008), დიაგრამის დღიური, 1999; სახლი X, 1982); თანამედროვე არქიტექტურის ფორმალური საფუძველი, 2006; აიზენმანის კვალდაკვალ, 2006; კოდი X: გალისიის კულტურის ქალაქი (Monacelli Press, 2005); ეიზენმანი: შიგნიდან გარეთ, 2004; მეხსიერების თამაშები, 1995; ნაწერები შერჩევით, 1963-1988 (Yale University Press, 2004); Blurred Zones: Investigations of the Interstitial, Eisenman Architects, 1988-1998 (Monacelli Press, 2003); ჯუზეპე ტერანი: ტრანსფორმაცია, დეკომპოზიცია, კრიტიკა, 2003; Written into the Void, Selected Writings, 1990-2004 (Yale University Press, 2007), მიმდინარე პროექტები, 1989; კარტების სახლი, 1987



სანტიაგო დე კომპოსტელა – ქალაქის ხედი, გალისია, ესპანეთი

ჯილდოები და წოდებები

- პროგრესული არქიტექტურა, არქიტექტურული დიზაინის ჯილდო ვექსნერის ხელოვნების ცენტრისათვის, 1985
- ქვის ლომი (პირველი ადგილი), III საერთაშორისო არქიტექტურული ბიენალე, რომეოსა და ჯულიეტას სასახლისათვის, 1985
- ამერიკის არქიტექორთა ინსტიტუტის/ AIA საპატიო ჯილდო IBA სოციალური საცხოვრებლისა და ჩარლის საგუშაგოსათვის, ბერლინი, 1988
- AIA საპატიო ჯილდო არონოფის დიზაინისა და ხელოვნების ცენტრისათვის, ცინცინატის უნივერსიტეტი, 1991
- პროგრესული არქიტექტურა, არქიტექტურული დიზაინის ჯილდო არონოფის დიზაინისა და ხელოვნების ცენტრისათვის, ცინცინატის უნივერსიტეტი, 1991
- AIA საპატიო ჯილდო კოიზუმი სანგიოს (*Koizumi Sangyo)* შენობისათვის, ტოკიო, იაპონია, 1991
- AIA საპატიო ჯილდო ვექსნერის ხელოვნების ცენტრისათვის, 1993
- კუპერ-ჰიუიტის დიზაინის ეროვნული მუზეუმის ეროვნული პრიზი დიზაინისთვის, 2001
- გრაჰამის ფონდი – სტიპენდია, 1966
- რომის პრიზის სტიპენდია, ამერიკული აკადემია რომში, 1976
- ჯონ სიმონ გუგენჰაიმის ფონდის სტიპენდია, 1976
- ბრუნერის ჯილდო, ამერიკის ხელოვნებისა და მწერლობის ეროვნული ინსტიტუტი, 1984
- ეროვნული საქველმოქმედო ფონდის ხელოვნების სტიპენდია, 1985
- ილინოისის უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, 1986

DILLER SCOFIDIO + RENFRO




დილერ სკოფიდიო + რენფრო

არქიტექტურა შენობებს მიღმა

ელიზაბეტ დილერი დაიბადა 1954 წელს პოლონეთში. 5 წლიდან ცხოვრობს ნიუ იორკში. 1979 წელს დაამთავრა კუპერ იუნიონის არქიტექტურის სკოლა და იქვე დაიწყო მუშაობა პროფესორის ასისტენტად. შემდგომ წლებში ლექციებს კითხულობდა ჰარვარდსა და პრინსტონში. 1993 წელს დაქორწინდა თავის პროფესორ რიკარდო სკოფიდიოზე. დღესდღეობით პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორია.

რიკარდო სკოფიდიო დაიბადა 1935 წელს ნიუ იორკში. 1952-1955 წლებში სწავლობდა კუპერ იუნიონის არქიტექტურის სკოლაში, მერე გადავიდა კოლუმბიის უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1960 წელს. მუშაობდა ასისტენტ პროფესორად კუპერ იუნიონში, ასოცირებულ პროფესორად – პრინსტონის უნივესრსიტეტში და ამავე დირექტორად. საკუთარი პრაქტიკა ელიზაბეტ დილერთან ერთად 1979 წელს დაიწყო. დღეს კუპერ იუნიონის პროფესორ-ემერეტუსია.

ჩარლზ რენფრო დაიბადა 1965 წელს ტეხასის შტატში. დაამთავრა რაისის უნივერსიტეტის ბაკალავრიატი და კოლუმბიის უნივერსიტეტის მაგისტრატურა. 2000 წლიდან მიწვეული პროფესორი იყო რაისის და კოლუმბიის უნივერსიტეტებში. 1997 წელს დაიწყო მუშაობა დილერ – სკოფიდიოსთან, 2004 წლიდან მათი პარტნიორია. რენფრო არის პარსონის დიზაინის სკოლის მიწვეული პროფესორი.






დაკიდული ბაღი. *High Lane,* ნიუ იორკი

არქიტექტურა შენობებს უნდა გასცდეს, რადგან შენობა აღარაა საკმარისი /აარონ ბეტსკი. ვენეციის ბიენალეს მანიფესტიდან/

ინტერდისციპლინარული დიზაინერული სახელოსნო „დილერ სკოფიდიო + რენფრო“ ელიზაბეტ დილერმა და რიკარდო სკოფიდიომ 1979 წელს ნიუ იორკში დაარსეს. 1997 წელს მათ შეუერთდა ჩარლზ რენფრო. თანამედროვე კულტურის ელემენტების გამოყენებით სახელოსნო ქმნის ინსტალაციებსა და უჩვეულო პროექტებს, რომლებშიც სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნება, არქიტექტურა, თეორიული ძიებები, მომავლის ტექნოლოგიები თუ გარემოსა და სამყაროს მიმართ პასუხისმგებლობა ერთმანეთს ერწყმის. მათი ნამუშევრები ზოგჯერ ტექსტის, უფრო ხშირად კი ინსტალაციების, ელექტრონული თუ ვიდეოარტის სახით არის წარმოდგენილი. თავდაპირველად აღიარება, როგორც არქიტექტურის თეორეტიკოსებმა, ისე მოიპოვეს. 1999 წელს მაკარტურის ფონდმა თანამედროვე კულტურის ელემენტებთან არქიტექტურის ინტეგრირების მიმართულებით გაწეული საქმიანობისთვის ელიზაბეტ დილერი და რიკარდო სკოფიდიო პრიზ „გენიოსით“ დააჯილდოვა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მაკ არტურის პრიზი არქიტექტურის დარგში გაიცა. პარტნიორები თითოეულ პროექტზე ერთობლივად მუშაობენ. ამჟამად ელიზაბეტ დილერი პრინსტონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორია, რიკარდო სკოფიდიო – კუპერ იუნიონის საპატიო პროფესორი, ხოლო ჩარლზ რენფრო – მინნეული პროფესორი კოლუმბიისა და რაისის უნივერსიტეტებში.



*დაკიდული ბაღი – **High Lane**, ნიუ იორკი*



ოფისის ბოლო პროექტებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ნიუ იორკში განხორციელებული ლინკოლნის ცენტრის ტრანსფორმაციის მრავალპლასტიანი პროექტი, რომელმაც ქალაქს შესძინა საზოგადო თავშეყრის ახალი სივრცეები და High Line – ე.წ. დაკიდული ბაღი – საინტერესო ურბანული კონცეფცია ქალაქის ცენტრში მწვანე მასივით და სარეკრეაციო ზონით.

2003 წელს უიტნის ამერიკული ხელოვნების მუზეუმმა Diller Scofidio + Renfro-ს ნამუშევრების რეტროსპექტივა მოაწყო და საზოგადოებას გააცნო ამ სტუდიის არასტანდარტული შემოქმედება. ჟურნალმა Fast Company სტუდია Diller Scofidio + Renfro 50 ყველაზე ინოვაციური კომპანიის რიცხვში შეიყვანა.



„ღია კარის სახლი", კომპანიასთან Droog, ამსტერდამი


დიზაინის ფილოსოფია

ჩვენ განვიხილავთ არქიტექტურას არა როგორც შენობას, არამედ როგორც კულტურულ დისციპლინას, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების დისკურსს. შუალედური ზღვარი არქიტექტურასა და ხელოვნებას შორის – ეს ჩვენი კომფორტული მდგომარეობაა. ჩვენი მიზანი არ არის „შენება", მისი ვიწრო გაგებით. ჩვენ ვმუშაობთ სივრცისა და კულტურის გარშემო ნებისმიერი მასალით, ვსვამთ შეკითხვას – რა არის არქიტექტურა და როგორ ურთიერთკავშირშია იგი სხვა კულტურულ დისციპლინებთან. ჩვენ გვაინტერესებს ახალი ტექნოლოგიები, ახალი მასალა, ახალი ექსპერიმენტები და ახალი ფორმები, კრიტიციზმი, როგორც კულტურული ფასეულობა, კვლევა, როგორც ახალი ტრაექტორია, ავთენტური ექსპერიმენტები და კულტურის ვიზუალიზაცია. ჩვენი პროექტები ინტერდისციპლინარულია. ამიტომაც ყოველთვის ვთანამშრომლობთ მკვლევარებთან, მეცნიერებთან, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან – მუსიკოსებთან, არტისტებთან, ქორეოგრაფებთან. ჩვენ არა გვაქვს *Tabula rasa* და ამიტომ გვინდა ისტორიის დისკურსში დავინახოთ არქიტექტურა, რომელიც თავის აზრს ირჩევს და წინ მიიწევს. თითოეული ჩვენი პროექტი მანიფესტაციაა, შეზღუდვისა და ლიმიტის გარეშე (ელიზაბეტ დილერი, ინტერვიუ ლ.კ.-სთან).



პირშპორის მუზეუმის და სკულპტურული ბაღის სეზონური გასაბერი პავილიონი, ვაშინგტონი





ჯულიარდის სკოლა – The Juilliard School
კომპანია FXFOWLE-სთან ერთად, 2009



ერთ დროს ყრუ და დახშული ჯულიარდის სკოლა ამ რეკონსტრუქციის შედეგად ნათელი და გამჭირვალე გახდა. პროექტის დეტალები, განსაკუთრებით კიბეები, მომაჯადოებელია და მსოფლიოში განთქმულ ამ სამუსიკო სასწავლებელს თავისი დიზაინითაც ნამდვილად გამორჩეულს ხდის.

შესაძლებელია თუ არა არქიტექტურა შენობებს გასცდეს? და თუ ეს შესაძლებელია, როგორი უნდა იყოს ასეთი არქიტექტურა? DS+R-ში ამ კითხვაზე პასუხებს ეძებენ და ჩვენც დაგვაფიქრებენ არქიტექტურისა და არქიტექტორის ფუნქციასა და რაობაზე.



პროექტი: High Line – დაკიდული ბაღი, ჰაი ლაინის საზოგადოებრივი პარკი, ნიუ იორკი

High Line 1.5 მილის სიგრძის ახალი საჯარო პარკია, რომელიც მანჰეტენში ჰადსონის სარკინიგზო დეპომდე გადაჭიმულ მიტოვებულ, დაკიდულ სარკინიგზო ლიანდაგზე გაშენდა. პოსტინდუსტრიული ნანგრევის მელანქოლიური, ველური სილამაზით შთაგონებული პარკი ერთ დროს უმნიშვნელოვანესი ურბანული ინფრასტრუქტურის მემკვიდრეობის ინტერპრეტაციას გვთავაზობს, რომელზეც ბუნებამ იძალა. ის ბიომრავალფეროვნება, რომელმაც ამ რკინიგზის გაუქმების შემდეგ იხარა, ურბანული მიკროკლიმატების მთელ წყებად – მზიან, ჩრდილიან, ნესტიან, მშრალ, ქარიან და ქარისგან დაცულ სივრცეებად არის რკინიგზის გასწვრივ განლაგებული.

აგროკულტურული და არქიტექტურული სტრატეგიის მიხედვით High Line სხვადასხვა მასალითა და ხარისხით მოკირწყლულ და მოუკირწყლავ მონაკვეთებად იყოფა, 100%-იანი ასფალტის საფარიდან დაწყებული 100% რბილი, მდიდარი მცენარეული ბიოტოპებით დამთავრებული, რომლებიც 1.5 მილის სიგრძეზეა გადაჭიმული. საფარიანი ზედაპირის სისტემა ბეტონის ფილებისგან შედგება, რომელთა შეერთების ადგილები ღიადაა დატოვებული მცენარეთათვის. საფარის გრძელ ფილებს დახრილი კიდეები აქვს, რომლებიც ამოზრილ მცენარეებში იკარგება და გაუვალი ლანდშაფტის შთაბეჭდილებას ქმნის. პარკი მოიცავს ველურ, კულტივირებულ, განმარტოებულ და საჯარო სივრცეებს. მისასვლელები ისეა დაპროექტებული, რომ ადამიანი ნიუ იორკის ქუჩების გიჟური ტემპიდან მშვიდ, იდუმალ და, ერთგვარად, მიღმიერ სამყაროში ხვდება.

პარკის მშენებლობის III ფაზა 2015 წელს უნდა დასრულდეს.










ლინკოლნის საშემსრულებლო ცენტრის რეკონსტრუქცია

ეს პროექტი გულისხმობს ელის ტულის დარბაზის (Alice Tully Hall) რეკონსტრუქციას, ჯულიარდის სკოლის გაფართოებას, ჰიპარის პავილიონის გარემოსა და რესტორნის განახლება-გაფართოებას, ამერიკული ბალეტის სკოლის და ნიუ იორკის სახელმწიფო თეატრის ფოიეს განახლებას, ლინკოლნის ცენტრში Fashion Week-ისთვის გადახურულ შესასვლელსა და საზოგადოებრივი ადგილების გაფართოებას კამპუსის ტერიტორიაზე, ასევე, ე.წ. „საინფორმაციო ლანდშაფტების“ – საზოგადო თავშეყრის ადგილების შექმნას.

ელის ტულის დარბაზი, ლინკოლნის ცენტრი, 2009

ელის ტულის დარბაზის მრავალფუნქციური სივრცე კამერული მუსიკის საუკეთესო დარბაზად გადაკეთდა. დარბაზს აქვს გაუმჯობესებული ფუნქციები, რომლებიც ყველა საჭირო მოთხოვნას დააკმაყოფილებს. არქიტექტორ პიეტრო ბელუსჩის მიერ დაპროექტებული ეს შენობა ჯულიარდის სკოლის ქვეშ არის მოქცეული. ფასადი ქუჩის მხრიდან არსებული შენობის იდენტურია. პროექტით მოიხსნა გაუმჭვირვალე ბრუტალისტური ფასადი და გამოჩნდა დარბაზის კარკასი. ჯულიარდის სკოლის მიშენებას დახრილი ძირი აქვს და გადახურვის ფუნქციას ასრულებს, ის კი დარბაზს, მის გამონეულ ვესტიბიულსა და სალაროს ჩარჩოსავით ეკვრის. შუშის ფასადი, რომელშიც ლითონის ბაგირებია ჩატანებული, დარბაზის დანახვის საშუალებას იძლევა. დარბაზის ინტერიერის შესახებ ამბობენ, რომ მას ინტიმურობა აკლია, რაც კამერული მუსიკის დარბაზისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია. „ინტიმურობაში“ იგულისხმება აკუსტიკა და ვიზუალური მხარე. რეალურად კი, გამოყენებულია კონსტრუქცია „ყუთი ყუთში“, რომელიც, დარბაზს მე-7 ავენიუზე მოქმედი მეტროს ვიბრირებისაგან ნაწილობრივ იცავს. საკონცერტო დარბაზების შიდა კედლები მოპირკეთებულია ახალი მასალით, თავად შენობა ისეა დაპროექტებული, რომ ბგერები მთელ დარბაზში თანაბრად ნაწილდება. დარბაზის ყოველი კონსტრუქცია დაფარულია აფრიკული მოაბის ხისგან დამზადებული მასალით, რაც გარე ხმების ჩახშობას უწყობს ხელს. ამდენად, მუსიკის მოსმენაში აუდიტორიას ხელი არ ეშლება. ხით მოპირკეთებული კედლებიდან შუქი ისე იღვრება, როგორც ზღვის ბიოლუმინისცენტური ორგანიზმებიდან. ხის მოსაპირკეთებელი მასალის ნაწილი შედგება ნახევრად გამჭვირვალე ერთნაირი ფორმის რეზინის პანელებისაგან, რომლებიც ფანერითაა დაფარული. იგი ხეს ჰარმონიულად ეხამება და შენობასა და სცენას ერთმანეთთან შუქით აერთიანებს. სცენაზე ჭაღის აწევა ან ფარდის გაწევა წარმოდგენის დაწყების ნიშანია, აქ კი კედლების განათება წარმოდგენის ქორეოგრაფიის ნაწილი იქნება: „სიჩუმე წამებში ჩამოწვება, როდესაც განათებული კედლები პირველი შემსრულებლის როლს შეასრულებს.“


CREDIT SUISSE
Global Sponsor
LINCOLN SQUARE
LOFT



ელის ტულის დარბაზი




ლინკოლნის ცენტრი. 2010



გამორჩეული პროექტები

- ინსტალაცია – ტრაფიკი, 1981
- ინსტალაცია, ფულის გამოტანის ოთახი, 1986
- ინსტალაცია, პარა-საიტი, 1987
- პერფორმანსი, The Rotary Notary and His Hot Plate, 1987
- ინსტალაცია – ცუდი პრესა, 1993
- ინსტალაცია Soft Sell, 1993
- რესტორანი – მის ვან დე როეს სიგრემ ბილდინგში, ნიუ იორკი, 2000
- მსოფლიო სავაჭრო ცენტრის მაყურებელთა პლატფორმა, 2001
- შვეიცარიის ექსპოზიციის პავილიონი – Blur Building, 2002
- ხელოვნების და ტექნოლოგიის მუზეუმი – Eyebeam Museum, 2004
- თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუტი, ბოსტონი, 2006
- ინსტალაცია Arbores Laetae , 2008
- ელის ტულის დაარბაზი – Alice Tully Hall, საკონცერტო დარბაზის გადაგეგმარება, ნიუ იორკი. 2009
- დაკიდული ბაღი – The High Line, ნიუ იორკი, 2009
- ჯულიარდის სკოლა, რენოვაცია და გაფართოება, ნიუ იორკი, 2009
- Light Sock, 2009
- მოგზაური მუსიკა, კომპოზიტორ ჯულია ვოლფისა და ბორდოს ჟაკ ტიბოს სახელობის კონსერვატორიის ერთობლივი პროექტი, 2009
- ჰიპერ პავილიონი, გაზონი და რესტორანი, ლინკოლნის ცენტრი, ნიუ იორკი, 2010
- ბრაუნის უნივერსიტეტის პერი და მარტი გრანოფების სახელობის შემოქმედებითი ხელოვნების ცენტრი, პროვიდენსი, როდ აილენდი, 2011
- ინსტალაცია – როგორ გახდა ღვინო თანამედროვე, სან ფრანცისკოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, 2011
- ღია კარის სახლი, Open House, ერთობლივი პროექტი დიზაინერულ კომპანიასთან Droog, 2012
- ბერკლის ხელოვნების მუზეუმის და პაციფიკ ფილმის არქივი, კალიფორნია (პროექტირების ფაზაში), 2015
- ხელოვნების მუზეუმი და პლაზა – Broad Art Museum (პროექტირების ფაზაში), 2015
- ჰირშჰორნის მუზეუმი და სკულპტურების ბაღის სეზონური გასაბერი პავილიონი ეროვნულ პარკში, ვაშინგტონი, 2013
- გამოსახულების და ხმის მუზეუმი, რიო დე ჟანეირო, 2014
- MOMA-ს გაფართოების პროექტი, ნიუ იორკი, 2018





გამოსახულებისა და ხმის მუზეუმი,
რიო დე ჟანეირო, 2014

ჯილდოები

- სმიტსონის ინსტიტუტის ეროვნული ჯილდო დიზაინისათვის
- მაკ არტურის ჯილდო, 1999-2004
- არნოლდ ვ. ბრუნერის მემორიალური პრიზი, ხელოვნებისა და ლიტერატურის ამერიკული აკადემია
- ჯილდო არაბროდვეული წარმოდგენისათვის
- პროგრესული ამერიკული დიზაინის ჯილდო – Blur Building-თვის
- Mac Dermott-ის კრეატიულობის ჯილდო, MIT
- კრაისლერის ჯილდო ინოვაციისათვის დიზაინში
- ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის (AIA) პრეზიდენტის ჯილდო და ღირსების მედალი
- AIA პრიზები სხვადასხვა პროექტის დიზაინისათვის.



გამოსახულებისა და ხმის მუზეუმი,
რიო დე ჟანეირო, 2014



მაკ მერფის შენობა-ხელოვნების და ხელოვნების ისტორიის სკოლა, სტენფორდის უნივერსიტეტი, 2015








ფრენკ ოუენ გერი

პოსტსტრუქტურული იმპრესიონიზმი მრუდე ხაზების ჰარმონია


ფრენკ ოუენ გერი (ფრენკ ოუენ გოლდბერგი) დაიბადა 1929 წელს ტორონტოში. 1949 წელს საცხოვრებლად კალიფორნიაში გადავიდა. 1954 წელს სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში არქიტექტურის ბაკალავრის ხარისხი მიიღო. 1956 წელს ჰარვარდის დიზაინის უმაღლეს სკოლაში ქალაქგეგმარებას სწავლობდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ არქიტექტურის სფეროში არ უმუშავია. მსახურობდა ამერიკის ჯარში. შემდეგ ლოს ანჯელესში მუყაოსაგან დამზადებული ავეჯის – „Easy Edges" ხაზის წარმოება ააწყო. არქიტექტურული პრაქტიკა სანტა მონიკაში საკუთარი სახლის გადაკეთებით დაიწყო, პოპულარობა კი ბილბაოს მუზეუმმა მოუტანა.

ფრენკ გერის პროფესორის თანამდებობა ეკავა იელის, ჰარვარდისა და სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტებში. დღეს გერი კოლუმბიის უნივერსიტეტში არქიტექტურის დამსახურებული პროფესორია და იელის არქიტექტურის სკოლაში არქიტექტურულ სახელოსნოს ხელმძღვანელობს. მას საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭა სამხრეთ კალიფორნიის, ტორონტოს, ედინბურგის, იელის, პრინსტონისა და ჰარვარდის უნივერსიტეტებმა, კალიფორნიის ხელოვნების კოლეჯმა, ნოვა სოტას ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, როდ აილენდისა და პარსონის დიზაინის სკოლებმა, კალიფორნიისა და ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტებმა.


არის პრიცკერის პრიზის, ვენეციის ბიენალეს ოქროს ლომის, AIA-ს ოქროს მედლის და სხვა მრავალი ჯილდოს მფლობელი.



დისნეის საკონცერტო დარბაზი, ლოს ანჯელესი, აშშ



კლინიკა კლიფლენდში, აშშ



მან შეცვალა არქიტექტურის აღქმა – ის, თუ როგორ გამოიყურება შენობა კონსერვატორული გაგებით / ჩაკ არნოლდი, მხატვარი.

კანადური წარმოშობის ამერიკელი არქიტექტორი, მრუდხაზოვანი ფორმების უბადლო ოსტატი ფრენკ გერი ენიგმატური ფიგურაა დღევანდელ არქიტექტურაში და, ნებისმიერი შეფასებით, მოგწონთ თუ არა, ლიდერთა რიცხვშია. გერის ადრეული ნამუშევრების უმეტესობას დეკონსტრუქტივიზმის[1] სტილს მიაკუთვნებენ, დღევანდელს კი პოსტსტრუქტურალისტურად მიიჩნევენ, რადგან ის არსებულ სტრუქტურულ ფორმებს სცდება. ზოგჯერ მას ლოს ანჯელესისა[2] და სანტა მონიკას არქიტექტურის სკოლებთან აკავშირებენ და ფანკ არტის[3] მიმდევრადაც მოიხსენიებენ.

1990-იან წლებში გერიმ შექმნა თავისი არქიტექტურული გრამატიკა და სამეტყველო ენა. თამამი ექსპერიმენტებისა და ძიებების შედეგად, გერი ათავისუფლებს ფორმას სწორხაზოვნებისაგან და სკულპტურისთვის დამახასიათებელი პლასტიკის, დინამიკისა და ემოციურობის მეშვეობით, ერთი შეხედვით, უხეში მასალისაგან (ლითონი, ტიტანის ფირფიტები) ისე ძერწავს თავის შენობებს, როგორც თიხისაგან. მწერლისა და კურატორის, მილდრედ ფრიდმანის,[4] სიტყვით, ესაა „არქიტექტორი, არტისტი, მხატვარი, რომელიც სიახლის შესაქმნელად დიდად რისკავს და სწორედ ეს გამოარჩევს მას, როგორც შემოქმედს".

მიუხედავად ასეთი შეფასებებისა, გერის ნამუშევრების სკულპტურულობა, ფორმის ფუნქციაზე, მის არქიტექტურულ ტექტონიკაზე პრივალირება კრიტიკოსების არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს და დღესდღეობით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტიკული დისკურსის საგანია.

---

1. **პოსტსტრუქტურალიზმი** – ტერმინი, გამოყენებული ამერიკელი მკვლევარების მიერ 1960-70-იანი წლების პოსტ მოდერნისტული მიმდინარეობის აღსანიშნავად, რომელიც დაუპირისპირდა სამყაროს სტრუქტურალისტურ, ლინგვისტურ აღქმას. აერთიანებს ისეთ ფილოსოფოსებს, როგორებიც არიან ჟაკ დერიდაა, მიშელ ფუკო, ჟილ დელუზი, ჟაკ ლაკანი.

2. **ლოს ანჯელესის სკოლა** – ცნობილი არქიტექტორების პირობითი გაერთიანება. მათ შორის არიან ერიკ ოუენ მოსი, სტუდია Morphosis-ის ხელმძღვანელი თომ მეინი. როგორც ამ სახელწოდების, ისე ასეთი სკოლის არსებობა საკამათოდ რჩება აქ გაერთიანებული არქიტექტორების საერთო ფილოსოფიისა თუ თეორიის არარსებობის გამო.

3. **ფანკ არტი** – მიმდინარეობა, რომელიც იაფ, ნაპოვნ საგნებს და არატრადიციულ მასალებს იყენებს ხელოვნებაში.

4. **მილდრედ ფრიდმანი** – წიგნის – „ფრენკ გერის არქიტექტურა" – ავტორი (1986, Rizzoli) და კურატორი მისი გამოფენისა უოლკერის ხელოვნების ცენტრში.



თევზის ქანდაკება
ბარსელონა, 2009

ბიკმენის კოშკი,
ნიუ იორკი

დიზაინის ფილოსოფია

მე მკაცრი მოდერნისტი ვარ, ფორმის სიმარტივის გაგებით და მჯერა, რომ სუფთა ფორმა არ უნდა „მორთო".

ოფისი ჩემთვის ლაბორატორიაა, რომელშიც ახალ იდეებს ხორცს ვასხამ. იდეა ჩანახატიდან მაკეტების მეშვეობით ჩამოყალიბების გრძელ გზას გადის. კომპიუტერი მხოლოდ საშუალებაა. არქიტექტურა მხატვრობას უკავშირდება, თუმცა შთაგონების წყარო ყველაფერი შეიძლება გახდეს. მრუდხაზოვანი ფორმა მართკუთხედის სტერეოტიპს არღვევს და მრავალფეროვნების, არაორდინალური გადაწყვეტების, სკულპტურული სივრცის შექმნის შესაძლებლობას ქმნის. მე ხელოსანი ვარ და ხელობა მიყვარს. არქიტექტურაში ბევრი რამაა გაერთიანებული – კონტექსტი, პროგრამა, სოციალური ასპექტი. მთავარია, ამ ყოველივეს როგორ გააერთიანებ, ან რას გააკეთებ მისგან. ყოველთვის საიდუმლო, მისტერიაა, თუ როგორ აიღებ იდეის ენერგიას და გარდაქმნი მას შენობად, რომელსაც აქვს გრძნობები და ენება.[1]

1. Gerhy Talks, Universe Publishing, 2008, p.47, p.44


PACE
UNIVERSITY





დისნეის
კონცერტ ჰოლის
ინტერიერი

ინტერვიუ ფრენკ გერისთან

ეს ინტერვიუ რამდენიმე ნაწილად ჩავწერე. პირველად გერის 2006 წელს შევხვდი, იელის არქიტექტურის სკოლაში ყოფნის დროს, მის სახელოსნოში. ჩვენი ინტერვიუ მისი საჯარო ლექციის შემდეგ, მეუღლესთან, ბერტასთან, საუბრით დაიწყო. მერე გერის ოფისში (ვენისი, კალიფორნია) მიპატიჟება მივიღე და იმავე წელს, გაზაფხულზე ვეწვიე. მესამედ 2010 წელს, კოლუმბიის უნივერსიტეტში, საჯარო შეხვედრისას („გერი – მოქალაქე") ვისაუბრეთ.

ადგილი: ნიუ ჰეივენი, იელის არქიტექტურის სკოლა, Gery Architects-ის ოფისი /კალიფორნია/, კოლუმბიის უნივერსიტეტი, ნიუ იორკი

დრო: 2006-2010



ლ.კ. საიდან დაიწყო ფრენკ გერი, როგორც არქიტექტორი?

ფ.გ. ალბათ, შორეული ბავშვობიდან... მახსოვს, ბებიასთან ერთად საათობით ვერთობოდი ხის ასაწყობი კუბებით; უცნაური ფორმის სახლებსა და ფუტურისტულ ქალაქებს ვაშენებდით. დედამ შემაყვარა ხელოვნება, დავყავდი მუზეუმებსა და კონცერტებზე... მე ბევრი ხელობა გამოვიცვალე: 1947 წელს, კალიფორნიაში გადმოსვლის შემდეგ მძღოლი ვიყავი; რადიოში მინდოდა მუშაობა; ქიმიური ტექნოლოგიების შესწავლაც ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა – ალბათ იმიტომ, რომ არ მაინტერესებდა. შემდეგ ლოს ანჯელესის კოლეჯში ჩავაბარე. გადაწყვეტილება რომ უნდა მიმეღო, იმაზე დავფიქრდი, რა მახარებს ან მსიამოვნებს და გამახსენდა ბავშვობა, ბებია, ასაწყობი კუბები... ის სასიამოვნო განცდა... და რაღაც ინტუიციით არქიტექტურის კურსი ავირჩიე.

ლ.კ. ძნელია დაწყება?

ფ.გ. კი, ყოველთვის ძალიან მიჭირს... პირველ რიგში, ჩემს სამუშაო მაგიდას ვალაგებ, მერე უამრავ ადამიანს ვურეკავ, ვინიშნავ შეხვედრებს. ვცდილობ,



მოცეკვავე სახლი, პრაღა, ჩეხეთი. 1996

საქმიანი ვიყო. ყველანაირად ვწელავ დროს, რომ მუშაობის დაწყება გადავდო. მეშინია, რომ ამოცანას ვერ დავძლევ, არ გამომივა, მაგრამ საკმარისია, ქაღალდზე პირველი მონახაზი გავაკეთო, მაშინვე საოცარი გრძნობა მეუფლება – ვიცი, რასაც გავაკეთებ. „არც ისე ძნელი ყოფილა", – ვეუბნები საკუთარ თავს.

ლ.კ. მხატვრობა თუ არქიტექტურა?

ფ.გ. ჩემი კოლეგები – ჩემი ასაკის არქიტექტორები – ყოველთვის მაკრიტიკებდნენ, სერიოზულად არ აღმიქვამდნენ, ამიტომ უფრო მეტად მხატვრებთან ვმეგობრობდი, რომლებიც ისე მიყურებდნენ, როგორც თანასწორს, არტისტს. მათთან ურთიერთობა სახალისოც იყო.

ბერტამ, ჩემმა ცოლმა, იპოვა ის პატარა სახლი სანტა მონიკაში, რომელიც მერე შევიძინეთ. ეს სახლი ერთგვარი ექსპერიმენტების ადგილად იქცა. ჩვენ ვხუმრობდით, რომ აქ კუბიზმის მოჩვენება ბინადრობს.

ბავშვობაში სიამოვნებით ვხატავდი მამაჩემთან ერთად... მახსოვს, 13 წლის ასაკში თეოდორ რუზველტის პორტრეტი დავხატე, რომელმაც ჩემს მასწავლებელზე (რავინზე) დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დედას უთხრა, ამ ბიჭუნას ოქროს ხელი აქვსო... კიდევ მახსოვს, ზაფხულს ჩრდილო ონტარიოში ვატარებდით და იქ ერთმა ქალმა, რომელიც კალიგრაფიას სწავლობდა, გვითხრა, რომ ოდესმე ცნობილი არქიტექტორი გავხდებოდი.

კოლეჯში, სადაც კერამიკას ვსწავლობდი, მასწავლებელმა მირჩია არქიტექტურაც შემესწავლა. პირველი წლის დასრულების მერე კიდევ ერთი წლით სწავლის გაგრძელების რეკომენდაცია მივიღე, თუმცა სწავლების მეორე წელს ჩემმა პედაგოგმა მითხრა, სჯობს თავი დაანებო – შენი საქმე არააო. რა თქმა უნდა, არ მესიამოვნა, მაგრამ, როგორც ხედავთ, თავი მაინც არ დავანებე.

ლ.კ. ჩანახატს თქვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს?

ფ.გ. მე მიყვარს ხელით მუშაობა და მიყვარს ძიების პროცესი – ეს ჩანახატების მეშვეობით ხდება, რომლებსაც სულ ვაკეთებ – მატარებელში, თვითმფრინავში... ჩანახატები ნაგებობის სულს ქმნიან... ვცდილობ, გრძნობები არქიტექტურული ფორმების მეშვეობით გადმოვცე.

ლ.კ. კომპიუტერს არ იყენებთ?

ფ.გ. არა, კომპიუტერი იარაღია და არა – თანამზრახველი, იარაღი მრუდე ხაზის გამოსაჭრელად და არა – მის გამოსაგონებლად...

(სწორედ ამ მრუდე ხაზების გადმოცემისათვის შეიქმნა კომპიუტერული პროგრამა „catya“. ლ.კ.)

ლ.კ. მაკეტი...?

ფ.გ. მუშაობის პროცესში უამრავ მაკეტს ვაკეთებთ. ეს მთელი ყურადღების შენობაზე გადატანაში მეხმარება. ყველაფერი მოდელირებით იწყება, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ დღეს მარტო ქაღალდი საკმარისი არ არის, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ტექნიკური მხარდაჭერა. ამიტომ აუცილებელია მაკეტების დიგიტალიზაცია, ვქმნით სამგანზომილებიან ნახაზებს. ეს მოცულობის წარმოდგენაში გვეხმარება. ყველაზე რთული ტექნოლოგიების შემოტანაა...

ჩვენი სამგანზომილებიანი (3D) მაკეტები კონსტრუქტორსა და მშენებელს ამომწურავ ინფორმაციას აწვდის პროექტის შესახებ.

გერის ოფისში უამრავი მაკეტია – ეს მისი სამუშაო პროცესის განუყოფელი ნაწილია... გერი ჭრის, აწებებს და ცვლის ფორმებს თავის პარტნიორ დიზაინერთან, კრეიგ ვებთან, ერთად... „არ ვიცი, რა არ მომწონს, მაგრამ მაინც არ მომწონს“, – გერი ქაღალდის კუბებს ადაბლებს, ცვლის, ხელში ქაღალდს ჭმუჭნის და წინა ნაწილზე ამაგრებს, – „აი, ახლა უკეთესია“...



თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი MARTa Herford. გერმანია, 2005

ლ.კ. რა არის თქვენი შთაგონების წყარო?

ფ.გ. ყველაფერს ვაკვირდები. შეიძლება ტანსაცმლის დიზაინმა მომხიბლოს ან უბრალო ბროლის საკიდმა... ყველაფერმა შეიძლება მოგაწოდოს იდეა. მაგალითად, თევზის იდეა შემთხვევით მომივიდა. ერთ-ერთი ჩემი ამხანაგი მუშაობის დროს ბერძნულ ფორმებს იმეორებდა. ვურჩიე, წარსულში უფრო ღრმად შესულიყო – შორს, არქაულ ფორმებამდეც კი, მაგალითად რეპტილიამდე ან თევზამდე... ასე დავიწყე თევზის ჩანახატების კეთება და გაჩნდა თევზების სერია – სკულპტურები, სანათები, ნახატები...

ლ.კ. ბოლო წლებში ამჩნევთ თუ არა ცვლილებას თქვენს შემოქმედებაში?


ფ.გ. რა თქმა უნდა. ადრე ძალიან იაფ შენობებს ვაკეთებდი. ახლა აღარ ვეძებ დაკვეთებს. ველოდები შემოთავაზებას და ვირჩევ სურვილის მიხედვით – ალბათ, იმიტომ, რომ უარს ვერ ვიტან...

ლ.კ. როდის ხედებით, რომ პროექტი დასრულდა?

ფ.გ. როცა ვამთავრებ.

ლ.კ. პროექტის დამთავრებას განიცდით?

ფ.გ. კი, ნამუშევრის „გაშვება" მიჭირს, შვილებივით ვუყურებ...
ერთი წლის შემდეგ, როცა შენობა უკვე გაივლის აპრობაციას, თავს ვანებებ და შეიძლება საერთოდ აღარ ვნახო. აღარ ვუბრუნდები. ერთხელ ბანკის



სასტუმრო და ღვინის ცენტრი ***Marqués de rascal****, ესპანეთი*

ოფისის სანახავად გერმანიაში მომიხდა ჩასვლა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ყველა მე მიყურებდა და ჩემზე ლაპარაკობდა. მინდოდა დავმალულიყავი... და კიდევ – ყოველთვის მიკვირს, როგორ გამომივიდა. ბავშვობაში, კერამიკის შესწავლისას, ჩემი პირველი თიხის ნამუშევარი გამონვის შემდეგ რომ ვნახე, აღფრთოვანებულმა მასწავლებელს ვკითხე, საიდან გამოვიდა ასეთი კარგი-მეთქი. მახსოვს, მიპასუხა, ჯერჯერობით თიხის ბუნებას დააბრალე, მაგრამ, ისე, შენც მიგიძღვის გარკვეული წვლილიო.

ლ.კ. ფრენკ გერის შემდეგი ნაბიჯი?

ფ.გ. არ ვამბობ, ცრუმორწმუნე ვარ. ახალგაზრდობაში სრულყოფილების ძიებაში ხარ და შეიძლება, მთელი დრო ეფემერულ შენობაზე ფიქრში გავიდეს... მერე, როცა იზრდები, ხვდები, რომ ამ „სრულყოფილებას“ ვერასდროს მიაღწევ, უბრალოდ, სულ უნდა ისწრაფოდე...

გერი საუბრის დროსაც ხატავს – უფრო სწორედ პატარა ჩანახატებს აკეთებს...

კენეტ ფრემპტონის აზრით, გერის შემოქმედება უფრო არტისტული მანერიზმია და კონსტრუქციის პოეტიკასა და ტექტონიკასთან არაფერი აქვს საერთო. ეს სწორედ ის ვარსკვლავური არქიტექტურაა, რომელმაც დღეს ჩაანაცვლა ფუნქციის ფორმაზე პრიმატის ან მათი ლოგიკური ურთიერთკავშირის პარადიგმა.



პროექტები

უოლტ დისნეის საკონცერტო დარბაზი, ლოს ანჯელესი, კალიფორნია, 1999-2003

უოლტ დისნეის საკონცერტო დარბაზი ლოს ანჯელესის მუსიკალური ცენტრის მეოთხე დარბაზია და 2,265 ადამიანს იტევს. ბევრ სხვა დანიშნულებასთან ერთად, ის ლოს ანჯელესის სიმფონიური ორკესტრისა და მთავარი გუნდის სამუშაო ადგილიცაა.


საკონცერტო დარბაზისათვის პირველი ფულადი წვლილი ლილიან დისნეიმ 1987 წელს შეიტანა. მას სურდა, ეს დარბაზი ლოს ანჯელესის მოსახლეობისთვის საჩუქრად და უოლტ დისნეის – ხელოვანისა და ქალაქის ერთგული ადამიანის პატივსაცემად აგებულიყო. ფრენკ გერის მიერ დაპროექტებული ეს შენობა 2003 წელს გაიხსნა. როგორც ფრენკ გერის არქიტექტურამ – სკულპტურულმა და მრუდხაზოვანმა ფორმებმა, ლითონის ფასადმა, რომელშიც კალიფორნიის მზე ირეკლება, ასევე, საკონცერტო დარბაზის აკუსტიკამ (დაპროექტებული იასუჰისა ტოიოტას მიერ), მისი წინამორბედი დოროთი ჩენდლერის პავილიონისგან განსხვავებით, დიდი მოწონება დაიმსახურა. პროექტის ღირებულებამ 274 მილიონ დოლარს მიაღწია.

ბიკმენის კოშკი

„ქალაქის ცენტრის ერთ-ერთი ულამაზესი კოშკი“,
პოლ გოლდბერგი.

თავდაპირველად ბიკმენის კოშკის – Beekman Tower – სახელით იყო ცნობილი, ახლა კი გერის ნიუ იორკად – New York by Gehry – იწოდება; 76-სართულიანი 265 მეტრის სიმაღლის ცათამბჯენი, რომელიც ფრენკ გერიმ დააპროექტა, ნიუ იორკის მანჰეტენის რაიონში, სპრუსის ქუჩის 8 ნომერში, მუნიციპალიტეტის შენობის მოედნის და ბრუკლინის ხიდის სამხრეთით მდებარეობს; 2011 წლის მდგომარეობით, ბიკმენის კოშკი ყველაზე მაღალი საცხოვრებელი შენობაა დასავლეთ ნახევარსფეროში. ნაგებობა სიმაღლითა და ფორმით ჩიკაგოს ცათამბჯენს, Aqua-ს ნაადგავს. კოშკში მხოლოდ გასაქირავებელი ბინებია (სულ 898), რაც იშვიათობაა ნიუ იორკის ფინანსურ რაიონში. ერთადერთ გამონაკლისს დანყებითი საჯარო სკოლა წარმოადგენს. მისი სტრუქტურული ჩარჩო რკინა-ბეტონით დაფარული მოწითალო-მოყავისფრო აგურით არის შექმნილი და შენობის პირველი ხუთი სართულის ფართობი უკავია. სკოლა 600 მოსწავლეზეა გათვლილი – მოსამზადებელი კლასიდან მერვე კლასის ჩათვლით. მეოთხე სართულის სახურავზე მოწყობილია ბანი, რომელზეც 5,000 კვადრატული ფუტის (460 კვ.მ) სათამაშო სივრცეა განთავსებული.





გერის ოფისი კალიფორნიაში



ჯეი პრიცკერის პავილიონი / Jay Pritzker Pavilion, Millennium Park/ – ჩიკაგოს ცენტრში, მილენიუმის პარკში მდებარეობს (1997-2004). ის მიჩიგანის ტბის სანაპიროზე, 99,000 კვ.მ ტერიტორიაზე გადაჭიმული საჯარო პარკია, რომელიც თავდაპირველად ათასწლეულის აღსანიშნავად შეიქმნა და საზოგადოების თავშეყრის ცნობილ ადგილად იქცა. პავილიონი სიმფონიური მუსიკის კონცერტების, მუსიკალური ფესტივალების, პერფორმანსების და ფიტნესაქტივობების მთავარი ადგილია. ღია დასაჯდომი სივრცე, მეტალის მოძრავი კონსტრუქცია საინტერესო აკუსტიკური გადაწყვეტებით და შიდა დარბაზი – გერის ტრადიციული მეტალის კონსტრუქცია – ხელოვნების ნიმუშს უფრო ჰგავს, ვიდრე არქიტექტურას. პარკში public art-ის ბევრი ნიმუშია: ანიშ კაპურის *Cloud Gate* (ღრუბლის კარიბჭე), შადრევანი – the *Crown Fountain,* ლურიეს ბაღი და ბევრი სხვა ღირსშესანიშნაობა.



The IAC Building (InterActiveCorp-ის შტაბ-ბინა), ნიუ იორკი, ჩელსი, მე-18 ქუჩა, 2007

„ნიუ იორკის ყველაზე მიმზიდველი საოფისე შენობა"/ჟურნალი Vanity Fair

არქიტექტურული გადაწყვეტით და ფორმებით ეს შენობა გერის რამდენიმე წინამორბედ შენობას გვაგონებს. იგი თითქოს ორი ძირითად დონედ იყოფა – კოშკის დაგრეხილი სექციებისგან შემდგარი განიერი ქვედა დონისაგან, რომელიც ფიჭის უჯრედებივით არის დაწყობილი და ნაკლები დიამეტრის მქონე მეორე დონისაგან, რომელიც პირველს ადგას თავზე. ფიჭის უჯრედები იალქანს ჰგავს, რომელიც შენობის კარკასზეა გადაკრული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს 10-სართულიანი შენობა ორი ძალიან მალალი სართულისგან შედგება.

პროექტები

- გუგენჰაიმის მუზეუმი ბილბაოში, ესპანეთი, 1997
- მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის რეი და მარია სტატას ცენტრი, კემბრიჯი, მასაჩუსეტსი, 2004
- უოლტ დისნეის „კონცერტ ჰოლი", ლოს ანჯელესი, 2003
- განცდილი მუსიკის პროექტი, სიეტლი, 2000
- ვეისმანის ხელოვნების მუზეუმი – Weisman Art Museum – მინეაპოლისი, 1993
- მოცეკვავე სახლი, პრაღა, 1996
- ვიტრას დიზაინის მუზეუმი, გერმანია, 1989
- ხელოვნების გალერეა ონტარიოში, ტორონტო
- სინემატეკა, პარიზი
- მარტა პერფორტის მუზეუმი, 2005
- IAC კორპორაციის შენობა, ნიუ იორკი, 2007
- ღვინის ქალაქის კომპლექსი და მარკეს დე რისკალის სასტუმრო, ესპანეთი, 2010
- კლივლენდის კლინიკა, კლივლენდი, 2010
- ბიკმენის კოშკი – შერეული ფუნქციის შენობა, ნიუ იორკი, სპრუსის ქუჩა/8 Spruce Street, 2011

დიზაინი

ავეჯის სერია – მუყაოს ავეჯის პირველი ხაზი – Easy Edges – 1969-1973 ავეჯის მეორე ხაზი – Bentwood Furniture – 1992

სამკაულები – კომპანიისთვის Tiffany & Co.

ნივთები – სკულპტურები (თევზის), სანათები, საოჯახო ნივთები, შუშის ბოთლები კომპანიისთვის Wyborowa Vodka.

კომპიუტერული პროგრამების განვითარება: გერის კომპანიამ შექმნა ინოვაციური არქიტექტურული კომპიუტერული პროგრამა Catya, რომელსაც ის წლების განმავლობაში იყენებს თავისი რთული არქიტექტურული დიზაინის განსახორციელებლად. მან დააფუძნა, ასევე, Gehry Technologies, რომელიც ახალ ტექნოლოგიებსა და ციფრული პროექტებზე მუშაობს.



პრიცკერის პავილიონი, მილენიუმის პარკი, ჩიკაგო



ჯილდოები

1974 წელს გერი აირჩიეს ამერიკის არქიტექტურის ინსტიტუტის მკვლევართა კოლეჯის – College of Fellows – წევრად. მინიჭებული აქვს ამერიკის არქიტექტურის ინსტიტუტის ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ჯილდოები. მათ შორისაა AIA (ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის) ლოს ანჯელესის ფილიალის ოქროს მედალი. ამჟამად არის არქიტექტურაში აღა ხანის ჯილდოს მმართველი კომიტეტის წევრი და მომავლის დიზაინის საბჭოს უფროსი მკვლევარი.

- პრიცკერის პრიზი, 1989
- დოროტი და ლილიან გიშის სახელობის პრიზი, 1994
- მილნეკაათა აკადემიის ოქროს ჯილდო, 1995
- ხელოვნების ეროვნული ჯილდო, 1998
- ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის ოქროს მედალი, 1999
- კუპერ ჰიუიტის ეროვნული დიზაინის მუზეუმის ჯილდო, 2000
- ნიუ იორკში სმიტსონის ინსტიტუტის ვუდრო ვილსონის ცენტრის პრესტიჟული პრიზი – გაწეული საზოგადოებრივი სამსახურისთვის, 2004
- კალიფორნიის გუბერნატორმა არნოლდ შვარცენეგერმა და მისმა მეუღლემ, მარია შრივერმა, ფრენკ გერი დაასახელეს კალიფორნიის ისტორიის, ქალთა და ხელოვნების მუზეუმის Hall of Fame-ის რჩეულად, 2006
- ჰენრი ტერნერის სახელობის პრიზი კონსტრუქციათა ტექნოლოგიაში ინოვაციისთვის შენობების საციონალური მუზეუმისგან – National Building Museum, კომპანიების Gehry Partners და Gehry Technologies-ის სახელით, 2007
- ანდორას მთავრობის მედალი – შარლემანის ორდენი (გერიმ უარი თქვა ამ ჯილდოზე), 2008
- ოქროს ლომი – ვენეციის ბიენალე, 2010
- ჯილდო „25 წელი არქიტექტურაში", 2012




„მორფოზისი“

კომბინატორული ურბანიზმი

მორფოზისის დამფუძნებელი **თომას მეინი** დაიბადა 1944 წელს კონექტიკუტში. მოღვაწეობს ლოს ანჯელესში. განათლება მიიღო სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტსა (1969) და ჰარვარდის უნივერსიტეტის დიზაინის უმაღლეს სკოლაში (1978). სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში არქიტექტურის შესწავლისას მეინის ინტერესი სოციალური პროგრამები და ურბანული დაგეგმარება იყო.

1972 წელს მეინმა დააარსა სამხრეთ კალიფორნიის არქიტექტურის ინსტიტუტი (SCI-Arc) და ინტერდისციპლინარული სტუდია „მორფოზისი“ (ოფისები – სანტა მონიკა და ნიუ იორკი).

ცნობილი თეორეტიკოსი და განმანათლებელი – მეინი მოღვაწეობდა კოლუმბიის, ჰარვარდის, იელის, კალიფორნიის პოლიტექნიკურ, პომონასა და ლოს ანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტებში, სამხრეთ კალიფორნიისა და ბერლაგეს (ჰოლანდია) არქიტექტურის ინსტიტუტებში, ბარტლეტის არქიტექტურის სკოლაში (ლონდონი). ამჟამად ის კალიფორნიის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და არქიტექტურის სკოლის ფაკულტეტის მუდმივი წევრია.





კორპორაცია Giant Interactive -ის სათავო ოფისი, შანხაი, 2011

ჩემთვის მნიშვნელოვანია არქიტექტურული იდეების ჩარჩოში ლოკალიზება. როგორ ხდება არქიტექტურული იდეების გენერირება? თუ გსურთ არქიტექტურული ენის განვითარება, უნდა ფლობდეთ სტრუქტურას, იცავდეთ წესებს. ეს არის ის გზა, რომელიც ესთეტიკამდე მიგიყვანთ/თომ მეინი


„მორფოზისის" – Morphosis – არაორდინარული, ამბიციური პროექტები არა მარტო გარემოს, არამედ ეკონომიკურ, სტრუქტურულ და მენტალურ ცვლილებებსაც იწვევს. კომპანიის ინტერდისციპლინური მიდგომის, მკაცრი დიზაინისა და კვლევის შედეგია ინოვაციური საკულტო შენობები და ახალი ურბანული გარემო. „მორფოზისი" თომას მეინმა 1972 წელს ლივიო სანტინისთან, ჯეიმს სტაფორდთან და მაიკლ ბრაიკელთან ერთად დაარსა. მოგვიანებით მათ მაიკლ როტონდიც შეუერთდა. დღეს „მორფოზისს" მონინავე პოზიცია უჭირავს თანამედროვე არქიტექტურულ კომპანიებს შორის, მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებს მრავალფუნქციურ და მსხვილბიუჯეტიან შეკვეთებს.



კორპორაცია Giant Interactive -ის სათავო ოფისი, ძანხაი, 2011









კუპერ იუნიონი ნიუ იორკი

დიზაინის ფილოსოფია:

კომპანიის არქიტექტურული ხედვა ხელოვნებისა და ფუნქციის გადაკვეთაზე არსებობს. თითოეული პროექტი ახალ კითხვებს, ახალ ამოცანებს აყენებს, რომლებიც სპეციფიკური პრობლემებიდან აღმოცენდება და უნიკალურ გადაწყვეტებს გვთავაზობს. პარამეტრულ მოდელირებასთან ურთიერთობა ხელს უწყობს არქიტექტურის, პოეტიკის, ინჟინერიის და კონსტრუქციის დაკავშირებას. გლობალური ქალაქგეგმარებითი საკითხების ლოკალური შეკითხვების გაანალიზებისას „მორფოზისი" ყოველთვის ინტერდისციპლინარულ მიდგომას გვთავაზობს. კვლევათა სინთეზი, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ინფრასტრუქტურული სფეროების გაერთიანება და კოოპერირება სხვადასხვა კვლევით ლაბორატორიასა თუ დაწესებულებასთან, იმ კითხვების პროვოცირებას ახდენს, რომლის მიზანი შენობის შექმნაა.

საგნების, ობიექტების, დიზაინის პროდუქციის შექმნა (ეს იქნება სკამი, საათი, ჩაის სერვიზი, თუ სანათი საშუალებები) იდეასა და მასალაში ექსპერიმენტების შესაძლებლობას იძლევა. ეს კომბინატორული ურბანიზმია, საკუთარი, მკვეთრად გამოკვეთილი ესთეტიკური ლექსიკონით. გამოფენები, მონოგრაფიები, ვიდეობი და წიგნები საკუთარი ნამუშევრების ტრაექტორიის სირთულის გააზრებასა და არქიტექტურისა და დიზაინის მიღმა სივრცესთან კავშირის დამყარებაში ეხმარებათ.





სკოტ ლი ოფისში

ინტერვიუ სკოტ უონგ ლისთან (მორფოზისი)

ადგილი: Morphosis-ის ოფისი, ვესტ საიდი, 27 ქუჩა,
ნიუ იორკი/153 W 27 st. Suite 1200, NY


დრო: 25 თებერვალი, 2012 წელი

ლ.კ. რა არის „მორფოზისის" ფილოსოფია? რა არის მისი მთავარი კონცეფცია?

ს.ლ. უკანასკნელ პერიოდში „მორფოზისის" ფილოსოფია მნიშვნელოვანად არ შეცვლილა. ორგანიზაცია 1972 წელს დააარსა თომ მეინმა და მისი მთავარი მისია ახლის აღმოჩენა, პროცესებზე დაფუძნებული მუშაობა, ახალი ტექნოლოგიები და მუშაობის ახალი გზების აღმოჩენა იყო. სამუშაოს, რომელსაც ჩვენ ვასრულებთ, დიდი სოციალური მისია აქვს. ასე რომ, ჩემი აზრით, ფილოსოფია არ შეცვლილა, თუმცა, დღეს, როცა ყველაფერი ძალიან სწრაფად იცვლება, განვითარება აუცილებელია, დროს არ უნდა ჩამორჩე, განსაკუთრებით, როცა გლობალური მასშტაბით მუშაობ, როგორც ჩვენ.

ლ.კ. ახალი ტექნოლოგიური მიღწევები, დღევანდელი მედია ახდენს გავლენას „მორფოზისის" საქმიანობაზე?





კუპერ იუნიონის ინტერიერი, ნიუ იორკი

ს.ლ. რა თქმა უნდა. თანამედროვე ტექნოლოგიის გარეშე ჩვენი საქმიანობა თითქმის წარმოუდგენელია. დიზაინს, ცხადია, ჩვენ ვქმნით. ტექნოლოგია დიზაინის კუთხით ჩვენს სამუშაოს არ ანაცვლებს. მას, როგორც ინსტრუმენტს, ისე ვიყენებთ. განსაკუთრებით გვაინტერესებს ის ტექნოლოგიები და კონსტრუქციები, რომლებიც გვეხმარება სხვადასხვა ნაწილის ერთმანეთთან დაკავშირებაში და არა მხოლოდ ლამაზი სურათის შექმნაში.

ლ.კ. რას იტყოდით „მორფოზისის" მეცნიერული გამოკვლევების შესახებ?

ს.ლ. იდეა, მისია, ფილოსოფია, არქიტექტურული ფორმა და მათი ურთიერთკავშირი საინტერესო და მნიშვნელოვანი თემებია, განსაკუთრებით თომისთვის. არქიტექტურის სივრცის შექმნისას იდეები და ფილოსოფია რეალურ მდგომარეობას უნდა შეუსაბამო. არქიტექტურის ფილოსოფიაზე მომუშავე ზოგიერთი არქიტექტორის ნამუშევარი სრულიად განსხვავებულია მისი ფილოსოფიისგან.

ლ.კ. ყოველთვის ადვილი არ არის მათი შერწყმა.

ს.ლ. ნამდვილად ასეა.

ლ.კ. არიან არქიტექტორები, რომლებისთვისაც მხოლოდ ფილოსოფიაა მნიშვნელოვანი (ე.წ. თეორეტიკოსები) და არქიტექტორე-

ბი, რომლებისთვისაც მთავარია მარტო პრაქტიკა. „მორფოზისის“ პრაქტიკა ორივეს მოიცავს.

ს.ლ. დიახ, ეს გასაგებიცაა. არქიტექტურის შემთხვევაში საქმე გვაქვს მშენებლობის პროცესთან, ბიუჯეტთან, განრიგთან. ჩვენი სამუშაო სხვადასხვა კომპონენტის ნაზავია. ამიტომ გასათვალისწინებელია კლიენტი, ადგილმდებარეობა, ქალაქი და სხვა მრავალი დეტალი. ფილოსოფიის თემას რომ დავუბრუნდეთ, ჩვენ ვცდილობთ, ყველა პროექტში ერთიანობაში მოვიყვანოთ ფილოსოფია, არქიტექტურა, ბიუჯეტი, კლიენტის მოთხოვნები და, ამასთანავე, არ დავარღვიოთ ჩვენი კონცეფცია. დღეს ბევრი გამოწვევაა, ყოველდღიურად რაღაც ახალს ვსწავლობთ და ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა დღევანდელი ტექნოლოგიის გარეშე.

ლ.კ. იქნებ მუშაობის პროცესზე მოგვიყვეთ, როგორ იწყებთ: ესკიზით, განხილვით, ადგილმდებარეობის შესწავლით? რა პრინციპით გეგმავთ თქვენს სამუშაოს?

ს.ლ. როგორც წესი, თქვენ მიერ ჩამოთვლილ ყველა კომპონენტს ვითვალისწინებთ. რამდენჯერმე ვუბრუნდებით მას და სხვადასხვა ვარიანტს ვარჩევთ. ეს არ გულისხმობს აუცილებლად „სასურველი“ და „სწორი“ ვარიანტის არჩევას. პირიქით, მისი არჩევა არასწორი ვარიანტების გაცხრილვაა. ყველაზე კარგი პროექტი გადარჩება. ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია.

ლ.კ. თომის გარდა, რამდენი ადამიანია ხოლმე ჩაბმული იდეის ჩამოყალიბების პროცესში?

ს.ლ. ჩვენი გუნდი.


ლ.კ. ეს გუნდი რამხელაა?

ს.ლ. კონცეფციის ჩამოყალიბების ეტაპზე, როგორც წესი, პატარა ჯგუფი მუშაობს. საჭიროა ხშირი შეხვედრები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამ დროს მთავარი იდეებია. თუმცა, გააჩნია პროექტის სიდიდეს. როგორც წესი, ზოგადი იდეების ჩამოყალიბებაში ოთხი ადამიანი მონაწილეობს. ამის შემდეგ გუნდი ფართოვდება და მუშაობაში ყველა ებმება. მაგალითად, პარიზში კოშკის პროექტზე ოცამდე ადამიანი მუშაობს.

ლ.კ. მცირე პროექტებზე თითქმის არ მუშაობთ. რატომ? – დიდ პროექტებზე მუშაობა უფრო ბევრ გამოწვევასთან არის დაკავშირებული, უფრო მეტ სირთულეს ეჭიდებით თუ, უბრალოდ, მუშაობის განსხვავებულ სტილს ირჩევთ?

ს.ლ. რაც უფრო დიდს აშენებ, რა თქმა უნდა, გამოწვევაც უფრო მეტია. ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ დიდი მასშტაბის პროექტები გვაინტერესებს. მაგალითად, სულ ახლახან დავამთავრეთ 10 000 კვ.ფუტის შენობის შიდა სამუშაოები ნიუ იორკის დასავლეთ ნაწილში.

ტორონტოს უნივერსიტეტი, საერთო საცხოვრებელი



ემერსონის კოლეჯი, ლოს ანჯელესი, 2014

ლ.კ. უფრო ზუსტად?

ს.ლ. რესტორანი მეათე გამზირზე, 37-სა და 38-ქუჩებს შორის. ამდენად, ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ დიდ პროექტებს ვაკეთებთ. ჩვენ ისეთი პროექტები გვაინტერესებს, რომლებიც ახალ გამოწვევებს გვთავაზობს არქიტექტურაში. ეს კი პრობლემების ახლებურად გადაწყვეტის საშუალებას გვაძლევს.

ლ.კ. ოდესმე უარი გითქვამთ შემოთავაზებულ პროექტზე?

ს.ლ. კი, ყოფილა ასეთი შემთხვევები.

ლ.კ. იმდენად, რამდენადაც ბევრ ქვეყანაში გიწევთ პროექტირება, ითვალისწინებთ თუ არა ამა თუ იმ ქვეყნების არქიტექტურის ეროვნულ სპეციფიკას? როგორ უყურებთ გლობალიზაციის პრობლემას არქიტექტურაში? „მორფოზისის" პასუხი კითხვაზე, როგორი უნდა იყოს XXI საუკუნის არქიტექტურა?

ს.ლ. ვფიქრობ, ყველა ძალიან მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ასპექტია. შესაბამისად, გამოწვევაც დიდია. მე ბრაზილიაში გავიზარდე. იქ სრულიად განსხვავებული ეკონომიკური მდგომარეობა იყო. ასეთი ქვეყნები ამიტომაც ცდილობენ იპოვონ ახალი გზები, ააშენონ განსხვავებული ნაგებობები, მათ ახლის აღმოჩენის სურვილი აქვთ, ცდილობენ იდეების მაქსიმალურ რეალიზაციას. ამერიკაში კი, ამ მხრივ, მნიშვნელოვანი შეზღუდვებია. ჩინეთი ამის კარგი მაგალითია. ჩვენ შანხაიში ავაშენეთ ისეთი ნაგებობა, რომელსაც, ალბათ, კონტექსტის გამო მსოფლიოს



ემერსონის კოლეჯი, ლოს ანჯელესი, 2014

ვერც ერთ ნაწილში ვერ განვახორციელებდით. ასე რომ, სამშენებლო პროექტის დაგეგმარებისას გასათვალისწინებელია ადგილმდებარეობა, პარამეტრები, კულტურა, ტრადიცია და ა.შ.

ლ.კ. ჩინეთი ახალი იდეების მიმართ უფრო გახსნილია?

ს.ლ. ჩინელებმა კარგად იციან თავიანთი ქვეყნის ისტორია, დიდ პატივს სცემენ საკუთარ წარსულს, მაგრამ მომავალიც აინტერესებთ, მხოლოდ უკან არ იყურებიან.


ლ.კ. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა ბევრი ქვეყნისთვის. ახლა რაზე მუშაობთ?

ს.ლ. ძალიან გაგვიმართლა. ნიუ იორკში კორნელის უნივერსიტეტის ახალ ნაწილს ვაშენებთ. თომი განსაკუთრებით გახარებულია. ეს დიდი გეგმის პირველი ნაწილია, პირველი აკადემიური შენობა, რომელსაც ნულოვანი მანდატი ექნება.

ლ.კ. ნულოვან მანდატში რას გულისხმობთ?

ს.ლ. ეს ნიშნავს, რომ ენერგია, რომელსაც შენობა მოიცავს, მთლიანად მის ფარგლებში გენერირდება. ეს ე.წ. ეკოლოგიური პროექტია და, ამავე დროს, ძალიან ამბიციური.

ლ.კ. რას ფიქრობთ ე.წ. უტოპიურ, „ქაღალდის არქიტექტურაზე“, რომელიც ზოგჯერ მხოლოდ ფურცელზე რჩება, მაგრამ მომავალი საუკუნეების არქიტექტურაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს?



უმერსონის კოლეჯი, ლოს ანჯელესი

ს.ლ. შემდეგი 25-50 წლის განმავლობაში არქიტექტურაში ბევრი ახალი გამოწვევა გაჩნდება, როგორც ეს მოხდა კომპიუტერიზაციის შემთხვევაში. ჩვენთვის ძალიან საინტერესოა, როგორ ავყვებით ახალ მიმართულებებს სხვადასხვა ქვეყანაში. გლობალური დათბობა, მოსახლეობის ზრდა, მესამე სამყაროში საკვების ნაკლებობა, პოლუსებზე ყინულის დნობა – ის გასათვალისწინებელი საკითხებია, რომლებიც ჩვენს ზოგად ხედვას, კონცეფციას უნდა შევუსაბამოთ. ამავე დროს, ჩნდება ახალი ქალაქები. მაგალითად, ახლო აღმოსავლეთში კატარი ამის არაჩვეულებრივი მაგალითია. კატარს მოსახლეობა თითქმის არ ჰყავს, ცოტანი არიან, მაგრამ ახალ ქალაქებს აშენებენ. მივიღეთ მონაწილეობა ერთ-ერთ სამშენებლო კონკურსში. გავფრინდით კატარში ადგილმდეობარეობის სანახავად. 200 ჰექტარ ტერიტორიაზე ქალაქის აშენებას ითხოვდნენ.

ლ.კ. ოცნებების არქიტექტურას ჰგავს.

ს.ლ. კი, ძალიან რთულია.


ლ.კ. ესე იგი, მონაწილეობა არ მიიღეთ?

ს.ლ. მივიღეთ. კონკურსი ასეთი იყო: მოგვცეს ზოგადი პროგრამა, რომელიც მთელ რაიონში ცათამბჯენებისა და საცხოვრებელი სახლების აშენებას გულისხმობდა.



კუპერ იუნიონის ინტერიერი





ემერსონის კოლეჯი, ლოს ანჯელესი

ჩატარებული გამოკვლევის შემდეგ შევთავაზეთ, ცათამბჯენების ნაცვლად, თავდაპირველად აეშენებინათ ცოტა საცხოვრებელი სახლი (საცხოვრებელი შენობები დაემატებოდა მოსახლეობის გაზრდის შემთხვევაში), განეახლებინათ ინფრასტრუქტურა და დანარჩენ ტერიტორიაზე მოეწყოთ მსოფლიოში უდიდესი, უკანასკნელი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სათბური. კატარში პროდუქტის ძირითადი ნაწილი აფრიკიდან შედის. ეს სერიოზული პრობლემაა. თუ ადგილზე საკვების მოსაყვანად სათბურს გამოიყენებდნენ, პერსპექტივაში შესაძლებელი იყო, რამდენიმე წელიწადში კატარს თავად განეხორციელებინა ექსპორტი ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. პროექტი მოეწონათ, მაგრამ აღარ დაგვიკავშირდნენ. მათ მხოლოდ ცათამბჯენები აინტერესებდათ და სხვა კომპანიის საშუალებით განახორციელეს თავიანთი გეგმები.

ეს პროექტი განხორციელების შემთხვევაში, ფაქტობრივად, არა მარტო სტრუქტურულ და მენტალურ, არამედ ეკონომიკურ ცელილებასაც გამოიწვევდა. „მორფოზისს“ აქვს ამბიცია, სერიოზული ძვრები მოახდინოს ქვეყნის კულტურულ თუ ეკონომიკურ განვითარებაში და სწორედ ამით არის ის ძალიან საინტერესო.





კუპერ იუნიონი –კუპერის კავშირი მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებისთვის (Cooper Union)

კუპერის მოედნზე მდებარე Cooper Union-ის ახალი აკადემიური შენობა გამოხატავს იმ ხასიათს, კულტურასა და დინამიზმს, რომელიც ახასიათებს 150-წლიანი ისტორიის მქონე ინსტიტუტსა და იმ ქალაქს, რომელშიც ეს ინსტიტუტი დაფუძნდა. Cooper Union ნიუ იორკის აღიარებულ ინტელექტუალურ და კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბდა; ემსახურება პიტერ კუპერის უკიდურესად ოპტიმისტურ მიზანს, უზრუნველყოს „წყალივით და ჰაერივით თავისუფალი" განათლება. სასწავლებლის მთავარი აკადემიური მიმართულებაა არქიტექტურა, ხელოვნება და ინჟინერია.

შენობის ინტერიერი ისეა დაპროექტებული, სამი სხვადასხვა სკოლის კოლეგებს შორის თანამშრომლობისა და ინტერდისციპლინური დიალოგის შესაძლებლობას იძლევა (ადრე ეს სკოლები ცალ-ცალკე შენობებში იყო განთავსებული).

ვერტიკალური გასასვლელი – სოციალური, ინტელექტუალური და შემოქმედებითი ურთიერთობის ცენტრალური ნაწილი – ახალი აკადემიური შენობის გულია. 20 ფუტის სიგანის დიდი კიბე ტალღისებრი მოაჯირით პირველიდან მეხუთე სართულამდე ადის ცენტრალური ატრიუმით, რომელსაც შუშის ჭერი აქვს და, თავის მხრივ, შენობის სახურავს სწვდება. იყენებენ დაგეგმილი თუ დაუგეგმავი შეხვედრების, სტუდენტთა ლექციებისა და ინტელექტუალური დებატებისთვის...

ორი სართულის სიმაღლის ვესტიბიულიდან დიდი კიბე ოთხი სართულით ზემოთ ადის და მთავრდება სტუდენტების ორი სართულის სიმაღლის დარბაზთან, რომელიც ქალაქს გადაჰყურებს. მეექვსედან მეათე სართულის ჩათვლით ცენტრალური ატრიუმის ირგვლივ მოწყობილია შუშისჭერიანი დარბაზები და შეხვედრის ოთახები, სტუდენტთა დარბაზი, სემინარის ოთახები, საკიდები, მოსასვენებელი ადგილები. ატრიუმში გადებული ხიდები ამ არაფორმალურ სივრცეებს ერთმანეთთან აკავშირებს. დინამიკური ინტელექტუალური სივრცის სტრატეგიის გასაძლიერებლად გამოყენებულია „სართულების გამოტოვებითი გაჩერების“ მოძრაობის ტექნიკა. ძირითადი ლიფტები მხოლოდ პირველ, მეექვსე და მერვე სართულებზე ჩერდება. ამდენად, საზოგადოება აქტიურად იყენებს დიდ კიბესა და ხიდებს. შენობის მეორადი ლიფტებით, რომლებიც ყველა სართულზე ჩერდება, ძირითადად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები სარგებლობენ ან ხელსაწყოების, მასალების, ნამუშევრებისა და აღჭურვილობის გადასატანად იყენებენ.


შენობა გამჭვირვალეა, იგრძნობა სივრცის საჯაროობა და ამით ის დაკავშირებულია ურბანული კონტექსტის ფიზიკურ, სოციალურ და კულტურულ ქსოვილთან. შენობის გამჭვირვალობა კონტექსტშია თავად სასწავლებლის ფილოსოფიასთან – ლიბერალური, ღია და ხელმისაწვდომი განათლება. ქუჩის დონეზე გამვლელთა ყურადღებას მინის ფასადი იქცევს. ჩნდება შენობის დათვალიერების და იქ მიმდინარე პროცესებში ჩაბმის სურვილი. ერთი სართულით ქვემოთ მოწყობილია საგამოფენო გალერეა, საკონფერენციო დარბაზი და 200-ადგილიანი აუდიტორია.

შენობის ბუნებრივი განათება, შუქ-ჩრდილების თამაში ოსტატურად შესრულებული ექსტერიერის ორმაგი გარსის შედეგია, რომლის ნახვრეტებიანი, უჟანგავი ლითონის ნახევრად გამჭვირვალე გარე ფენა შენობის შუშის გარსს ეკვრის. ამით უზრუნველყოფილია ინტერიერის მნიშვნელოვანი ეკოლოგიური კონტროლი და შიგნით მიმდინარე შემოქმედებითი საქმიანობის გამჭვირვალობა. ურბანული კონტექსტის შესაბამისად, შენობის ფორმებიანი ფასადი კუპერის მოედანს გამორჩეულ იდენტურობას ანიჭებს. შენობაში კუთხის შესასვლელიდან ვესტიბიულამდე მისასვლელი თანდათან მაღლდება, რაც ერთგვარი პატივისცემის გამოხატულებაა ინსტიტუტის ისტორიული, კუპერ იუნიონის პირველი შენობის – Foundation Building – მიმართ. ფასადზე გამოსახულია ცენტრალური ატრიუმის საკულტო, მრუდი პროფილი, როგორც შემინული ფიგურა, რომელიც თითქოს გამოკვეთილია მესამე ავენიუს ფასადიდან და შენობის შემოქმედებით და სოციალურ გულს ქუჩასთან აკავშირებს.

Cooper Union-ის შენობა LEED-ის (ლიდერობა ენერგოეფექტურ და ეკოლოგიურ დიზაინში) სერტიფიკატის მქონე პირველი აკადემიური ლაბორატორიის შენობაა ნიუ იორკში. რეიტინგის სისტემით, მას პლატინის სერტიფიკატი აქვს მინიჭებული. ამ მწვანე პროექტის ინიციატივებს შორისაა:

- შენობის ნახვრეტებიანი, უჟანგავი ლითონის ნახევრად გამჭვირვალე პანელების ფუნქციური გარსი, რომელიც გამოყოფილია შუშისა და ალუმი-







ნის ფანჯრის კედლისგან. ეს პანელები ამცირებს სიცხის ზემოქმედებას ზაფხულში და უზრუნველყოფს ინტერიერის იზოლირებას ზამთარში.

- ჭერის მოელვარე პანელები ინოვაციური ტექნოლოგიით არის დამზადებული და ზრდის ენერგოეფექტიანობას. შედეგად, ახალი შენობა 40%-ით მეტ ენერგიას ზოგავს, ამავე ტიპის სტანდარტულ ნაგებობასთან შედარებით.

- შენობის ჭერამდე აზიდული ატრიუმი აძლიერებს ინტერიერის განათებას დღის შუქით, აუმჯობესებს ჰაერის ცირკულაციას.

- შენობის რეგულარულად გამოყენებადი სივრცეების 75% ბუნებრივი შუქით ნათდება.

- მწვანე სახურავი უზრუნველყოფს შენობის იზოლაციას, ამცირებს ქალაქის „ცხელი კუნძულის“ ეფექტს, წვიმის წყალი გროვდება და გამოიყენება.

- კომბინირებული ელექტროსადგური შენობას დამატებითი ენერგიით უზრუნველყოფს, ნარჩენებისგან ახალ ენერგიას გამოიმუშავებს და ენერგომატარებლებზე გადასახადებს ამცირებს.

- მოქნილი, უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი ლაბორატორიები, სახელოსნოები და საკლასო ოთახები ისეა დაპროექტებული, რომ არსებულმა გარემომ მასწავლებლებს ხელი შეუწყოს მიმდინარე პედაგოგიურ თუ მომავალ კვლევით საქმიანობაში.


მწვანე შენობის ამ პროგრესული ინიციატივების ერთობლიობა სოციალურ სივრცეებსა და ურბანულ კონტექსტთან კავშირში ხელს უწყობს კუპერ იუნიონს მომავალში ინოვაციური იდეების, ინტერდისციპლინური ცოდნისა და შემოქმედებითი პრაქტიკის განვითარების გაგრძელებაში.

ჯილდოები

- რომის პრიზი – სტიპენდია, რომის ამერიკული აკადემია, იტალია, 1987
- ამერიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის აკადემია, არჩეული წევრი, 1992
- ამერიკის დიზაინის აკადემიის ჯილდო, 1992
- ბრანერის პრიზი არქიტექტურაში, ამერიკის ხელოვნების და ლიტერატურის აკადემიის ჯილდო, 1992
- ლოს ანჯელესის ოქროს მედალი, AIA, 2000
- კრაისლერის პრიზი საუკეთესო დიზაინისთვის, 2001
- პრიცკერის პრიზი, 2005
- ათი საუკეთესო მნვანე შენობის ჯილდო/AIA, 2007
- ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის/AIA გარემოს კომიტეტის ჯილდო, 2007
- ედვარდ მაკდაუელის მედალი, 2008
- ათი საუკეთესო მნვანე პროექტის ჯილდო, 2009
- ნოიტრას მედალი პროფესიული ბრწყინვალებისთვის, 2011
- ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის /AIA ოქროს მედალი, 2013



მორფოზისის ოფისის ინტერიერი





პროექტები

- სახლი მე-6 ქუჩაზე. სანტა მონიკა, კალიფორნია, 1988
- სიდარ-სინაის კომპლექსური ონკოლოგიური ცენტრი, ლოს ანჯელესი, კალიფორნია, 1988
- კრაუფორდის სახლი, მონტეჩიტო, კალიფორნია, 1988
- სალიკის ჯანდაცვის ოფისი, ლოს ანჯელესი, კალიფორნია, 1991
- დიამონდ სკოლა, პომონა, კალიფორნია, 1995
- ბლეიდზის სახლი, სანტა ბარბარა, კალიფორნია, 1995
- მზის, კომკი, სეული, კორეა, 1997
- ტორონტოს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი, ტორონტო, კანადა, 2000
- ჰიპო ალპე-ადრიას ცენტრი, კლაგენფურტი, ავსტრია, 2002
- სამეცნიერო ცენტრის სკოლა, ლოს ანჯელესი, კალიფორნია, 2004
- კალიფორნიის ტრანსპორტის დეპარტამენტის შტაბ-ბინა, ლოს ანჯელესი, კალიფორნია, 2004
- სან ფრანცისკოს ფედერალური შენობა, სან ფრანცისკო, კალიფორნია, 2006
- ვეინ ლ. მორსის აშშ-ის სასამართლო, იუჯინი, ორეგონა, 2006
- საცხოვრებელი სახლი მადრიდში, ესპანეთი, 2006
- ცინცინატის უნივერსიტეტის სტუდენტთა დასასვენებელი ცენტრი, ცინცინატი, ოჰაიო, 2006
- ოკეანისა და ატმოსფერული მოვლენების შემსწავლელი ეროვნული სამმართველოს თანამგზავრის (NOAA) ოპერირების კონტროლის ცენტრი, სუიტლენდი, მერილენდი, 2007
- კუპერ იუნიონი, ნიუ იორკი, 2009
- ასტრონომიისა და ასტროფიზიკის კაჰილის ცენტრი, კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, პასადენა, კალიფორნია, 2009
- შუქურას კოშკი (Phare Tower), ცნობილი, როგორც Le Phare და The Lighthouse, „მწვანე", ქარის ენერგიაზე მომუშავე საოფისე შენობა. დეფანსის უბანი, პარიზი, საფრანგეთი, 2012
- ბუნებისა და მეცნიერების პეროს მუზეუმი, გამარჯვების პარკი, დალასი, ტეხასი, 2013
- ლოს ანჯელესის ცენტრის ემერსონის კოლეჯი, ლოს ანჯელესი, კალიფორნია, 2014
- კორნელის უნივერსიტეტის ტექნოლოგიური კამპუსი, რუზველტის კუნძული, ნიუ იორკი, 2014
- სადგური და მოედანი ვიგო, გალისია, ესპანეთი, 2016

ემერსონის კოლეჯი, ინტერიერი, ლოს ანჯელესი



ბრიჯიტ შიმი და ჰოვარდ სათკლიფი

ადგილის გენია

ბრიჯიტ შიმი დაიბადა 1958 წელს კინგსტონში (იამაიკა). ბაკალავრის ხარისხი არქიტექტურასა და გარემოს დაცვაში მიიღო ვატერლოოს უნივერსიტეტში. მუშაობდა ვანკუვერში არტურ ერიქსონთან. 1994 წელს ჰოვარდ სატკლიფთან ერთად ტორონტოში დააარსა კომპანია Shim-Sutcliff Architects. ასწავლიდა არქიტექტურულ დიზაინს და ლანდშაფტის არქიტექტურის ისტორიასა და თეორიას ტორონტოს უნივერსიტეტის არქიტექტურის, დიზაინისა და ლანდშაფტის ფაკულტეტზე. იყო მიწვეული პროფესორი იელის უნივერსიტეტში, Ecole politeqnic-ში (ლოზანა) და ჰარვარდის უნივერსიტეტში. 2007 წელს იყო „აღა ხანის არქიტექტურის ჯილდოს“ ჟიურის წევრი.

ჰოვარდ სათკლიფი დაიბადა 1958 წელს იორკშირში (ინგლისი). ბაკალავრის ხარისხი არქიტექტურასა და გარემოს დაცვაში მიიღო ვატერლოოს უნივერსიტეტში. მუშაობდა პოლ მერიკთან ვანკუვერში, რონალდ ტომთან, ბარტომ მაიერთან და ტორონტოში KPMB Architects-ში.

ბრიჯიტ შიმთან ერთად საზოგადოებისა და ქვეყნის ერთგული მსახურებისათვის მიღებული აქვს ქვეყნის უმაღლესი ჯილდო – კანადის ორდენის წევრობა.

ინტეგრალური სახლი, ტორონტო, კანადა, 2009

თანამედროვე სამყაროში ყველა საგნის და მასალის შინაარსის, ფორმის და მიზეზის ძველი ბერძნების მსგავსად გააზრება და მარტივი საგნებისათვის ზუსტი ფორმის პოვნა იოლი არ არის. /ჰენრი ვან დერ ველდე

პრობლემა არა თანამედროვე ცხოვრების შესაფერისი, არამედ ადამიანურ ფასეულობებზე დაფუძნებული ფორმის შექმნაა./ალვარ აალტო

ნაგებობებისათვის ტოპოგრაფიული მდებარეობის ოსტატურად განსაზღვრა, კონტექსტი ლანდშაფტთან, რომელიც ხშირად მითიურ სახეს იღებს და ამ ყველაფერის ოსტატურად შერწყმა ინოვაციურ დიზაინთან, როგორც კონცეპტუალური იდეების ფიზიკურ გამოხატულებასთან – სწორედ ეს გამოარჩევს ბრიჯიტ შიმისა და ჰოვარდ სათკლიფის არქიტექტურას სხვა ჩრდილოამერიკელი ან კანადელი არქიტექტორებისგან.

ბრიჯიტ შიმმა და ჰოვარდ სათკლიფმა 1994 წელს შექმნეს არქიტექტურული დიზაინის კომპანია Shim-Sutcliffe Architects. ისინი მუშაობენ, როგორც მოცულობით არქიტექტურაზე, ისე ლანდშაფტისა და ავეჯის დიზაინზე: პარკებზე, საკულტო ნაგებობებზე, ინსტიტუტებსა და საცხოვრებელ სახლებზე, რომელთა უმრავლესობა სწორედ კანადაში, ტორონტოს სიახლოვესაა. არქიტექტორები კარგად იცნობენ ამ ადგილის გეომორფოლოგიას, კლიმატს, კულტურასა და ისტორიას, რაც მათი ნაგებობებისა და ლანდშაფტის ორგანული შერწყმის საფუძველია.


მათი არქიტექტურული ნამუშევრები დაჯილდოებულია კანადის სამეფო არქიტექტურის ინსტიტუტის მთავარი მმართველის თერთმეტი მედლითა და სხვადასხვა არქიტექტურული პრიზით. მცირე მასშტაბის მიუხედავად, კომპანია მუშაობს დიდ ურბანულ პროექტებზე – ტორონტოს ცენტრის სიმჭიდროვის გაზრდასა და კანადურ ლანდშაფტში დაგეგმარების კონცეფციის შეცვლაზე.

დიზაინის ფილოსოფია

ჩვენთვის არქიტექტურა პოეტური აზრების, სამშენებლო მასალის, გარემოსა და კონკრეტული სოციალური პირობების ჰარმონიულ შერწყმას ნიშნავს. არქიტექტურა გონივრულად ეხება გარემოს და მას ისეთ ფორმას აძლევს, რომელიც ადამიანთა ცხოვრებას ცვლის (ბრიჯიტ შიმი, ინტერვიუ ლ.კ.-სთან).







პროექტები

ჰარისონის კუნძულის ბანაკი – Harrison Island Camp – ჯორჯიან ბეი, ონტარიო, კანადა, 2010

ჰარისონის კუნძულის ბანაკი ხის კარვის შთაბეჭდილებას ტოვებს; შეიქმნა რამდენიმე კონცეპტუალური და ფიზიკური მოდელის დამუშავების შედეგად. ასე არქიტექტორებს საშუალება ჰქონდათ სტრუქტურული სისტემაც განევითარებინათ და, ამავდროულად, სივრცისთვისაც ფორმა მიენიჭებინათ.

ნაგებობა აშენდა მშენებლობისათვის საკმაოდ მიუდგომელ გრანიტის კუნძულზე. მთავარი სირთულე სამშენებლო პროცესის წარმართვა იყო: მთელი სამშენებლო მასალა ჯერ ტბამდე უნდა მიეტანათ, მერე ტივით – კუნძულამდე და ბოლოს ხელით უნდა გადაეტანათ ქვიან ტერიტორიაზე. ამიტომ დიზაინის შექმნისას მნიშვნელოვანი იყო სამშენებლო მასალის სიმსუბუქე და მანევრირების სასუალება. ამ გარემოების გათვალისწინებით, გამოიყენეს მსუბუქი სამშენებლო მასალა. ჰარისონის კუნძულის ბანაკიდან კონტრასტული პანორამა იშლება: ერთ მხარეს – ტყის ჰორიზონტალური ხედი, მეორე მხარეს – წყლის სარკე – მოძრავი ლანდშაფტი. შუშის პანელების საშუალებით მომხმარებელს შეუძლია ქარის მიმართულებისა და მზის კუთხის მიხედვით, თავისი სურვილისამებრ არეგულიროს, თუ რამდენად იქნება გახსნილი ხედი.



სახლი კუნძულზე – Island House – ჰოუის კუნძული, მდინარე სენტ-ლოურენსი, ონტარიო, კანადა, 2001


Island House აშენდა ნიუ იორკის შტატსა და სამხრეთ ონტარიოს შორის მდებარე კუნძულზე. ეს ერთ დროს პასტორალური ლანდშაფტი დღეს ნელ-ნელა სუბურბანულ ადგილად იქცევა. თავდაპირველად არქიტექტორებმა ააშენეს საყრდენი კედელი გზისა და მდინარის ნაპირთან, მთელ ტერიტორიაზე დათესეს ადგილობრივი კულტურა – სამყურა. გარდა იმისა, რომ სამყურას გაზაფხულზე არაჩვეულებრივი სურნელი აქვს, ადგილობრივი ფერმერები მის მოსავალს წელიწადში რამდენჯერმე იღებენ და სოფლის მეურნეობაში იყენებენ.

შესასვლელიდან ჩანს მთავარი საცხოვრებელი სივრცის ზედა ნაწილი, საიდანაც შუშის კედლის საშუალებით ბუნდოვნად მოჩანს ხედი. რამდენიმე საფეხურით ქვემოთ მდებარეობს მთავარი საცხოვრებელი სივრცე, რომელსაც კუბის ფორმა აქვს და სამი მხრიდან წყალი ესაზღვრება. პანორამული ხედები კარგად ჩანს შენობის მთავარი ნაწილიდან. წყლის ბაღი თემატურად დაკავშირებულია მდინარე სენტ ლორენსთან. მთავარი საცხოვრებელი სივრცის კუთხეები გამოკვეთილია მოძრავი კარით, რომლის გახსნის შემდეგ სივრცე სამგანზომილებიან ერთეულად გადაიქცევა. წყალი დომინანტი ელემენტია. ის სინათლეს აფიქსირებს და ლანდშაფტს ეფემერულს ხდის. ამ პროექტში წყლისა და მიწის ლანდშაფტები თანაბრად მნიშვნელოვანია და ერთმანეთში იჭრება.











ინტეგრალური სახლი – Integral House – ტორონტო, ონტარიო, კანადა, 2009

სახლი ადვილად ვიპოვე (გარემოდან საოცრად გამოირჩეოდა). სურათები გარედან გადავიღე და წარწერა Privacy-ს მიუხედავად, ბილიკით კარებთან მივედი. ფარეხში მანქანის ხელოსნის ჭუჭყიან და საკმაოდ შელახულ კომბინიზონში გამოწყობილი კაცი მუშაობდა. სახლის პატრონი ვიკითხე – მე არქიტექტორი ვარ საქართველოდან, პროექტის ავტორების ოფისიდან მოვდივარ სახლის დასათვალიერებლად – დარეკვა ვერ მოასწრეს – მეთქი... შემათვალიერა, პირადობა მომთხოვა და მობრძანდითო, – მკაცრად მითხრა. ინტერიერის დათვალიერებით და სურათების გადაღებით გართულმა, უცებ ვერ შევნიშნე, რომ ხელოსანი სამზარეულოში შევიდა, ყავა მოიდუღა, მაგიდას მიუჯდა და გაზეთის კითხვა დაიწყო... მაშინ მივხვდი, რომ „ხელოსანი“ სწორედ სახლის ექსცენტრული პატრონი იყო...

ეს პროექტი არქიტექტორებს ნიჭიერმა მათემატიკოსმა და მევიოლინემ შეუკვეთა. მთავარი მოთხოვნა იყო ტალღოვანი ფორმები დიზაინში (მათემატიკის მიმართ მისი ლტოლვის გამოსახატად), უწყვეტი სივრცეები ინტერიერში, ბევრი შუშა (ინტეგრირებულობის პრინციპის ხაზგასასმელად) და 150-კაციანი საკონცერტო დარბაზი სახლის შუაგულში; ეს ყველაფერი – ციცაბო ადგილზე.


საკონცერტო დარბაზამდე მისასვლელი გზა ისეა მოწყობილი, სტუმარს ჭალაში სეირნობის განცდა ეუფლება. ხის, ტალღოვანი შიდა პერიმეტრი ახალ ფორმას და სივრცეს ქმნის, ამასთან, სივრცის გამოსაკვეთად და მზის დასაჩრდილადაა გამოყენებული. ამ პროექტმა ცხადად აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია არქიტექტორებისათვის ადგილი, ლანდშაფტი და სინათლე.




ინტეგრალური სახლი, ტორონტო, კანადა. 2009

პროექტები

- ჰარისონის კუნძულის ბანაკი, ონტარიო, კანადა, 2010
- ინტეგრალური სახლი, ტორონტო, კანადა, 2009
- ჰენრი მიდოუს სახლი, კებეკი, კანადა, 2009
- აფრიკული კოლექციის გალერეა, ონტარიო, კანადა, 2009
- ბეთ პაამის სინაგოგა, პორტლანდი, მეინი, აშშ, 2008
- Craven Road სახლი-სახელოსნო, ტორონტო, კანადა, 2006
- წმ. ეკატერინეს სამლოცველო, ტორონტოს უნივერსიტეტი, კანადა, 2006
- სახლი ქარიშხლების კუნძულზე, ჰალიბარტონი, კანადა, 2005
- გალერეა – Corkin Gallery, The Distillery District – ტორონტო, კანადა, 2004
- რობერტსონ დეივის ბიბლიოთეკა, მესის კოლეჯი, ტორონტოს უნივერსიტეტი, კანადა, 2004
- რავინის სახლი-სასტუმრო და არეკლვადი აუზი, დონ მაილსი, კანადა, 2004
- Lismore Road-ის საცხოვრებელი, ტორონტო, კანადა, 2002
- სახლი კუნძულზე, ათასი კუნძული, ონტარიო, კანადა, 2001
- სახლი-კოშკი, სტრატფორდი, ონტარიო, კანადა, 2001
- უჟანგავი ფოლადის სახლი, ტორონტო, კანადა, 2001
- მურლანდის ბანაკის სასადილო, კავაგამას ტბა, კანადა, 2000
- მუსკოკას ტბა, ონტარიო, კანადა, 1999
- ლედბურის პარკი, ნორს იორკი, კანადა, 1997
- სახლი – Orchard House, ონტარიო, კანადა, 1996
- აბაზანის მიშენება, დონ მაილსი, კანადა ,1995
- პავილიონი და ურბანული ბაღი, ტორონტო, კანადა, 1994
- ლანდშაფტური მემორიალი, ნორს იორკი, კანადა, 1995
- ლანეევის სახლი, ტორონტო, კანადა, 1993
- ცხენის ტბის სახლი, ჰალიბარტონი, ონტარიო, კანადა, 1991
- საპარკო პავილიონი და არეკლვადი აუზი, დონ მაილსი, კანადა, 1989



სახლი კუნძულზე, ინტერიერი, ონტარიო, კანადა, 2010



დიზაინი

HAB კოლექცია: HAB სკამი და მაგიდა; „მუსკოკას" გემი-სახლის კოლექცია: დეტალები, კარის სახელურები, სანათები, სანათების სადგამები; ლედბურის პარკის სანათები: სანათები სამანქანო და საფეხმავლო გზებისათვის; ეკლიფსური სანათები; სამედიცინი კაბინეტი ინტეგრირებული სანათებით; უჟანგავი ფოლადის „მზის მაგიდა"; „წყლის მაგიდა" – უჟანგავი ფოლადისა და ბრინჯაოსაგან; წერილების ყუთი.

ჯილდოები

- კანადის საცხოვრებელი ავეჯის კონკურსის ჯილდოები, 1985, 1986, 1987, 1990, 1998
- კანადის სამეფო არქიტექტურის ინსტიტუტის გენერალ-გუბერნატორის ჯილდო არქიტექტურაში პროექტებისათვის: გალერეა – Corkin Gallery – ტორონტო, Craven Road – სახლი-საბელოსნო, ტორონტო; რავინის სასტუმრო სახლი, ტორონტო, 2009
- ხის დიზაინის ჯილდო, 2009
- ციტირების ჯილდო, ინტეგრალური სახლი, ტორონტო, ონტარიო
- ხის დიზაინის ჯილდო, 2006
- საპატიო ჯილდო – Craven Road – სახლი-სახელოსნო, ტორონტო, ონტარიო, 2004
- კანადის სამეფო არქიტექტურის ინსტიტუტის გენერალ-გუბერნატორის ჯილდო არქიტექტურაში რამდენიმე პროექტისათვის: მუსკოკას სახლი-ნავი, მუსკოკას ტბა, ონტარიო; უჟანგავი ფოლადის სახლი, ტორონტო, 2002
- ტორონტოს ხელოვნების ჯილდო არქიტექტურისა და დიზაინისათვის, 2002
- კანადის სამეფო არქიტექტურის ინსტიტუტის გენერალ-გუბერნატორის მედალი არქიტექტურაში – მურლენდის ბანაკის სასადილო, კავაგამას ტბა, ონტარიო, 1999
- კანადის სამეფო არქიტექტურის ინსტიტუტის გენერალ-გუბერნატორის ჯილდო არქიტექტურაში – ლედბურის პარკი, 1998, 1997
- ამერიკის ხის საბჭოს ხის დიზაინის ჯილდო – Craven Road სახლი-სახელოსნო, ტორონტო, 1997
- კანადის სამეფო არქიტექტურის ინსტიტუტის გენერალ-გუბერნატორის ჯილდო არქიტექტურაში Craven Road – სახლი-სახელოსნო, 1998
- კანადის ხის საბჭო, ხის დიზაინის საპატიო ჯილდო და კანადის სამეფო არქიტექტურის ინსტიტუტის გენერალ გუბერნატორის ჯილდო, საცხოვრებლის არქიტექტურის კატეგორიაში – ლანევეის და ცხენის ტბის სახლები, ონტარიო, 1994, 1996
- კანადის სამეფო არქიტექტურის ინსტიტუტის გენერალ-გუბერნატორის ჯილდო არქიტექტურაში – პავილიონი და არეკვლადი აუზი, დონ მაილსი, 1992.
- ჩიკაგოს ატენეუმის და არქიტექტურისა და დიზაინის მუზეუმის საუკეთესო დიზაინის ჯილდო – HAB ავეჯი, 2004
- საუკეთესო დიზაინის ჯილდო – HAB ავეჯი, 2004





TOD WILLIAMS & BILLIE TSIEN




თოდ უილიამსი და ბილი ჩენი


სიღრმისეული ოპტიმიზმის ფილოსოფია

თოდ უილიამსი დაიბადა **1943** წელს დეტროიტში. ხელოვნების ბაკალავრისა (1965) და მაგისტრის ხარისხი (1967) მიიღო პრინსტონის უნივერსიტეტში.

ბილი ჩენი დაიბადა 1949 წელს ითაკაში (შტატი ნიუ იორკი). ხელოვნების ბაკალავრის ხარისხი მიიღო 1971 წელს იელის უნივერსიტეტში, 1977 წელს კი – არქიტექტურის მაგისტრის ხარისხი კალიფორნიის უნივერსიტეტში (ლოს ანჯელესი). თოდ უილიამსი დიდი გამოცდილების მქონე არქიტექტორია. დამოუკიდებელი პრაქტიკის დაწყებამდე ექვსი წელი რიჩარდ მაიერის თანაშემწედ მუშაობდა. პრაქტიკული საქმიანობის პარალელურად ორივე არქიტექტორი აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას მისდევს. ისინი სხვადასხვა დროს ასწავლიდნენ პარსონის დიზაინის სკოლაში, სამხრეთ კალიფორნიის არქიტექტურის ინსტიტუტში, ჰარვარდისა, იელისა და ტეხასის უნივერსიტეტებსა და კუპერ იუნიონში. ბილი ჩენი არქიტექტურული ლიგის, ხელოვნების საჯარო ფონდის, რომში ამერიკული აკადემიისა და ქვედა მანჰეტენის განვითარების კორპორაციის საბჭოს, თოდ უილიამსი კი – პრინსტონის არქიტექტურის სკოლის მრჩეველთა საბჭოს წევრია.



Architecture. Possible here?



Wundercammer-Wonder room
პავილიონი ვენეციის ბიენალეზე, 2012



არქიტექტურა ქმნის სივრცეს, რომელიც ადამიანებს ემსახურება... ყველა სამშენებლო მასალა ბუნებაშია, მთები, ნაკადულები, ჰაერი და სინათლე... მე ვფიქრობ, ყველაზე მთავარი გრძნობა სიხარულია. ტილოზე ერთი მონასმის გაკეთებაც კი შეუძლებელია, თუ ეს არ გახარებს. თქვენ ვერ ააგებთ შენობას, თუ მასთან სიხარულის განცდით არა ხართ გადაჯაჭვული/ლუის კანი.

„საგნები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიტყვები", – წერდა თავის დღიურებში ლეონარდო და ვინჩი[1]. ეს სიტყვები ზუსტად ასახავს თოდ უილიამსისა და ბილი ჩენის არქიტექტურულ კრედოს, კომპანია Tod Williams, Billie Tsien and Associates-ის სტილს, რომელიც თეორიისა და პრაქტიკის, არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების სინთეზს წარმოადგენს. კონტექსტის განცდა, მასალის საოცარი შეგრძნება და მისი ფიზიკური სუბსტანციის წინა პლანზე წამოწევა მათი შემოქმედების მთავარი დამახასიათებელი ნიშანია. დეტალების მიმართ უდიდესი ყურადღება კი ერთგვარ ტექსტილურ სინატიფეს სძენს მათ ნამუშევრებს. მოდერნის საუკეთესო პრინციპებთან შეხამებული მინიმალიზმი ამ ტანდემს თანამედროვე ამერიკელი არქიტექტორებისგან გამოარჩევს.

უილიამსსა და ჩენს განხორციელებული აქვთ პროექტები ისეთ ხელოვანებთან, როგორებიც არიან ჯეკი ფერერა, მერი მისი და ელინ ციმერმანი. კომპანიისთვის Elisa Monte Dance Company მათ შექმნეს სასცენო დეკორაციები და კოსტიუმების ესკიზები; მინეაპოლისის უოლკერის ხელოვნების ცენტრის სპონსორობით დაამზადეს მოძრავი ინსტალაცია-გამოფენა, სახელწოდებით Domestic Arrangements: A Lab Report (1989-1990), რომელშიც თანამედროვე კონტექსტში სოციალური იდეალიზმისა და ესთეტიკური დისციპლინის რელევანტურობაა ნაჩვენები. დააპროექტეს ლონგ აილენდში ნაგუჩის მუზეუმის გენგეგმა და მოძრავი ინსტალაციები ნაგუჩის ფონდისთვის. ამერიკაში ჩინელთა მუზეუმისათვის შექმნეს მუდმივი საგამოფენო სივრცე. 2012 წელს პენსილვანიაში გაიხსნა მათი პროექტით აშენებული ბარნსის კოლექციის მუზეუმი. მიმდინარე პროექტებს შორის განსაკუთრებულად საინტერესო ბიოსაინჟინრო შენობა პენსილვანიის უნივერსიტეტში, აღმოსავლეთ აზიის ბიბლიოთეკა კალიფორნიის უნივერსიტეტში (ბერკლი) და საკონფერენციო ცენტრი ვუდზ ჰოულის ოკეანოგრაფიის ინსტიტუტში.

1. The Notebooks of Leonardo Da Vinci, Oxford University Press, 1998


დიზაინის ფილოსოფია

ჩვენ არქიტექტურას აღვიქვამთ, როგორც მნიშვნელოვან ოპტიმისტურ ქმედებას. ის ეფუძნება რწმენას, რომ დედამიწაზე შესაძლებელია შეიქმნას ისეთი ადგილები (სივრცეები), რომლებიც ღირსეული ცხოვრების გამოხატულება იქნება. ეს არის ის, რასაც გავცემთ და ვტოვებთ ჩვენ შემდეგ.[1]

არქიტექტურა არასდროს არის ერთი ადამიანის გენიალობის ნაყოფი. ის ბევრად მეტია, ვიდრე რომანტიუკული ხედვა. დიზაინის ფორმა შეიძლება იყოს მარტივი, როგორც ჩინური ნაქარგობის ერთი ნაწილი, მაგრამ ნახატის სიმდიდრე სხვადასხვა ნაწილის ერთიანობით იქმნება.

სამუშაოს ღირებულებას აგებულ შენობებში ცხოვრებით მილებული სიამოვნებით ვაფასებთ. გვჯერა, რომ ჩვენს შენობებს მკვეთრი სტრუქტურა და კარგი ინჟინრული ლოგიკა აქვს. გვსურს გადავჭრათ პრობლემები და გავცდეთ არსებულ ჩარჩოებს, ვიმუშაოთ კეთილსინდისიერად და ავაგოთ ისეთი შენობები, რომლებიც გაუძლებს დროს, რომლებსაც შეიყვარებენ და რომლებიც სამყაროს უკეთესობისაკენ შეცვლის (ბილი ჩენი, ინტერვიუ – ლ.კ.-სთან).

1. Work-Life, ტოდ უილიამსი და ბილი ჩენი. The Monacelli Press, 2008, გვ 11



Wundercammer-Wonder room,
პავილიონი ვენეციის ბიენალეზე, 2012





Wundercammer-Wonder room,
პავილიონი ვენეციის ბიენალეზე, 2012





ბილი ჩენი ოფისში

ინტერვიუ ბილი ჩენთან

დრო: 20 მაისი, 2012 წელი.

ადგილი: Tod Williams, Billie Tsien &Associates ოფისი ცენტრალ პარკის მახლობლად (222 Central Park South),

მეორე სართული, ნიგნებით სავსე შეხვედრების ოთახი – ბილი და მე. თოდი მხოლოდ რამდენიმე წუთით შემოგვიერთდა, კენეტ ფრემპტონის ამბები მკითხა, საბჭოთა ავანგარდსა და დღევანდელ პრობლემებზე ხუთი წუთი გველაპარაკა და დაგვტოვა – ერთ კვირაში ბარნსის ფონდის შენობის ოფიციალური გახსნა იყო დაგეგმილი (რომელსაც ოფისი ამთავრებდა) და თოდი, რომელიც ყველა დეტალს საგულდაგულოდ ამოწმებს, ამჯერად შენობისთვის კერამიკული ლარნაკების შესაძენად თვითონ მიდიოდა.



თოდ უილიამსი ოფისში



ოფისის ინტერიერი

ლ.კ. ბილი, თქვენს წიგნში Work-Life საუბრობთ სიღრმისეული ოპტიმიზმის კონცეფციასა და მცდელობაზე, შეიქმნას ისეთი ადგილები (სივრცეები), რომლებიც ღირსეული ცხოვრების გამოხატულება იქნება... ძალიან საინტერესო მიდგომაა. ხომ არ განმარტავდით?

ბ.ჩ. ჩვენ ვქმნით სივრცეს – ადგილს. უპირველესი ამოცანაა, ამ სივრცემ (შენობამ) დიდხანს იარსებოს, მეორე – სიჩუმის განცდას ატარებდეს. ჩვენ შენობა წარმოგვიდგება არა როგორც საგანი, ობიექტი, არამედ როგორც კონტეინერი. ამას კი საფუძვლად უდევს ძალიან მძაფრი სურვილი, რომ სამყარო უკეთესობისაკენ შევცვალოთ. ეს ჩვენი შემოქმედების ერთგვარად გულუბრყვილო, მაგრამ მტკიცე საფუძველია. მე ყოველთვის ვამბობ, რომ, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს მსახურებაა. მონუმენტურობა არანაირ კავშირში არ არის შენობის ზომასთან – მონუმენტურია შენობა, რომელიც გაუძლებს დროს. შენობის დაპროექტებისას სწორედ ამას ვაქცევთ ყურადღებას. ალბათ ამიტომ, თანამედროვე არქიტექტორებისაგან განსხვავებით, ჩვენი შენობები ძალიან მძიმე და მყარია. აშკარად ჩანს სურვილი, გნებავთ, ამბიცია, ნაგებობამ საუკუნეებს გაუძლოს.


ლ.კ. დროთა განმავლობაში თქვენი კონცეფცია ხომ არ შეცვლილა?

ბ.ჩ. ვფიქრობ, არა. დამკვეთების უმეტესობა იზიარებს მყარი და მდგრადი ნაგებობების შექმნის ჩვენეულ კონცეფციას. დროთა განმავლობაში ჩვენი შენობები ალბათ უფრო გამარტივდა, ეს კი საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა მასალის გამოყენებით ჩავატაროთ ექსპერიმენტები. მაგალითად, ბარნსის ფონდის სამუზეუმო შენობის (მარტივი, ოთხკუთხა კონტეინერი) მოსაპირკეთებლად მრავალფეროვნებისათვის სხვადასხვა მასალა გამოვიყენეთ. აფრიკული ქვაც გამოვიყენეთ იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ ალბერტ ბარნსის (მუზეუმის დამაარსებლის) უნიკალურ კოლექციაში, იმპრესიონისტებისა და პოსტიმპრესიონისტების გვერდით, აფრიკული ხელოვნების ბევრი საინტერესო ნიმუშია. შენობის ინტერიერი ჩვენთვის ყოველთვის უფრო მთავარია, ვიდრე ექსტე-

რიერი. დიზაინს ყოველთვის შიგნიდან ვიწყებთ და შემდეგ გადავდივართ გარე ფასადზე. „ღირსეული ადგილი" – სივრცე – „შიგნით მყოფობაა". ეს იგივეა, რაც თქვენი სული, თქვენი ინტერიერი. ასეთი მიდგომა ნათლად ასახავს ჩვენს ფილოსოფიას: შენობა არის ადამიანური ცხოვრების კონტეინერი და ის შიგნიდან გარეთ ვითარდება. ძალიან ადვილია რთული, ეპატაჟური, გარეგნულად მომხიბვლელი იდეის შეთავაზება. ბევრად უფრო რთულია იდეების გამარტივება. ჩვენ არ ვუყურებთ შენობებს, როგორც სკულპტურულ ნიმუშებს ან ცალკე აღებულ ლანდშაფტს. ჩვენი მიზანია, ნაგებობა გარემოსთან იყოს კონტექსტში.

ლ.კ. ბარნსის შენობა ადვილი დასაგეგმარებელი არ იყო სწორედ თავისი კონტექსტის გამო...

ბ.ჩ. სამშენებლო ტერიტორიის გარშემო განლაგებულია სხვადასხვა საზოგადოებრივი შენობა: ბენჯამინ ფრანკლინის პარკი, ფრანკლინის ინსტიტუტი, რომელიც, ამავე დროს, სამეცნიერო მუზეუმია, ხელოვნების სკოლა, დიდი საჯარო ბიბლიოთეკა და ქუჩის ბოლოს – ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმი. ქუჩაზე 12 სამოძრაო ზოლია. 1929 წლის შემდეგ აქ არც ერთი ახალი შენობა არ აგებულა. ბარნსის ფონდი კონტექსტში უნდა ყოფილიყო გარშემორტყმულ შენობებთან. ბევრი ვიფიქრეთ მასალაზე და არჩევანი შევაჩერეთ სხვადასხვა ფერის კირქვაზე, რომელიც ისრაელიდან ჩამოვიტანეთ. ისრაელის კირქვა მნიშვნელოვნად განსხვავდება ინდიანური კირქვისგან. ამ გადაწყვეტილებით შენობებს შორის კავშირი დავამყარეთ: ნეო კლასიკური საჯარო ბიბლიოთეკა კირქვისგან არის აგებული, ფილადელფიის ნეოკლასიკური ხელოვნების მუზეუმი – მინესოტური ყვითელი კირქვისგან, ბარნსის ფონდი კი სადღაც მათ შორისაა.



ბარნსის მუზეუმი, ფილადელფია, აშშ, 2012

ჩვენს ყველა შენობას ფესვები ღრმად აქვს გადგმული, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით – მყარი შენობები აუცილებლად გაუძლებს დროს, თაობებს. სწორედ ეს გამოარჩევს მათ სხვა ნაგებობებისაგან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ჩვენი ნამუშევრები ხალხმა არა მხოლოდ დაინახოს, ერთი შეხედვით მოიწონოს და დაივიწყოს, არამედ აღმოაჩინოს და შეიყვაროს. როდესაც შენობას ხელმეორედ უბრუნდები, აკვირდები, სწავლობ და ამის შედეგად აღმოაჩენ მის სილამაზეს, სიღრმეს, ზუსტად ისე, როგორც ადამიანს შესაცნობად ღრმად უნდა ჩახედო თვალებში... თუ ეს ხდება, ჩვენი მისია შესრულებულია.



ლ.კ. თქვენსა და თოდს შორის რა განსხვავებაა? რას აკეთებს თოდი და რას – თქვენ?

ბ.ჩ. პირველ რიგში, ის განსხვავებაა, რაც არის ქალსა და მამაკაცს შორის. ჩემი აზრით, თოდი ბევრად უფრო რისკიანია, ფიზიკურადაც მეტად აქტიურია. მე უფრო თავშეკავებული ვარ. შეიძლება ეს ჩემი ჩინური წარმომავლობის ბრალია, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვრისკავ. შედარებისათვის, მე უფრო ღუზა ვარ, ის კი – ძრავა. მე და თოდს შეიძლება ხელოვნების ერთი და იგივე ნიმუში მოგვეწონოს, მაგრამ – განსხვავებული მიზეზის გამო. ასე ხდება პროექტებზე მუშაობის დროსაც, საბოლოო შეთანხმებამდე სხვადასხვა და რთული გზის გავლა გვიწევს. განსხვავებული ხედვის გამო ვკამათობთ კიდეც. თოდი სამ განზომილებაში ხედავს სივრცეს, მე – სიბრტყეში. ის სივრცუ-



ბარნსის მუზეუმი, ინტერიერი, ფილადელფია, აშშ, 2012

ლად წარმოიდგენს, მე – ბრტყელ ნაწილებად. თოდს განსაკუთრებით აინტერესებს სტრუქტურა, მექანიზმი. ჩემთვის მნიშვნელოვანია სიბრტყე, ზედაპირი და ფერები. შემდეგ ამ ჩვენს იდეებსა და ხედვებს ვაერთიანებთ და იქმნება პროექტი. ამიტომაც ვმუშაობთ ერთად. ყველას აინტერესებს, როგორ გვაქვს საქმიანობა დანაწილებული ტანდემში, მით უმეტეს, რომ ცოლ-ქმარი ვართ. თუ ერთგვარ სქემას გავაკეთებთ, ვინ რაზეა პასუხისმგებელი, სტერეოტიპულ სურათს მივიღებთ (მამაკაცის და ქალის როლების განაწილებით), რაც მიუღებელია. თოდი, ძირითადად, მუშაობს ფორმაზე, სტრუქტურაზე, კონსტრუქციაზე, კლიენტებთან მოლაპარაკებაც მისი პრეროგატივაა. მე უფრო ფერებით, ინტერიერით, მასალითა და საოფისე საქმიანობით ვარ დაკავებული. ყველა ნამუშევარი, იდეა, პროექტი როგორც თოდს ეკუთვნის, ისე მეც.

ლ.კ. პროექტირების პროცესი რთულია? როგორ იწყებთ – ჩანახატებით თუ იდეების გენერირებით?

ბ.ჩ. ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია სამშენებლო ადგილისა და კონტექსტის შესწავლა, მერე – მასალის შერჩევა... როგორც წესი, ეს მშენებლობის ადგილის დათვალიერების შემდეგ ხდება. ვგულისხმობ არა მხოლოდ კონკრეტულ სამშენებლო ადგილს, არამედ გარემოს, იქ არსებულ ნაგებობებს. კონტექსტის ბოლომდე აღსაქმელად უნდა იცნობდე ქვეყნის ისტორიას, კულტურას... მაგალითად, ინდოეთში პროექტის მომზადების წინ ამ ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაზე 50 ინდური წიგნი მაინც წავიკითხე. სწორედ

ამან მომცა კონტექსტის კარგად გაგების შესაძლებლობა. ზოგიერთ შემთხვევაში არსებული გარემოც საკმარისია, როგორც ეს მოხდა ბარნსის შენობის შემთხვევაში.

ლ.კ. რა შეიძლება გახდეს შთაგონების წყარო?

ბ.ჩ. სხვადასხვა რამ... ჩვენთვის მნიშვნელოვანია დეტალები. ბევრ რამეს ვაქცევთ ყურადღებას... ხელოვნების ნიმუშებსაც ვაგროვებთ, გვაინტერესებს ფოლკ-არტი, ტექსტილი, თექა...

ლ.კ. კონცეფციაზე საუბრისას მსახურება ახსენეთ...

ბ.ჩ. ჩემი აზრით, არქიტექტორისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია საზოგადოების და არა რაღაც განყენებული იდეის მსახურება. უტილიტარულად ჟღერს? მაგრამ, რეალურად, ეს სერიოზული საქმეა. საკუთარი მოთხოვნილებისა და ამბიციის უკანა პლანზე გადანევა და ხალხის სამსახურში ჩადგომა, პრობლემის გადაჭრა საზოგადოების სასარგებლოდ, ჩემი აზრით, ღირსეული მსახურებაა.

ლ.კ. როდის ხვდებით, რომ პროექტირება დასრულებულია?

ბ.ჩ. უმეტესად, მაშინ, როცა დამკვეთი გვეტყვის, რომ უკვე დამთავრების დროა. თოდი მუდამ რაღაცის გაუმჯობესებაზე ფიქრობს, არ ჩერდება, ალბათ უსასრულოდ გააგრძელებდა დეტალების შეცვლას. მე უფრო პრაქტიკოსი ვარ, შემიძლია წერტილი დავსვა და ვთქვა, რომ შესაცვლელი აღარაფერია. ზოგადად, ჩვენ დიზაინზე ბოლო წუთამდე ვმუშაობთ.

ბარნსის მუზეუმი, ინტერიერი, ფილადელფია, აშშ, 2012





ლ.კ. საყვარელი პროექტი თუ გაქვთ? ან გარკვეული დროის შემდეგ გიფიქრიათ, რომ ამ პროექტს სულ სხვანაირად შეასრულებდით?

ბ.ჩ. ჩვენ ყველა პროექტს ერთნაირად ვგრძნობთ და განვიცდით. ზოგიერთზე გვითქვამს, რომ უკეთესად შეიძლებოდა გაკეთება. ეს ჩვენთვის სწავლისა და გამოცდილების პროცესია. თუმცა, რამდენიმე მათგანი მაინც განსაკუთრებულია იმით, რომ ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებს გამოხატავს, მაგალითად, ნეირომეცნიერებათა ინსტიტუტი კალიფორნიაში. ეს, რეალურად, ჩვენი პირველი დიდი პროექტი იყო, რომელშიც ლანდშაფტს განსკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ამის შემდეგ იყო ნიუ იორკის ამერიკული ფოლკლორული ხელოვნების მუზეუმი, რომელიც, სამწუხაროდ, დაიხურა. ეს განსაკუთრებული პროექტი იყო – პირველი მუზეუმი, რომელიც თავიდან ბოლომდე ჩვენი გეგმარებითა და დიზაინით შესრულდა. ასევე განსაკუთრებულია ბარნსის ფონდის შენობა.



ლ.კ. ვის მიიჩნევთ არქიტექტურაში თქვენს მასწავლებლად?

ბ.ჩ. ერთ-ერთი, ალბათ, ლუის კანია.[1] თოდს ყოველთვის მოსწონდა ის, მე – ნაკლებად, თუმცა მოგვიანებით სხვანაირად დავაფასე. კანის ნაგებობებიც მძიმე, ძლიერი და „მარადიულია"; ასევე, ალვარ აალტო...[2] საოცარი ნოვატორი იყო. ვმეგობრობთ გლენ მერკატთან.[3] მის ნამუშევრებში კარგად ჩანს ეთიკა და გარემოსთან საოცრად ფაქიზი დამოკიდებულება.

ლ.კ. ფრემპტონი ამბობს, რომ თანამედროვე არქიტექტურული პრაქტიკა არსებობას მხოლოდ რეგიონალიზმის პრინციპზე დაყრდნობით მოახერხებს და თქვენს ნამუშევრებსაც ამ სტილში მოიაზრებს. თქვენი აზრით, რეგიონალიზმი აქტუალურია?



ბარნსის მუზეუმი, ფილადელფია, აშშ, 2012

ბ.ჩ. ძნელი სათქმელია. ჩვენ არცთუ ისე ბევრ ქვეყანაში ვმუშაობთ: ამერიკაში, ინდოეთსა და ჰონკონგში – სულ ესაა. იმედია, რეგიო- ნალიზმის ტენდენციები აისახა ჩვენს ნამუშევრებში. ჰონკონგში, ალბათ, ნაკლებად – ის მაინც საერთაშორისო ქალაქია. ინდოეთში გვინდა „ინდური შენობა" ავაგოთ, როგორც ამას ლუის კანი ცდილობდა ინდოეთის მენეჯმენტის ინსტიტუტზე მუშაობისას.

რომელ ქვეყანაშიც არ უნდა მოხვდე, იქაური ნაგებობები უნდა გიყვებოდნენ იმ ქვეყანისა და ხალხის ისტორიას.

სამწუხარო იქნება, თუ მთელი მსოფლიო აეროპორტებს დაემსგავსება – სადაც არ უნდა ჩაფრინდე, ერთნაირი გარემო და სერვისი დაგხვდება, შეიძლება ვერც გაარჩიო, რომელ ქვეყანაში ხარ. მაგრამ მინდა იმედი ვიქონიო, რომ მსოფლიოს ეს არ ემუქრება...

---

1. **ლუის იზადორ კანი** (1901-1974) – ესტონური წარმოშობის ამერიკელი არქიტექტორი. ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა მეოცე საუკუნის ამერიკულ და მსოფლიო არქიტექტურაში. გამორჩეული პროექტები: სალკის ინსტიტუტი, კიმბელის ხელოვნების მუზეუმი, იელის არტგალერეა, ბრიტანული ხელოვნების ცენტრი იელში და სხვ.

2. **ალვარ აალტო** (პუგო ალვარ-ჰენრიკ აალტო) (1898-1976) – ფინელი არქიტექტორი. ნამუშევრები აერთიანებს არქიტექტურას, ავეჯს, ტექსტილს შუშას. მოდერნიზმის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი. აალტოს არქიტექტურამ გააერთიანა ფინეთის არქიტექტურული ტრადიცია, მასალა და საერთაშორისო სტილის ელემენტები. ის მიიჩნევა რეგიონალიზმისა და ორგანული არქიტექტურის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

3. **გლენ მერკატი** (1936) – ავსტრალიელი არქიტექტორი, პრიცკერის პრიზის ლაურეატი. ცნობილია მცირე ზომის ეკონომიკური პროექტებით, რომლებიც გამოირჩევა მდგრადობით, ენერგიის ეკონომიურობით და გარემოს კონტექსტის გათვალისწინებით.

ლ.კ. რას იტყვით თანამედროვე ამერიკულ არქიტექტურაზე?

ბ.ჩ. დღეს ვეღარ ვაშენებთ ისეთ ნაგებობებს, როგორებსაც ადრე, ისეთს, როგორსაც კანი აშენებდა. რა არის ამის მიზეზი? ნაწილობრივ – ეკონომიკური კრიზისი, ნაწილობრივ – გლობალიზაცია. დღეს მთავარი პრობლემა ინდივიდუალიზმის დაკარგვაა.

ლ.კ. არქიტექტურაში ოცნების, უტოპიის გჯერათ?

ბ.ჩ. დიდ პატივს ვცემ მეოცნებეებს. ზოგადად, უტოპია ადამიანებზე, მათ შორის, არქიტექტორზეც, დიდ გავლენას ახდენს, მაგრამ, ჩემი აზრით, ჩვენი საქმიანობა რეალობაზეა დაფუძნებული. ის დაკავშირებულია შესაძლებლობებთან, ბიუჯეტთან, ადგილთან, პროგრამასთან. განყენებული იდეებისათვის მცირე ადგილი რჩება. ყოველ შენობას აქვს თავისი ისტორია, წარსული, შეიძლება მითიც, მაგრამ ეს სულ სხვაა. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია დიზაინის განვითარება არსებული რეალობიდან, არსებული საკითხებიდან და რეალური პრობლემებიდან გამომდინარე. მხოლოდ ამის შედეგად შეიძლება შეიქმნას უკეთესი გარემო.

ბილის ერთი კვირით დავემშვიდობე – მუზეუმის გახსნაზე ვაპირებდი ჩასვლას. შენობა, მართლაც, ძალიან საინტერესო გამოვიდა. იმავე წლის სექტემბერში ბილის მოულოდნელად შევხვდი ვენეციის ბიენალეზე People Meet in Architecture – თოდთან ერთად ლექციას კითხულობდა და კრეატიული მხატვრულ-არქიტექტურული პროექტი ჰქონდა წარმოდგენილი არსენალეზე – პავილიონი Wundercammer-Wonder room – არქიტექტორთა არტეფაქტების ფანტასმაგორიული სივრცე. ყუთებში ცნობილი არქიტექტორების – პეტერ ცუმტორის, შიგერუ ბანის, სტივენ ჰოლის, პიტერ აიზენმანის, ელიზაბეტ დილერის, რიკარდო სკოფიდიოს, ჩარლზ რენფროს, ტოიო იტოს, რიჩარდ მაიერის, ტომ მეინის, ბრიჯიტ შიმისა და ჰოვარდ სატკლიფის – მიერ შერჩეული ნივთები იყო თავმოყრილი და ერთგვარ მისტიკურ სამყაროში გადაჰყავდა დამთვალიერებელი.



Wundercammer-Wonder room, პავილიონში შესასვლელი, ვენეციის ბიენალე



ამერიკის ფოლკლორული ხელოვნების მუზეუმი,
American Folc Art Museum, 2001.

ტექსტილური არქიტექტურის საინტერესო ნიმუში მანჰეტენში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის (MOMA) გვერდით მდებარეობს. ფასადის ორიგინალური გადაწყვეტა – ბრინჯაოსა და თითბრისფურცლოვანი პანელების მოძრაობა – მათი ერთგვარი მოკეცვა შიგნით – მზის ამოსვლასა და ჩასვლაზეა დამოკიდებული და შენობას სკულპტურულ ფორმას სძენს. მუზეუმს უამრავი არქიტექტურული ჯილდო აქვს მიღებული.

2009 წელს შენობა MOMA-მ იყიდა და 2014 წელს მისი დანგრევის სკანდალური გადაწყვეტილება მიიღო. აქ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის გაფართოების პროექტი უნდა განხორციელდეს – დილერ სკოფიდიო + რენფროს პროექტი. ელიზაბეტ დილერის განცხადებით, არქიტექტორების დიდი მცდელობის მიუხედავად, შენობის შენარჩუნება ვერ მოხერხდა ახალი ფუნქციების გამო. ისინი შეინარჩუნებენ მხოლოდ მუზეუმის იკონიკურ ფასადს – დაშლიან და თავიდან ააწყობენ მას, როგორც ნიუ იორკის ერთ-ერთ სიმბოლოს. მის ადგილზე აიგება შუშის შენობა, რომელიც დააკავშირებს MOMA-ს არსებულ შენობას 82-სართულიან ახალ კოშკთან/არქიტექტორი ჟან ნუველი.



დევიდ რუბენშტაინის ატრიუმი (2012) ლინკოლნის ხელოვნების ცენტრში შესასვლელს წარმოადგენს. არქიტექტორების ინოვაციურმა დიზაინმა გამოუყენებელი საზოგადო სივრცე ცოცხალ გარემოდ, ლინკოლნ ცენტრის კარიბჭედ გადააქცია. სინათლე, ტექსტურა, ვერტიკალური გამწვანება კედლებზე, წყლის წვრილი ჭავლები, რომლებიც ქვის იატაკს ეცემა, მარმარილოს სკამები და არტინსტალაციები ახალ ატრიუმს მყუდრო გარემოდ აქცევს.

AMERICAN FOLK ART MUSEUM





ბარნსის მუზეუმის შენობა,
ფილადელფია, 2012

თავად ეს შენობა ლუის კანის არქიტექტურის ტრადიციის გაგრძელებაა.
ის შეიქმნა, როგორც ერთგვარი კონტეინერი ალბერტ ბარნსის (მუზეუმის დამაარსებლის) ხელოვნების უნიკალური კოლექციისათვის, რომელიც აერთიანებს იმპრესიონისტების, პოსტიმპრესიონისტებისა და აფრიკული ხელოვნების ბევრ საინტერესო ნამუშევარს. მუზეუმი ითავსებს საგანმანათლებლო ფუნქციასაც. დიზაინი აერთიანებს ხელოვნებას, გარემოს, ესთეტიკას... ესაა გალერეები ბაღში და ბაღი გალერეებში.





ოფისის ინტერიერი

პროექტები

- ჰერფორდის კოლეჯი, ვირჯინიის უნივერსიტეტი, 1992
- ნეიროლოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, ლა ჰოია, 1995
- ლონგ აილენდის საცხოვრებელი სახლი, ნიუ იორკი, 1999
- კრენბრუკის სკოლის დახურული საცურაო აუზი, ბლუმფილდ ჰილზი, მიჩიგანი, 1999
- ამერიკის ფოლკლორული ხელოვნების მუზეუმი, ნიუ იორკი, 2001
- სკირკანიჰის დარბაზი, პენსილვანიის უნივერსიტეტი, 2006
- ფენიქსის ხელოვნების მუზეუმი (მიშენება), ფენიქსი, არიზონა, 2006
- ბარნსის ფონდი/საგამოფენო სივრცე კერძო კოლექციისთვის, 2012



ჯილდოები

- ხელოვნებისა და ლიტერატურის ამერიკული აკადემიის ჯილდო, 2007-2009
- ნიუ იორკის არქიტექტურული ლიგის პრეზიდენტის მედალი, 2004
- კუპერ ჰიუიტის ეროვნული ჯილდო დიზაინში, 2003
- თომას ჯეფერსონის მედალი არქიტექტურაში, 2003
- კრაისლერის ჯილდო ინოვაციისთვის დიზაინში, 1998
- არნოლდ ვ. ბრუნერის მემორიალური პრიზი, ხელოვნებისა და ლიტერატურის ამერიკული აკადემია, 1996
- ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის ნიუ იორკის განყოფილების – AIA/NY – ღირსების მედალი, 1999
- AIA/NY ღირსების ეროვნული მედალი, ინტერიერის არქიტექტურა, დევიდ რუბენშტაინის ატრიუმისათვის/ ლინკოლნის ცენტრი, 2011
- AIA/LA და ამერიკის ბიბლიოთეკის აკადემიის ჯილდო ბიბლიოთეკის შენობისთვის, კორნელიუს ვან დერ სტარის აღმოსავლეთ აზიის ბიბლიოთეკა, 2009
- AIA/NY ჯილდო დიზაინისთვის, სკირკანიჰის დარბაზი, 2008
- AIA/NY ჯილდო დიზაინისთვის, სახლი შელტერ აილენდზე, 2005
- AIA/NY ჯილდო დიზაინისთვის, ბიბლიოთეკა, 2003
- AIA/NY ღირსების ეროვნული მედალი, ამერიკის ფოლკლორული ხელოვნების მუზეუმი, 2003
- AIA/NY ჯილდო დიზაინისთვის, ამერიკის ფოლკლორული ხელოვნების მუზეუმი, 2002
- AIA/NY ჯილდო დიზაინისთვის, სტუდენტთა ცენტრი, 2002
- ბრენდენ ჰილის პრიზი ამერიკის ფოლკლორის ხელოვნების მუზეუმი, 2002
- ნიუ იორკის ხელოვნების მუნიციპალური საზოგადოების ჯილდო შედევრისთვის, ამერიკის ფოლკლორის ხელოვნების მუზეუმი, 2002
- AIA/NY ღირსების ეროვნული მედალი, საცხოვრებელი სახლი ლონგ აილენდზე, 2001
- AIA/NY ღირსების ეროვნული მედალი, კრენბრუკის სკოლის დახურული საცურაო აუზი, 2001
- AIA/NY, საცხოვრებელი სახლი ლონგ აილენდზე, 1999
- აზიის საზოგადოების გლობალური ხელოვნების ჯილდო, 2012, 2013
- AIA – არქიტექტურული ფირმის ჯილდო, 2013



JOHN & PATRICIA PATKAU



ჯონ პატკაუ პატრიცია პატკაუ

ურთიერთობათა სტრუქტურა. ჩრდილოამერიკული რეგიონალიზმი

ჯონ პატკაუ დაიბადა 1947 წელს ვინიპეგში (პროვინცია მანიტობა, კანადა). 1969 წელს მიიღო მანიტობას უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი ხელოვნებასა და გარემოსდაცვით სფეროში, 1972 წელს კი – მაგისტრის ხარისხი არქიტექტურაში. 1979 წელს ვანკუვერში დააარსა კომპანია Patkau Architects, რომელსაც უამრავი პრიზი აქვს მიღებული.

ჯონ პატკაუ მოღვაწეობდა როგორც მიწვეული ლექტორი ჰარვარდის, იელის, ვაშინგტონის, ლოს ანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტებში, დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯში, ნიუ იორკის არქიტექტორთა ლიგაში, კატალონიის არქიტექტორთა კავშირში, ბრიტანეთის არქიტექტორთა სამეფო ინსტიტუტში.

კანადის არქიტექტორთა სამეფო ინსტიტუტის საპატიო მკვლევარს, AIA-სა და კანადის არქიტექტორთა სამეფო ინსტიტუტის წევრს, ჯონ პატკაუს, არქიტექტურასა და კულტურაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის მიენიჭა კანადის საპატიო ორდენის წევრის წოდება.

პატრიცია პატკაუ დაიბადა 1959 წელს ვინიპეგში (პროვინცია მანიტობა, კანადა). 1973 წელს მიიღო მანიტობას უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი ინტერიერის დიზაინში, ხოლო 1978 წელს – იელის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი არქიტექტურაში. ასწავლიდა ლოს ანჯელესის არქიტექტურის სკოლასა და ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტის არქიტექტურისა და ლანდშაფტის სკოლაში, რომლის საპატიო პროფესორია დღეს. პატრიცია პატკაუ არის კანადის არქიტექტურის სამეფო ინსტიტუტის მკვლევარი, კანადის ხელოვნების სამეფო აკადემიის წევრი, AIA-სა და ბრიტანეთის არქიტექტორთა სამეფო ინსტიტუტის საპატიო მკვლევარი და კანადის ორდენის წევრი.

TOUS CES LIVRES SONT À TOI !
www.bnquebec.ca

არქიტექტორებს დღესდღეობით აშინებთ გეომეტრიული ფორმების გამოყენება. თანამედროვე მშენებლობის უდიდეს პრობლემებს... გეომეტრიული გადაწყვეტა აქვს /ლე კორბუზიე

კრიტიკული რეგიონალიზმის ამოცანაა არქიტექტურის გააზრება რეგიონის, ადგილის კონცეფციის მეშვეობით /ალექსანდრ ცონისი



ჯონ და პატრიცია პატკაუების შემოქმედებაში განსაკუთრებული სიმძაფრით შეიგრძნობა შემეცნების ფუნდამენტური პრინციპების ძიება, ფიქრი კანადური არქიტექტურის ფესვებზე, სპეციფიკაზე და, ამავე დროს, სრულყოფილი, ტექტონიკურად გამართული ფორმის ძიება, რაც მკვეთრად გამოარჩევს მათ თანამედროვე არქიტექტორებისაგან. მათ ნაგებობებში, კონსტრუქციის დახვენილობასთან ერთად, გამოსჭვივის რეგიონალიზმთან შერწყმული მკაცრი ტექნიკური რაციონალიზმი. ალბათ ბუნებრივია, რომ ამ ჩრდილოამერიკულ წყვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თანამედროვე არქიტექტურის განვითარებაში. ბოლო ათწლეულების განმავლობაში კანადური არქიტექტურა ჩრდილოამერიკულ კონტექსტში არ მოიაზრებოდა – დღეს პროფესორ კენეტ ფრემპტონის ძალისხმევით ეს სურათი შეიცვალა.





ბაზოვანი სახლი, 2009

ქინიპეგის სასრიალო თაეშესაფარი, 2012



დიზაინის ფილოსოფია


ჩვენ ბუნებას ვხედავთ, როგორც ლანდშაფტს, რომელმაც ჩვენი პროექტი უნდა გაამდიდროს. ბუნება სისტემაა, არქიტექტურა კი – მისი ნაწილი, როგორც ფიზიკურ, ისე კულტურულ კონტექსტში. არქიტექტურა კონსტრუქციებით აზროვნების საშუალებაა.

ჩვენი დიზაინის ფილოსოფია არქიტექტურაში ქაოსიდან წესრიგის ორგანიზებას უკავშირდება – ესაა ურთიერთობა კერძოსა და ზოგადს, მსგავსსა და განსხვავებულს შორის, დეტალების გეომეტრია, ფორმის ფილოსოფია და შინაარსის ძიება, რომელიც ტრივიალურ გადაწყვეტებს აგვაცილებს. ორი უკიდურესობა, რომლებისკენაც ნებისმიერი კულტურა მიისწრაფვის, შეიძლება ასე განისაზღვროს: უკიდურესი „კერძო" მდგომარეობა, რომელშიც არაფერი არაფერს ჰგავს და უკიდურესი „ზოგადი" მდგომარეობა, რომელშიც ყველაფერი ერთნაირია. ეს არის შემეცნების ფუნდამენტური პრინციპი, როდესაც უნივერსალური შეიძლება აღიქვას მხოლოდ კერძოს საშუალებით და კერძო – უნივერსალურთან მიმართებით. ხელოვნებაშიც ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადისა და კერძოს ურთიერთქმედების საკითხი. ამ კავშირის ჩვენება წარმოქმნის გარკვეულ ასოციაციებს და საშუალებას გვაძლევს აღვიქვათ ორივე მათგანი, როგორც ერთი სრულყოფილება.

ჩვენი ამოსავალია ადგილი, მისი გენია, ტექტონიკა, გეომეტრიული სიზუსტე. გვჯერა, რომ შენობას შესწევს გარემოს შეცვლის უნარი (ჯონ პატკაუ, ინტერვიუ ლ.კ.-სთან).


ხაზოვანი სახლი, 2009













სკოლა კოლუმბიაში – Strawberry Vale School, ვიქტორია, ბრიტანული კოლუმბია, კანადა, 1995

საჯარო სკოლის შენობა (ბავშვებისათვის ბაღის ასაკიდან – მეშვიდე კლასის ჩათვლით) წყნარი ოკეანის სანაპიროზე, ვანკუვერის კუნძულზე მდებარეობს; ბუნება (ლანდშაფტი, ადგილობრივი გარემო) და შენობა ერთ სისტემად არის აღქმული; გეგმის უსწორმასწორო ფორმა ადგილობრივ ლანდშაფტთანაა შეხამებული. მშენებლობა, ძირითადად, გარემოს დაზიანების გარეშე მიმდინარეობდა. შენობის ხერხემლისა და საკლასო ოთახების არანესიერი განლაგებით შექმნილი შიდა და გარე არაპროგრამირებული სივრცეები (საგანმანათლებლო და სოციალური ურთიერთობებისთვის, დაგეგმილი და დაუგეგმავი შეხვედრებისთვის) განსაზღვრავს მის საჯარო დანიშნულებას. შენობამი თითოეული ოთახის სიმაღლე ისეა დაპროექტებული, რომ მიწის კონტურებს მიჰყვება, გარე ლოდები დაცული იყო დასერვისა და დაჭრისგან.




კვებეკის საჯარო ბიბლიოთეკა – მონრეალი, კვებეკი, კანადა, 2000-2005

კანადის ფრანგულენოვან ნაწილში, კვებეკში, მონრეალის სხვადასხვა ეროვნების ადამიანებით დასახლებულ ლათინურ კვარტალში მდებარე ყველაზე დიდი საჯარო ბიბლიოთეკა. დიზაინის კონცეფცია განსაზღვრულია ბიბლიოთეკის სტრატეგიული ადგილმდებარეობით (მეტროს სამი ხაზის გადაკვეთაზე). შენობა (37,161 კვ.მ) საჯარო სივრცის ნაწილი გახდა და ერთდროულად მოიცავს მეტროს მიწისქვეშა დონეს (მის გარშემო განვითარებული ინფრასტრუქტურით) და ქუჩათა ქსელს, რის შედეგადაც შეიქმნა დიდი საჯარო სივრცე.



პროექტში საინტერესოდ გათამაშდა კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც ერთ კვერცხში ორი გულის არსებობას შეიძლება შევადაროთ: კვებეკის ბიბლიოთეკას აქვს ორი დიდი კოლექცია: ზოგადი, რომლის გარშემოც სამკითხველო ოთახებია და, მეორე, კვებეკური კოლექცია, რომელიც, ძირითადად, არქივია. ამიტომ მომზადდა ორი „ხის კონვერტი," თითოეული კოლექციისთვის და ორივე ერთად შენობის „მთავარ კონვერტში" განთავსდა. საინტერესოდაა გააზრებული ტერასების, საკითხავი ოთახების თუ ბიბლიოთეკაში მოძრაობის დიზაინის სქემა.



სამკითხველო ოთახები ზემოთ გვირგვინდება სივრცით, რომელიც მთავარ მომიჯნავე ავენიუს (ავენიუ სავოის) გადაჰყურებს.




ხაზოვანი სახლი – სოლტ სპრინგის კუნძული, ბრიტანული კოლუმბია, კანადა, 2006-2009

ეს პროექტი სახლისა და სასტუმროს კომბინაციაა. ამ 16-აკრიან ფერმას, გრძელი სამანქანო შესასვლელით, გზის გაყოლებაზე ხეხილით, მრავალი წიწვოვანი თუ ფოთლოვანი ხით, ლერწმის ბაღით, ულამაზესი მოხუცი კედრით; წიწვოვანი ხეების რკალით ორ ნაწილად გაყოფილი ეზოთი; ხეებს შორის გაშლილი ხედით კუნძულსა და კუნძულის შიდა წყლებზე – სხვადასხვა დროს სხვადასხვა მოსახლე ჰყავდა. ტერიტორიაზე დგას რამდენიმე ძველი შენობა: კოტეჯი, სასტუმრო, ფარეხი და ბეღელი. დრეს აქაურობის მფლობელია მოხუცი წყვილი, რომელმაც გადაწყვიტა კუნძულზე ცხოვრებით ისიამოვნოს.

პროექტის მიხედვით ყველა ძველი შენობა შენარჩუნებულია. არქიტექტორებმა ახალი შენობისათვის შეარჩიეს მიწის მონაკვეთი (370 ფუტი (112.8 მ) X 33 ფუტი (10.1 მ). სახლი წიწვოვან ხეებს გამოყოფს ლანდშაფტის დანარჩენი ნაწილისაგან. შენობის სიგრძე ორადაა გაყოფილი, მათ შორის კი შესაძლებელია კუნძულის შიდა წყლების ხედით დატკბობა. სასტუმროს ნაწილი გამოყოფილია სახლის ნაწილისგან. შენობის გარე ფასადი მყარი და უხეშია, შიდა ნაწილი – სინათლით სავსე. შენობის სახურავი დაფარულია 40 სხვადასხვა ზომის შუშის ფილით.








პროექტები

- კანადის კერამიკისა და შუშის გალერეა, ვატერლოო, ონტარიო, 1988-1992
- ნიუტონის ბიბლიოთეკა, ბრიტანეთის კოლუმბია, 1990-1992
- საცხოვრებელი სახლები კანადაში, 1995-2000
- ვინიპეგის ბიბლიოთეკა 2002-2005
- ბიომრავალფეროვნების ცენტრი და წყლის ეკოსისტემის საკვლევი ლაბორატორია, ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტი, 2002-2005
- კვებეკის ცენტრალური ბიბლიოთეკა, მონრეალი, 2000-2005
- ხიდი, ბრიტანეთის კოლუმბია, 2005-2009
- საცხოერებელი სახლები, ბრიტანეთის კოლუმბია, 2006-2012
- ვილა, საუდის არაბეთი, 2007
- საცხობი, ვანკუვერი, ბრიტანეთის კოლუმბია, 2007-2009
- ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, ბრიტანეთის კოლუმბია, 2007-2009
- მიუზიკჰოლისა და თეატრის კომპლექსი მანიტობას უნივერსიტეტში, 2008
- ხელოვნების სკოლა, მანიტობა, ვინიპეგი, 2008-2011
- ვიზიტორთა ცენტრი ფორტ იორკის ისტორიულ ადგილას, ონტარიო, 2009
- საზოგადო ცენტრის შენობა, ვანკუვერი, 2010
- სახლი ჩანჩქერთან, პენსილვანია, 2010
- ვინიპეგის სასრიალო თაღშესაფარი, ვინიპეგი, მანიტობა, 2010-2012
- კოკუნი, ტოკიო, იაპონია, 2011-2012
- ტორონტოს უნივერსიტეტის სპორტული და სანახაობათა ცენტრი, ონტარიო, 2011-2014
- საჯარო ბიბლიოთაკა (საერთაშორისო კონკურსი), კორეა, 2012
- ხელოვნების მუზეუმი, უისტლერი, ბრიტანული კოლუმბია, 2012-2015



ხაზოვანი სახლი, 2009

კვებეკის საჯარო ბიბლიოთეკა, 2005



ჯილდოები

- RAIC-ის ჯილდო ინოვაციისა და სრულყოფილებისათვის – სამჯერ
- AIA Honor Awards – სამჯერ
- კანადის არქიტექტურის სამეფო ინსტიტუტის ოქროს მედალი – Royal Architectural Institute of Canada Gold Medal – მიღწეული წარმატებისთვის
- არქიტექტურის სარეგისტრაციო კოლეგიის ეროვნული საბჭოს – NCARB – სერტიფიკატი
- LEED-ის ჯილდო – პროფესიული აკრედიტაცია – Leadership in Energy and Environmental Design – ენერგოეფექტიანი და ეკოლოგიური ნაგებობების პროექტების სერტიფიცირების სისტემა
- ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის/AIA საგანმანათლებლო დანესებულებების ჯილდო, ამერიკის ხის საბჭოს ჯილდო, კანადის საბჭოს ჯილდო, მსოფლიო არქიტექტურის ფესტივალის ჯილდო

2011


- ჩრდილოამერიკული ხის დიზაინის ჯილდო – ვინიპეგის ციგურების სასრიალო თავშესაფარი
- RAIC-ის ბრწყინვალების ჯილდო – ვიზიტორთა ცენტრი ფორტ იორკის ისტორიულ ადგილას
- AZ ჯილდო სრულყოფილი დიზაინისათვის, საცხოვრებელ არქიტექტურაში – ხაზოვანი სახლი
- ბრიტანეთის კოლუმბიის ლეიტენანტ-გუბერნატორის საპატიო ჯილდო არქიტექტურაში – ბიომრავალფეროვნების ცენტრი და წყლის ეკოსისტემის საკვლევი ლაბორატორია.


2012

- კანადის ხის საბჭოს საპატიო ჯილდო – ხაზოვანი სახლი
- ლანდშაფტის არქიტექტორთა ამერიკული საზოგადოების საპატიო ჯილდო – ვინიპეგის სასრიალო თავშესაფარი
- AZ ჯილდო – კოტეჯები ჩანჩქერთან, საკონკურსო მასალა
- AZ ჯილდო, მაყურებელთა სიმპათიის და სადემონსტრაციო არქიტექტურის ჯილდო – ვინიპეგის სასრიალო თავშესაფარი
- გენერალ-გუბერნატორის მედალი არქიტექტურაში – ხაზოვანი სახლი
- ბრიტანეთის კოლუმბიის გენერალ-გუბერნატორის საპატიო ჯილდო არქიტექტურაში – ხაზოვანი სახლი
- ბრიტანეთის კოლუმბიის არქიტექტურის ინსტიტუტის ჟიურის სპეციალური პრიზი – ვინიპეგის სასრიალო თავშესაფარი
- Domus Russia: X ARCHIP საერთაშორისო არქიტექტურული ჯილდო – ვინიპეგის სასრიალო თავშესაფარი




სახლი Shaw House, ვანკუვერი





კვებეკის საჯარო ბიბლიოთეკა



STANLEY SAITOWITZ




სტენლი საიტოვიცი

სიმარტივე და სინთეზი – არქიტექტურული პრაგმატიზმი, ანუ ქმედების არქიტექტურა

სტენლი საიტოვიცი დაიბადა 1949 წელს იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკა). არქიტექტურაში ბაკალავრის ხარისხი მიიღო 1975 წელს ვიტვატერსრანდის უნივერსიტეტში (იოჰანესბურგი), ხოლო მაგისტრის ხარისხი – 1977 წელს კალიფორნიის უნივერსიტეტში (ბერკლი). დამოუკიდებელი პრაქტიკა დაიწყო 1975 წელს სამხრეთ აფრიკაში.

კალიფორნიის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის საპატიო პროფესორს, სტენლი საიტოვიცს დიდი პედაგოგიური გამოცდილება აქვს. იგი ასწავლიდა ჰარვარდის უნივერსიტეტის დიზაინის უმაღლეს სკოლაში, ოკლაჰომას უნივერსიტეტში, ასევე, სამხრეთ კალიფორნიის არქიტექტურის ინსტიტუტში, ლოს ანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტში, ტეხასის, ვიტვატერსრანდის, კორნელისა და სირაკუზის უნივერსიტეტებში. ინტენსიურად კითხულობს ლექციებს შეერთებულ შტატებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მან სან ფრანცისკოში დააფუძნა კომპანია Stanley Saitowitz/Natoma Architects Inc. რომლსაც თავად ხელმძღვანელობს.



ტამპას მუზეუმი, აშშ



ბეთ შალომის სინაგოგა



სიტყვა პრაქტიკა – practice – ბერძნული წარმოშობისაა (pragma) და ნიშნავს ქმედებას. თეორია, რომელიც ჩემს პრაქტიკას უდევს საფუძვლად, პრაგმატიზმია და მასაც იგივე საფუძველი აქვს /სტენლი საიტოვიცი

„ყოველი შენობა იწყება ადგილით და მისი შეცვლის განზრახვით," – წერს არქიტექტურის შვიდ პრინციპში სტენლი საიტოვიცი.[1] იოჰანესბურგში დაბადებული, დღეს კალიფორნიაში მოღვაწე არქიტექტორი „Natoma Architects"-ის დამფუძნებელია. სან ფრანცისკო პირველად სიმღერების საშუალებით გაიცნო, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე იქ გადავიდოდა და დღეს ამ სიმღერების ქალაქში მუშაობა და ამ ქალაქის მშენებლობის პრობლემებში ჩაბმა მის მთავარ ფოკუსად იქცა. საცხოვრებელი სახლები ამ ქალაქის მთავარი, შესაბამისად, „ნატომას" სამუშაოს ცენტრალური ნაწილია.

საიტოვიცის კრედო მოდერნიზმის პრინციპებიდან ამოიზარდა; დღესაც ცდილობს „ვარსკვლავურ", გარეგნულ ეფექტზე ორიენტირებულ არქიტექტურას სტრუქტურა, ფორმა და მკაცრად გააზრებული გეგმარება დაუპირისპიროს. როგორც არქიტექტორი თავად აღნიშნავს, მასზე ადრეულ ეტაპზე გავლენა მოახდინა კენეტ ფრემპტონმა – მისი ტექტონიკური სწავლება და რეგიონალიზმის პრინციპები არქიტექტორისათვის განმსაზღვრელი გახდა და პოსტმოდერნის თამაშს ააცილა. საიტოვიცი პრაქტიკოსია. თეორია, რომელსაც მისი პრაქტიკა ეფუძნება, არის პრაგმატიზმი,[2] ანუ ქმედების თეორია, რომელიც ახასიათებდა ამერიკულ აზროვნებას. სწორედ ამიტომ მისი არქიტექტურული პრინციპები ყოველთვის კონკრეტული სიტუაციისა და მშენებლობის ადგილიდან გამომდინარე ვითარდება. საიტოვიცის ნამუშევრებში უმთავრესი ადგილი უკავია ფორმათა ტექტონიკას, სიმარტივესა და სინთეზს. შემოქმედებაში ის მისდევს იმ შვიდ ძირითად პრინციპს, რომლებიც თავად ჩამოაყალიბა.

---

1. Frampton K. Five North American Architects, Columbia University GSAPP Lars Muller Publisher, გვ.38-39

2. **პრაგმატიზმი** (ბერძ. მოქმედება) სუბიექტურ-იდეალისტური ფილოსოფიური მოძღვრება, პოზიტივიზმის თავისებური სახე. წარმოიშვა აშშ-ში XIX ს-ის 70-იან წლებში. პრაგმატიზმი ჭეშმარიტებად აღიარებს არა ობიექტურ ჭეშმარიტებას, არამედ იმას, რაც პრაქტიკულად სასარგებლოა. ეს მიმართულება განავითარა მეტაფიზიკურმა კლუბმა, რომლის წევრები იყვნენ ჩარლს პირსი, უილიამ ჯეიმსი, ჩანსი რაითი, ჯონ დიუი და ჯორჯ მიდი. პრაგმატიკოსები ამბობდნენ, რომ ფილოსოფიის მთავარი ფუნქციაა გაარკვიოს, თუ რა ცვლილებები შეაქვს მას ჩვენს ცხოვრებაში. რწმენა არის მოქმედების წესი. აზროვნების მნიშვნელობის გასავითარებლად უნდა განვსაზღვროთ, გავიაზროთ მისი შედეგი. პრაგმატიზმს არა აქვს აბსტრაქტული დოგმები, ის თეორიებს არბილებს და ისეთ ჰიპოთეზებს ავითარებს, რომლებსაც შეიძლება პრაქტიკული შედეგი მოჰყვეს.

დიზაინის ფილოსოფია

არქიტექტურის შვიდი პრინციპი


1. **ადგილი და დრო**. ყოველი შენობა იწყება სამშენებლო ადგილით და მისი შეცვლის განზრახვით. შენობები მასალისგან მზადდება და ეს მასალა იმ გეოლოგიური პროცესების გაგრძელებაა, რომლებიც მშენებლობის ადგილს დედამიწის ბუნებრივი ევოლუციის ნაწილად წარმოაჩენს. შენობა აცოცხლებს, აძლიერებს იმ უნიკალურ ადგილს, რომელსაც დედამიწაზე იკავებს; როგორც ლინზა, ისე ახდენს გარკვეულ დროსა და ადგილზე თავისი არსებობის ფოკუსირებას.

2. **სივრცე**. არქიტექტურა სივრცისა და სიცარიელის საშუალებით იქმნება. ის დამუხტული სიცარიელეების კონსტრუქცია, შესაძლებლობების ჩარჩო და სივრცეა. მე მნიშვნელობაზე მეტად სივრცე მაინტერესებს, ობიექტის ან მონუმენტის არქიტექტურაზე მეტად – დროის და მოვლენების მოძრაობის არქიტექტურა.


3. **სისტემა**. მე ვეძებ უდიდეს „საერთო მნიშვნელს“, რათა შევქმნა მშენებლობის ველი, როგორც ერთობის ჩარჩო და წინააღმდეგობის პანორამა. მაინტერესებს მათემატიკის ხელოვნება, რომელიც რაოდენობის, ფორმის და მოწყობის ლოგიკას სწავლობს; მაინტერესებს სტრუქტურის მეცნიერება, რომელიც შემცველობითსა და ადვილად გასაგებზე, ინკლუზიურსა და უნივერსალურზე კონცენტრირების საშუალებას გვაძლევს.


4. **საშუალება**. შენობა უნდა დავინახოთ, როგორც აპარატი და არა, როგორც ობიექტი, ინსტრუმენტი ან მონუმენტი. მე არქიტექტურას ვხედავ, როგორც დინამიკური ადამიანური მოვლენების დამხმარეს და არა, როგორც პროგრამული ნორმებისა და სტატიკურობისთვის უპირატესობის მიმნიჭებელს. ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი ავტორიტარული პროგრამირების იდეას და, მის საპირისპიროდ, ორგანულსა და საზოგადოზე ვკონცენტრირდებოდი.

5. **არსებითი, მატერიალური**. საბოლოო მიზანი მუშაობის პროცესში უნიკალურისა და ავთენტურის გამოკვეთაა. მასალა და კონსტრუქცია ეს-



ტამპას მუზეუმი, ინტერიერი






ტამპას მუზეუმი, ექსტერიერი

თეტიკურ სისტემას ქმნის. მინდა შევქმნა ისეთი შენობები, რომლებიც თავიანთი მთავარი დანიშნულების ჩვენებას შეძლებს. მშენებლობას ვხედავ, როგორც უწყვეტი განვითარების პროცესს, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იდეალიზებული ფორმა.

6. **დრო.** არქიტექტურაში, ტრადიციულად, სტატიკურს ანიჭებენ უპირატესობას. ვფიქრობ, ჩვენ, პირიქით, უფრო მეტად უნდა შევძლოთ კონცენტრირება იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს შენობა დროის მდინარებაში. შუქ-ჩრდილი გვაჩვენებეს დროთა ცვლას დღე-ღამის განმავლობაში და, შესაბამისად, ძალუძს აჩვენოს სეზონურობაც.


7. **ეკოლოგია.** ეკონომიური თვალსაზრისით, ჩვენთვის მთავარია ბუნებასთან ორგანული კავშირი, დღის სინათლის, მზისა და ქარის ენერგიების, გეოთერმული მასალებისა და განახლებადი რესურსების მაქსიმალური გამოყენება. ვაშენებთ მსუბუქად, რაც შეიძლება ნაკლები მასალის გამოყენებით და ამ მასალის სიერცეში ოპტიმალურად განაწილებით. სიმარტივე და სინთეზი ჩვენი მთავარი მიზნებია. სიმარტივე ნიშნავს, იყო გასაგები და გამოიყენო ეკონომიურობისა და დაზოგვის პრინციპები. სინთეზი კომპლექსური ელემენტების იერარქიასა და ჯგუფებში ორგანიზების თვისებაა. ჩვენი მუშაობის მთელი პრინციპები ეკონომიურობის და ოპტიმიზაციის იდეების გარშემო ტრიალებს.





იერბა ბუენას ლოფტი,
სან ფრანცისკო, კალიფორნია, 2002

სტენლი საიტოვიცის საცხოვრებელი სახლები იქმნება ზუსტად მოდელირებული და სისტემური გეგმებით; იყენებს იდენტურად განმეორებად, სერიულ ელემენტებს, რაც, მისი აზრით, ხარისხის გაზრდის საშუალებაა. გეგმარება თავისუფალია, ძირითადად, შედგება სქელი საყრდენი კედლებისა და ღია სივრცეებისაგან. დამხმარე კედლები ორმაგდება სტრუქტურასთან ერთად და ვერტიკალურად მიჰყვება სანტექნიკურ გაყვანილობას. იერბა ბუენა ლოფტის ქვედა სართული განკუთვნილია ხელოვანთათვის (ეს შენობის აგების ერთ-ერთი პირობა იყო). აქ გაერთიანებულია საცხოვრებელი და სამუშაო სივრცეები. პროექტის ტექტონიკა სან ფრანცისკოს საცხოვრებლის რიტმს, ტექსტურას და მხატვრულ სახეს იმეორებს.



ტამპას ხელოვნების მუზეუმი, ტამპა, ფლორიდა, 2010

მუზეუმის ფუნქცია, როგორც ესთეტიკური, ასევე დიდაქტიკურია; იგი ერთდროულად ტაძარიცაა და ფორუმიც. შენობა წარმოადგენს ნეიტრალურ ჩარჩოს ხელოვნების გამოსამზეურებლად, ხელოვნების ნიმუშებით ასავსებ ცარიელ კონტეინერს, სკივრს. ერთიანი კონცეფცია მუზეუმთან ერთად კულტურული ცენტრის და ახალი პარკის შექმნას ითვალისწინებს. შენობის პროგრამა იწყება მდინარის ნაპირზე წიგნების მაღაზიითა და კაფეთი, მას მოჰყვება მრავალფუნქციური ლობი და რამდენიმე საკონფერენციო ოთახი. შიდა სივრცეები ნეიტრალურია, კოლექციების ცვლილებისათვის მეტად მოსახერხებელი. მის სტუქტურას ორ ზონად გაყოფილი, ერთმანეთში ჩამჯდარი არმატურის ძელები ქმნის. დგას 12.2-მეტრიან ბრჯენზე. განათების სპეციალური სისტემის საშუალებით მუზეუმი ღამით მთლიანად გარდაიქმნება ურბანულ ტილოდ და გამჭვირვალე კვარცხლბეკზე ცასა და დედამიწას შორის ლივლივებს.



პროექტები

- კალიფორნიის ფოტოგრაფიის მუზეუმი, რივერსაიდი
- საცხოვრებელი სახლები ნატომას ქუჩაზე, სან ფრანცისკო
- სახლები: სტინსონის სანაპირო, ლოს გატოს, ნაპა, ალმადენი, ოუკლენდი, ბერკლი, მარინი, სან ფრანცისკო, ტიბურონი და სენტ ჰელენა
- ცხრა ნაგებობა, მილ რეის პარკი, კოლუმბუსი, კალიფორნია
- ნიუ ინგლენდის ჰოლოკოსტის მემორიალი, ბოსტონი
- მხატვრის სახელოსნო კაპას ქუჩაზე, სან ფრანცისკო
- კვოდის ღვინის მარანი
- აუდიტორია ვიურსტერ ჰოლში
- ემბარკადეროს ზღვისპირა ბულვარი, სან ფრანცისკო
- ყავის პავილიონი, სტენფორდის უნივერსიტეტი
- ოქსბოუს ხელოვნების სკოლა, კაპა
- შენობა მიშენ ბეიზე, კალიფორნიის უნივერსიტეტი, სან ფრანცისკო
- დამოუკიდებელ ჩინელ ბაპტისტთა ეკლესია, ოუკლენდი
- სახელოსნოები მესამე ქუჩაზე და იერბა ბუენას სახელოსნოები, სან ფრანცისკო
- სახელოსნოები ჰოუვარდის ქუჩაზე, სან ფრანცისკო
- მიზუ სპა-სალონი და გასარუჯი სალონი, სან ფრანცისკო
- მილებიანი რესტორანი
- ბეთ ელის სინაგოგა, ლა-ჰოია
- ბეთ შალომის სინაგოგა, სან ფრანცისკო
- ხელოვნების მუზეუმი ტამპაში



ბეთ შალომის სინაგოგა

მიმდინარე პროექტები


- შერეული ფუნქციის შენობა ფულტონის ქუჩაზე
- ჯეკ ლონდონის კოშკი, ოუკლენდი
- შენობა ოქტავიას ბულვარზე, სან ფრანცისკო
- სან პაბლოს საცხოვრებელი სახლი, ოუკლენდი
- კეიზის დასავლური უნივერსიტეტის საცხოვრებელი, კლივლენდი
- საცხოვრებელი სახლები: სონომა, ჰელდსბურგი, კლოვერდეილი, კოსტა რიკა, სან ფრანცისკო
- მისისიპის რესტორანი
- კო სამუის სპა და რესტორანი
- ოპტიკური ცენტრი – ქსელის რამდენიმე მაღაზია, სამხერთ აფრიკა
- შერეული ფუნქციის შენობა მარკეტის ქუჩაზე
- ოსტინის სასამართლო პაინის ქუჩაზე
- საცხოვრებელი მიშენ სტრიტზე
- საცხოვრებელი სახლი ნატომას ქუჩაზე
- შერეული ფუნქციის შენობა მეთორმეტე და საუთ ვან ნესის ქუჩებზე
- საცხოვრებელი – 130 Dore Street Housing
- სატერის ქუჩის №832, შერეული ფუნქციის შენობა
- ტაჰომას ქუჩის №19, შერეული ფუნქციის შენობა

ჯილდოები

- ჰენრი ბეკონის მედალი მემორიალური არქიტექტურისთვის, ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტი, 1998
- ჰარლესტონ პარკერის ჯილდო, ბოსტონის არქიტექტორთა საზოგადოება, 1997
- რაისის უნივერსიტეტისა და Princeton Architectural Press-ის გამოცემა „Stanley Saitowitz – Architecture at Rice 33" – ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საერთაშორისო არქიტექტურული წიგნის ჯილდო მონოგრაფიებისთვის, 1998
- სმიტსონის კუპერ ჰიუიტის ეროვნული ჯილდო დიზაინისთვის, 2006
- სამხრეთ აფრიკის ეროვნული ძეგლების საბჭომ ტრანსვაალის სახლი ეროვნულ ძეგლად გამოაცხადა, 1997
- იერბა ბუენას ლოფტის საცხოვრებელი სახლი და ბეთ შალომის სინაგოგა – AIA Best of the Bay Award პრიზებით, 2003, 2004, 2005
- პროექტები: ერბა ბუენა ლოფტის საცხოვრებელი, ბეთ შალომის სინაგოგა, კალიფორნიის უნივერსიტეტის მიშენ ბეის პარკინგი, გაერთიანებულ მეთოდისტთა პირველი ეკლესია და საცხოვრებელი კოშკი – ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის სან ფრანცისკოს ფილიალის ჯილდოები, 2006
- ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის სან ფრანცისკოს ფილიალის ჯილდო – AIA/SF Awards – მიენიჭა ნატომას საცხოვრებელ სახლებს, სახლ-ხიდს, ჰოვარდის საცხოვრებელს, კონდუიტის რესტორანს, მიზუ სპას, ოპიკურ ცენტრს, 2008
- ბეთ შალომის სინაგოგა – სან ფრანცისკოს Kirby Ward Fitzpatrick-ის ჯილდო და ჯილდო საუკეთესო ახალი შენობისთვის სან ფრანცისკოში, 2008
- ჟურნალის The Faith and Form: საერთაშორისო ფორუმი რელიგიური ხელოვნებისა და არქიტექტურის დიზაინის საპატიო ჯილდო, 2008
- ბეთ შალომის სინაგოგა და ჰოვარდის ქუჩის საცხოვრებელი – AIA/SF ჯილდო 2009
- კონდუიტის რესტორანი – AIA/SF ჯილდო, 2009
- რესტორანი და კოსტა რიკას საცხოვრებელი – AIA SF ჯილდო, 2010
- ტამპას ხელოვნების მუზეუმი – AIA /SF და AIA Tampa Bay ჯილდოები.








ნატომა არქიტექტსის ოფისი

გამოცემები

სტატიები ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში, ასევე, ფერნერული ტილოები, ნახატები და მაკეტები, რომლებიც გამოფენილი იყო სხვადასხვა გალერეასა და მუზეუმში. მისი ნამუშევარი „გეოლოგიური არქიტექტურის" მოძრავი გამოფენა, უოლკერის ხელოვნების ცენტრის კურატორობით, 1990-1992 აჩვენეს მინეაპოლისში, სამხრეთ კალიფორნიაში, სან ფრანცისკოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში და ჰარვარდის უნივერსიტეტის დიზაინის უმაღლეს სკოლაში. ნამუშევარი „Fabrications" გამოფინეს ვექსნერის ხელოვნების ცენტრში 1998. წიგნები: სტენლი საიტოვიცი /Stanley Saitowitz – Architecture at Rice 33',1994; სახლი ტრანსვაალში/ჰარვარდის დიზაინის სკოლა, პრინსტონის არქიტექტურული პრესა, 1996; მონოგრაფია „სტენლი საიტოვიცი/Natoma Architects Inc. – შენობები და პროექტები, Monacelli Press, 2010.

MARK WIGLEY



მარკ უიგლი

ცვალებადობის მუდმივობა – რომანტიზმი და დეზინტეგრაცია

არქიტექტურა პოეზიის ფორმაა. არქიტექტორები შენობებს არ ქმნიან, ისინი ქმნიან რეფლექსიას შენობის გარშემო. როცა არქიტექტორი ქმნის შენობას, იგი ქმნის რომანტიკულ აზრს, მაგიურ იდეას სტრუქტურაზე, ის გეეუბნება იმას, რაც მანამდე არ თქმულა. არქიტექტურაში მოგვწონს არა ის, რომ შენობა დგას ან მასიურია, არამედ მისტერია, ენიგმა, პარადოქსი.

მარკ უიგლი

მარკ უიგლი – ახალზელანდიელი არქიტექტორი, მკვლევარი, კრიტიკოსი, კურატორი, 2004 წლიდან – ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის არქიტექტურის, დაგეგმარებისა და პრეზერვაციის სკოლის (GSAPP) დეკანი.

ბაკალავრისა და დოქტორის ხარისხები არქიტექტურაში უიგლიმ მიიღო ოკლენდის უნივერსიტეტში. 1987-1999 წლებში ასწავლიდა პრინსტონის უნივერსიტეტში, სადაც არქიტექტურის სკოლის დირექტორის თანამდებობა ეკავა. იგი არაერთი ცნობილი გამოფენის კურატორია ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში (MOMA), ნიუ იორკის



1988 წელს უიგლი ფილიპ ჯონსონთან[1] ერთად კურატორობდა დეკონსტრუქტივისტ არქიტექტორთა ცნობილ გამოფენას /პიტერ აიზენმანი, ფრენკ გერი, ზაჰა ჰადიდი, დენიელ ლიბესკინი, ბერნარდ ჩუმი, რემ კულჰაასი, კუპ ჰიმელბლაუ.

2005 წელს უიგლიმ რემ კულჰაასთან და ოლე ბოუმანთან ერთად დააარსა ჟურნალი Volume magazine. ეს ჟურნალი Archis (ამსტერდამი), AMO-Roterdam და C-Lab-ის (კოლუმბიის უნივერსიტეტი, ნიუ იორკი) საერთო ინოვაციური პროექტია, რომელიც ფოკუსირდება კულტურულ რეფლექსიაზე. ჟურნალის მიზანია არქიტექტურისა და მშენებლობის მომიჯნავე საკითხების კვლევა, სივრცითი და კულტურულ-სოციალური პროცესების შესწავლა, არქიტექტურასა და დიზაინში გლობალური ხედვის შემოტანა და სხვადასხვა არქიტექტურული იდეის ადვოკაციისა თუ განხილვისათვის პლატფორმად ქცევა. ეს ერთგვარი არქიტექტურული think-tank-ია.

მარკ უიგლი არის ჩიკაგოს არქიტექტურისა და ურბანიზმის ასოციაციის სტიპენდიის, გრემის ფონდის გრანტის, არქიტექტურის კრიტიკოსთა საერთაშორისო კომიტეტისა და არქიტექტურული ტრიენალეს ჯილდოს მფლობელი, როგორც კრიტიკოსი.

ნაშრომებს შორის აღსანიშნავია: The Hyper-Architecture of Desire (1998); White Walls, Designer Dresses: The Fashioning of Modern Architecture (1995); The Architecture of Deconstruction: Derrida's Haunt (1993). The Activist Drawing: Retracing Situationalist Architectures from Constant's New Babylon to Beyond (2001).


---

1. **ფილიპ ჯონსონი – (1906-2005)** – XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ამერიკელი არქიტექტორი. ჯონსონის სახელს უკავშირდება 1930 წელს არქიტექტურის, და დიზაი-





მილუოკის მუზეუმის გაფართოების პროექტი, **სანტიაგო კალატრავა**



ინტერვიუ მარკ უიგლისთან

ადგილი: კოლუმბიის უნივერსიტეტი, GSAPP შენობა.

დრო: 14 მაისი, 2010 წელი.

მარკი, ძალიან ღია, გახსნილი და კომუნიკაბელურია სტუდენტებთან, ახალგაზრდებთან, მარკი, სკოლის სხვა ხელმძღვანელებისაგან განსხვავებით (განსაკუთრებით, იელის სკოლას და ბობ სტერნს თუ გავიხსენებ). კოლუმბიაში გატარებული წლების განმავლობაში ბევრჯერ გვისაუბრია ამა თუ იმ პრობლემატურ საკითხზე. ყოველთვის მაოცებდა მისი ენერგია, პოზიტივი და დაუღალავი სურვილი რაღაცის შეცვლის, განახლების, საზღვრებს მიღმა გასვლისა. ალბათ ამიტომაც არის GSAPP ასეთი განსხვავებული, ცოცხალი და დატვირთული საინტერესო შეხვედრებით, პროფესიური დისკუსიებით, სემინარებით, მრგვალი მაგიდებით და სიმპოზიუმებით. სასწავლო წლის განმავლობაში ალბათ არც ერთი კვირა არ გადის, რომ კოლუმბიამ მოწვეულ არქიტექტორს არ უმასპინძლოს, სემინარი, ფილმების ჩვენება თუ გამოფენა არ მოაწყოს. GSAPP არქიტექტურული ნეტვორკის გულია, მარკის მიერ დაარსებული Studio X კი – ახალი ინოვაციური პროექტების, ინიციატივების და მთელ მსოფლიოში არქიტექტურული დიალოგის ცენტრი. იმედს ვიტოვებ, რომ როდისმე საქართველოც შეიძლება ჩაებას ამ დიალოგში. სწორედ ამ იდეაზე დისკუსიით დაიწყო ჩვენი საუბარი და მერე ამერიკული და, ზოგადად, თანამედროვე არქიტექტურის პრობლემებზე გადავიდა.

ლ.კ. რას გამოყოფდით თანამედროვე ამერიკული არქიტექტურის მთავარ პრობლემად?

მ.ვ. ვფიქრობ, რომ დღევანდელი სიტუაცია განსაკუთრებით საინტერესოა. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ევროპა იყო მშენებლობის ცენტრი, ამერიკა კი – იდეების თავმოყრის ადგილი. რასაკვირველია, შეერთებულ შტატებში არის ძალიან ლამაზი შენობები, მაგრამ გაცილებით მეტი საინტერესო ნამუშევარი გვხვდება ევროპაში. სტივენ ჰოლი შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს არქიტექტორი. ამერიკულ არქიტექტურაში ის ვარსკვლავად მიიჩნევა. ჰოლი სწორედ ახლა ქმნის თავის საუკეთესო ნამუშევრებს. აღსანიშნავია, რომ ამერიკამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, როგორც იდეების გენერირების კუთხით, ისე ძლიერი არქიტექტურული



იელის არქიტექტურის სკოლა, პროექტების განხილვა: ლეონ კრიერი, ჯეფრი კიპნისი, მარკ უიგლი

სკოლებით. მაგრამ მსოფლიოს სხვა ნაწილი (განსაკუთრებით ევროპა) ამ დროს ე.წ. ექსპერიმენტულ ლაბორატორიას წარმოადგენდა.

დღეს ჩვენ ვართ განსხვავებულ მდგომარეობაში; მსხვილმა შემოქმედებითმა „ლაბორატორიებმა“ აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ აზიაში, ჩინეთში, აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში გადაინაცვლეს. ისმის კითხვა – რა როლს შეასრულებს ამერიკული არქიტექტურა? შესაძლოა, ამერიკამ და ევროპამ არ მიიღონ მონაწილეობა ქალაქების განვითარებაში. არც ამერიკას და არც ევროპას არ ემუქრება დემოგრაფიული „ცუნამი“, რასაც ვერ ვიტყვით მსოფლიოს უმეტეს ნაწილზე. 50 წლის შემდეგ ნამდვილი ურბანული ლაბორატორიები აღარ იქნება დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში, აქ, ძირითადად, შემოქმედებითი იდეების მომძლავრებასა და გენერირებასთან გვექნება საქმე მაშინ, როდესაც დანარჩენი მსოფლიო იმოქმედებს, იმუშავებს, როგორც ნამდვილი მსოფლიო ლაბორატორია.

ლ.კ. ესე იგი, ახალი ურბანული რეალობის წინაშე აღმოვჩნდებით?

მ.ვ. ეს სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპული ქალაქების საზრუნავი იქნება სოციალური და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა. ასეთივე პროცესები წარიმართება ამერიკაში. მაგრამ თქვენ ვერ იხილავთ რევოლუციას არქიტექტურაში. სულ სხვაა აღმოსავლეთი ევროპა, ის მომავლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი „ლაბორატორიაა“. დინამიკა იქ სრულიად განსხვავებულია. ამიტომაც მაინტერესებს ეს რეგიონი (რუსეთი, თურქეთი...). ვფიქრობ, რომ იქ ჩამოყალიბდება არქიტექტურის ახალი ფორმები. ერთი სიტყვით, 2050 წელს დედამიწაზე იქნება 9,3 მილიარდი ადამიანი და აქედან, 7 მილიარდი იცხოვრებს ქალაქებში. რას ნიშნავს ეს? როგორი იქნება კოსმოპოლიტუ-

რი ცხოვრება მომავალში? მსოფლიოში ბევრი ადგილია, სადაც ეს საკითხი ძალიან აქტუალურია – ჩინეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, შუა აღმოსავლეთში, აფრიკაში. ვფიქრობ, არქიტექტორის როლიც შეიცვლება.

ლ.კ. და ამერიკელი არქიტექტორები?

მ.ვ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამერიკა კვლავ მოახდენს იდეების გენერირებას. შესაძლოა, ამ საკითხში მას დასავლეთ ევროპაც შეუერთდეს.


ლ.კ. ანუ ამერიკულ არქიტექტურას აქვს მომავალი ?

მ.ვ. შემდეგი ათწლეულების განმავლობაში ამერიკულ არქიტექტურას ექნება იდეის წარდგენის პასუხისმგებლობა – თუ როგორი შეიძლება იყოს ქალაქის მომავალი. ეს ძალიან საინტერესო ხედვაა, რადგან აქ ამერიკის ქალაქების მომავალზე არ იქნება საუბარი. ეს იქნება ოცნება შორეულ სივრცეზე. ახალგაზრდა არქიტექტორებმა მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულეს აზიაში, ინდოეთში, შუა აღმოსავლეთში... მათ მოაქვთ თავიანთი იდეები ამერიკაში, აქ ყალიბდება ახალი იდეები მსოფლიო არქიტექტურის როლთან დაკავშირებით. ამგვარად, შესაძლებელია, რომ ამერიკა იყოს ძალიან კარგი საკვლევი სივრცე მსოფლიოს მომავალზე საოცნებოდ, რომელიც ძალიან განსხვავებული იქნება იმ მსოფლიოსგან, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ. არქიტექტორებს აქვთ ოცნების განსხვავებული უნარი, განსაკუთრებით – უნარი ოცნებისა მომავალ მსოფლიოზე.

ლ.კ. ესე იგი, ცვლილებები თვალშისაცემი იქნება?


მ.ვ. მგონია, რომ თქვენ დაინახავთ დიდ ცვლილებას ამერიკელი არქიტექტორების მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და რაოდენობაში. მათ ექნებათ სხვა პასუხისმგებლობა. აქამდე ამერიკა მსოფლიოს ნაწილი იყო, მომავალში ამერიკა „მშობლებივით“იქნება, ლამაზი და დიადი. ჩვენ გვიყვარს მშობლები, პატივს ვცემთ, მაგრამ ისინი „მეგობრებად“ არ მიიჩნევიან (გამონაკლისის გარდა). მგონია, რომ ამერიკა და ევროპა დიდი ხნის განმავლობაში დარჩებიან მეოცე საუკუნეში – ელეგანტურები და რაფინირებულები, ძველმოდურები, ძველი მსოფლმხედველობით, დანარჩენი სამყარო კი – არა. მათ არჩევანიც კი არა აქვთ. როცა ქალაქი 5 წელიწადში 5 მილიონიდან 10 მილიონამდე იზრდება, მას არა აქვს უფლება და შესაძლებლობა გადაწყვიტოს, დარჩეს მეოცე საუკუნეში თუ არა. ის უკვე ღრმად, ძალიან ღრმადაა ოცდამეერთეში.





საგაზაფხულო სემესტრი GSAPP-ში უკვე დასრულდა. მარკი რამდენიმე დღეში სტამბულში მიფრინავს სადაც StioX-ის ახალი ოფისი უნდა გახსნას.





მაკ კორმიკის კამპუსის ცენტრი, ილინოისის ტექნიკური უნივერსიტეტი, ჩიკაგო, რემ კულჰაასი

ნაშრომები:

The Hyper-Architecture of Desire (1998);
White Walls, Designer Dresses: The Fashioning of Modern Architecture (1995);
The Architecture of Deconstruction: Derrida's Haunt (1993).
რედაქტირება გაუწია ნაშრომს The Activist Drawing: Retracing Situationalist Architectures from Constant's New Babylon to Beyond (2001).
უიგლი არაერთი ცნობილი გამოფენის კურატორია ნიუ იორკის (MOMA) თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ნიუ იორკის ნახატების ცენტრში, არქიტექტურის კანადურ ცენტრში (მონრეალი), როტერდამის მუზეუმში.

კრიტიკული რეგიონალიზმისაკენ, თუ სწავლებანი კონსტრუქციის პოეტურობის შესახებ

ეს წიგნი ვერ შეიქმნებოდა, რომ არა ჩემი მენტორი კენეტ ფრემპტონი („კენ“ – როგორც მას ყველა მიმართავდა, დეკანით დაწყებული – სტუდენტებით დამთავრებული. მე კი ეს მხოლოდ ერთი წლის მერე გავბედე) – ლეგენდარული ფიგურა არქიტექტურის თეორიაში: არქიტექტორი, არქიტექტურის თეორიისა და ისტორიის მკვლევარი, კრიტიკოსი, ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის GSAPP-ის პროფესორი.

1980-იან წლებში კენეტ ფრემპტონის წიგნი – „თანამედროვე არქიტექტურა – კრიტიკული ისტორია“ – ძალიან ბევრ ენაზე ითარგმნა (მათ შორის, რუსულადაც) და მაშინდელ საბჭოთა კავშირსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებშიც შემოაღწია, ალბათ კენის მემარცხენე აზრების გამო. ჩემთვის და ჩემი კოლეგებისათვის ის წლების განმავლობაში თანამედროვე დასავლური არქიტექტურის შესახებ ინოფრმაციის ერთადერთი წყარო იყო. ძალიან მენიშნა სტივენ ჰოლის მონაყოლი – მის ოფისში უნგრელი გოგონა მუშაობდა, რომელსაც ფრემპტონი წლების განმავლობაში პიროვნება კი არა, წიგნის სახელი ეგონა – ეს წიგნი ყველა ბიბლიოთეკაში იყო. როდესაც სტუდენტები მას სხვაგან დებდნენ და ვერ პოულობდნენ, კითხულობდნენ: „სადაა ჩემი ფრემპტონი?“

ოთხი წლის განმავლობაში, კენის გვერდით მუშაობამ დამანახა, რომ დღეს მისთვის ისევე აქტუალურია არქიტექტურის მომავალსა და კრიტიკულ რეგიონალიზმზე ფიქრი და საუბარი, როგორც 80-იან წლებში, როდესაც ალექსანდრ ცონისის და ლიან ლეფევრის იდეები გაარღმავა თავის ნაშრომში ბერძნული მოდერნიზმის მემკვიდრეობის ანალიზსა და კვლევაში „კრიტიკული რეგიონალიზმისაკენ“.

უნივერსიტეტში, კენის პატარა სამუშაო ოთახთან ყოველთვის სტუდენტების რიგია. კარი ღიაა. კედლის გაყოლებაზე თაროები სავსეა წიგნებითა და ჟურნალებით, მაგიდაზე – წიგნების უშველებელი დასტები ყვითელი სანიშნე ფურცლებით,

რვეულები და წვრილი ჩანაწერებით აჭრელებული ფურცლები. თავის უცვლელ მუქლურჯ კოსტუმში გამოწყობილი კენი დინჯად არჩევს რაღაც ფურცლებს და ჟურნალებს... მერე კარისკენ იხედება და ანიშნებს, რომ შემოვიდნენ...

ამიტომ წიგნი ამერიკულ არქიტექტურაზე, ეპილოგის მაგივრად, კენის სიტყვებით მინდა დავამთავრო, სიტყვებით, რომლებიც, ვფიქრობ, კიდევ ერთხელ დააფიქრებს მკითხველს კრიტიკულ რეგიონალიზმსა და არქიტექტურის პოეტიკაზე, იმაზეც – მაინც როგორი უნდა იყოს თანამედროვე ქართული არქიტექტურა?

„დღევანდელი გლობალური და დინამიკური მსოფლიო იმდენად ქაოტურად ვითარდება, რომ ძნელია არქიტექტურის მომავლის პროგნოზირება. ჩინეთსა და ინდოეთში მომხადარი ეკონომიკური ძვრები, შეიძლება ითქვას, ამ მოვლენების ლოკომოტივია და ყველაფერზე ახდენს გავლენას. სწორედ ამიტომ არქიტექტურაც ორ პოლუსს შორის ვითარდება: ერთი მხრივ, ერთგვარი „ვარსკვლავური" არქიტექტურა, თავისი გრანდიოზული, ეპატაჟური პროექტებით, უზარმაზარი, შეიძლება ითქვას, ბარბაროსული გაფართოებითა და მშენებლობით ჩინეთში, ინდოეთსა და აზიაში, ხოლო, მეორე მხრივ, მცირე მასშტაბის, ჩემი აზრით, ფაქიზი, ნატიფი პროექტები, რომლებსაც ახორციელებენ ავსტრალიაში, კანადაში, ამერიკაში, ფინეთში, პორტუგალიაში, საფრანგეთსა თუ ინდოეთში.

ასე რომ, ეს ორი ტენდენცია თანაარსებობს მთელ მსოფლიოში და ვფიქრობ, არქიტექტურამ დღეს შეიძლება იარსებოს, როგორც მხოლოდ კრიტიკულმა პრაქტიკამ, ერთგვარმა არიერგარდმა, რომელიც თანაბრად შეძლებს დისტანცირებას, როგორც ტექნიკური პროგრესის განმანათლებლობის მითისაგან, ასევე არქიტექტურის პრეინდუსტრიულ წარსულთან დაბრუნების რეაქციული იმპულსისაგან".

(ნაწყვეტი ინტერვიუდან, რომელიც კენთან ჩავწერე 2012 წლის 8 მაისს, ნიუ იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში)




კენეტ ფრემპტონი

არქიტექტორი, არქიტექტურის თეორიისა და ისტორიის მკვლევარი, კრიტიკოსი, ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის GSAPP-ის პროფესორი, ამ ფაკულტეტის წევრი 1973 წლიდან. დაიბადა 1930 წელს ინგლისში. სწავლობდა ლონდონის არქიტექტორთა ასოციაციაში, რომელიც 1956 წელს დაამთავრა. მუშაობდა Douglas Stephen and Partners-ში. იყო ჟურნალ „არქიტექტურული დიზაინის" – Architectural Design – რედაქტორი. 1965 წელს საცხოვრებლად გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასწავლიდა პრინსტონის უნივერსიტეტში. 1976-1980-იან წლებში მუშაობდა არქიტექტურისა და ურბანული სწავლების ინსტიტუტში, ნიუ იორკში, სადაც დაარსა ჟურნალი „Oppositions". ამერიკაში ფრემპტონი, უმთავრესად, აკადემიურ და პედაგოგიურ მოღვაწეობას მისდევს.

ძირითადი თეორიული ნაშრომები: „კრიტიკული რეგიონალიზმისკენ, ნინააღმდეგობის არქიტექტურის ექვსი პუნქტი"; ანტიესთეტიკა: ესეების კრებული პოსტმოდერნულ კულტურის სესახებ; სწავლებანი ტექტონიკური კულტურის შესახებ: XIX და XX საუკუნეების არქიტექტურის სტრუქტურათა პოეტურობა; თანამედროვე არქიტექტურა: კრიტიკული ისტორია; მუშახელი, სამუშაო და არქიტექტურა; მეოცე საუკუნის არქიტექტურის ევოლუცია: სინოპტიკური ხედვა; მონოგრაფიები: ლე კორბუზიე, რიჩარდ მაიერი, სტივენ ჰოლი, პატკაუ, ხუთი ჩრდილოამერიკელი არქიტექტორი/ანთროპოლოგია.





ფოტო კრედიტები:

ყდა და ბოლო გვერდი – ლენა კილაძე

წინათქმა და შინაარსი – ლენა კილაძე

რიჩარდ მეიერი:
პორტრეტი, გეტის ცენტრი, სახლები პერის და ჩარლზის ქუჩაზე, ბარსელონას მუზეუმი – ლენა კილაძე
ყველა დარარჩენი – ოფისი Richard Meier & Partners

სტივენ პოლი:
პორტრეტი, ნელსონ ატკინსის მუზეუმი, აქვარელის ჩანახატები, ფილოსოფიის ფაკულტეტი ნიუ იორკის უნივერსიტეტში. პრატის ინსტიტუტი- ლენა კილაძე
დანარჩენი- Steven Holl Architects

პიტერ აიზენმანი
პორტრეტი, ბერლინის მემორიალი – ლენა კილაძე
დანარჩენი Peter Eisenman Architect

დილერ სკოფიდიო+ რენფრო:
ლინკოლნ ცენტრი, ელის ტულის დარბაზი, ჯულიარდის სკოლა, - ლენა კილაძე
დანარჩენი: Diller Scofiddio + Renfro

ფრეკ გერი:
პორტრეტი, სახლი, AIG კორპორაციის შენობა, ბიკმენის კოშკი, ბარსელონა – თევზის სკულპტურა, დისნეის საკონცერტო ჰოლი, ჯეი პრიცკერის პავილიონ – ლენა კილაძე
კლიველენდის კლინიკა - Frank Gehry Architect

მორფოზისი:
Morphosis

ბრიჯიტ შიმი და ჰოვარდ სატკლიფი:
ინტეგრალური სახლი – ლენა კილაძე

პორტრეტი, სახლი კუნძულზე, მურლენდის ბანაკი – Bridget Shim Howard Sutcliff Architect

თოდ უილიამსი და ბილი ჩენი
პორტრეტები, ოფისი, ამერიკის ფოლკ არტის მუზეუმი, დევიდ რუბენშტეინის ატრიუმი, ვენეციის ბიენალეს ინსტალაცია – ლენა კილაძე

ბარნსის მუზეუმი – Tod Williams & Billie Tsien Architects

ჯონ და პატრიცია პატკაუები:
Patkau Architects

სტენლი საიტოვიცი:
NATOMA Architects

მარკ უიგლი:
პორტრეტი, არქიტექტურული სკოლის ფოტოები, რემ კულჰაასის და სანტიაგო კალატრავას პროექტები – ლენა კილაძე

კენეტ ფრემპტონი:
პორტრეტი – ლენა კილაძე

დამატებითი საკითხავი ლიტერატურა

ამერიკული არქიტექტურა და კულტურა

- American Architecture and Urbanism / by Vincent Scully., Frederick A. Praeger Publishers., New York. Washington, 1969
- A concise history of American Architecture / Leland M. Roth. Icon editions Harper &Row, Publishers., New York, Hagerstown, San Francisco, London, 1976
- A Field guide to American Architecture/Carole Rifkind., New American Library, Times Mirron, 1980
- A Field guide to Contemporary American Architecture / Carole Rifkind., A Dutton Book, NY, 1998
- Architect of Continuity / Alfred Roth., by Waser Verlag Zurich, 1985
- Donald Langmead / Icons of American Architecture: from the Alamo to the World Trade Center. Greenwood Press, Westport, Connecticut. London., 2009
- The Best American Poetry. 2008 / Charles Wright editor, David Lehman, Series Editor. Scribner Poetry. New York, London, Toronto, Sydney. 2008
- Susan Sontag / Styles of Radıcal Will. Picador., New York, 2007
- Susan Sontag / At the Same time: essays and speeches. Edited by Paolo Dilonardo and Anne Jump, foreword by David Rieffl. Picador., New York, 2007
- Susan Sontag / Where the Stress Falls: Essays. Picador., New York, 2001
- Wayne Andrews, Architecture in America: A photographic histoy from the colonial period to the present. New York, Atheneum Publishers, 1977
- Carter Wiseman, Twentieth Century American Architecture / The Buildings and their makers. Norton Paperback, New York, 2000
- Santiago Calatrava. Milwaukee Art Museum. Quadracci Pavilion / By Chery Kent /. Rizzoli, New York, 2005

რიჩარდ მაიერი

- Richard Meier & Partners: Canal + Headquarters, Paris, 1988-1991
- Ausstellung Juni/Juli 1991, Aedes Galerie und Architekturforum. Richard Meier & Associates. Berlin: Die Galerie, c1991
- Richard Meier, collages.Meier, Richard, London: Academy Editions; New York, NY: St. Martin's Press, c1990
- Richard Meier, architect: 1985/1991/ essays by Kenneth Frampton and Joseph Rykwert. Meier, Richard, New York: Rizzoli, 1991
- Richard Meier: architetture, projects, 1986-1990 / [a cura di] Ferruccio Izzo, Alessandro Gubitosi. Meier, Richard, Florence : Centro Di, c1991
- Architects – Richard Meier / [editor Ulrike Stark]. Stuttgart: IRB Verlag, 1990
- Richard Meier. London: Academy Editions; New York: St. Martin's Press, 1990
- Richard Meier / Valérie Vaudou. Vaudou, Valérie, Paris: Electa moniteur, c1989
- Architekten, Richard Meier / [Redaktionelle Bearbeitung, Klaus Offermann]. Stuttgart: IRB Verlag, 1988
- Richard Meier: architectural drawings = Architektur-Zeichnungen: 1971-1984 / foreword, Richard Meier ; Richard Meier, draftsman, [by] David Galloway.Cologne: Rudolf Kicken Galerie, 1985
- Richard Meier, architect / introduction by Joseph Rykwert.
- Zürich : Eidgenössische Technische Hochschule Zürich, Organisationsstelle für Architekturausstellungen, 1982

- Vaudou, Valérie. [Paris]: Electa Moniteur, c1986
- Richard Meier, buildings and projects 1965-1981: documantation [sic] on the occasion of the exhibition, Museum für Kunsthandwerk, Frankfurt am Main, competition project, 1980, synopsis of buildings and projects 1965-1981 at the Eidgenössische Technis
- Richard Meier, architect. Volume 3 / essays by Kenneth Frampton and Joseph Rykwert.New York: Rizzoli, 1998
- Richard Meier / Silvio Cassarà. Cassarà, Silvio. Barcelona: Gustavo Gili, 1997
- Richard Meier, Barcelona Museum of Contemporary Art / introduction by Dennis L. Dollens ; essay by Richard Meier; afterword by Federico Correa.New York: Monacelli Press, 1997
- Richard Meier, architect: buildings and projects, 1966-1976 / introd. by Kenneth Frampton; postscript by John Hejduk. New York: Oxford University Press, 1976
- Richard Meier in Europe/ editors: Ingeborg Flagge and Oliver Hamm. Berlin: Ernst & Sohn, 1997
- Richard Meier / edited and photographed by Yukio Futagawa; interview by Yoshio Futagawa. Tokyo: A.D.A. Edita, c1997
- City Hall / Library Complex by Richard Meier in The Hague = Stadhuis/Bibliotheek / Fred Feddes... [et al.]; photography, Michel Boesveld, Thijs Wolzak. Rotterdam: NAi Publishers; Den Haag: Gemeente, c1995
- Richard Meier : details / Werner Blaser; [translation English / German, Axel Haase; translation German/English, John Dennis Gartrell]. Basel; Boston: Birkhäuser Verlag, c1996
- Richard Meier houses, 1962/1997/ introduction by Paul Goldberger; essay by Richard Rogers. New York: Rizzoli International Publications, 1996
- New York: Rizzoli, c1984
- Richard Meier / Valérie Vaudou.

სტივენ ჰოლი

- Steven Holl / Simmons Hall: MIT undergraduate residence / Todd Gannon and Michael Denison, volume editors.New York: Princeton Architectural Press, c2004
- Steven Holl. Edited by Francesco Garofalo., Universe Publishing, New York, 2003
- Kenneth Frampton. Steven Holl Architect. / Electa Architecture, 2003
- Steven Holl: idea and phenomena. Baden, Switzerland: Lars Müller Publishing, 2002
- Steven Holl: Written in water. Switzerland: Lars Müller Publishing, 2002
- Steven Holl. Parallax. / Princeton Architectural Press, New York, 2000
- Steven Holl/edited and photographed by Yukio Futagawa; interview by Yoshio Futagawa. Holl, Steven. Tokyo: A.D.A. Edita, c1996
- Emilio Ambasz, Steven Holl: architecture. New York: Museum of Modern Art, c1989
- Steven Holl: color, light, time / Jordi Safont-Tria, Sanford Kwinter, Steven Holl. Zurich: Lars Müller, c2012
- Steven Holl architects selected works 2004/2008/ [publishers and editors, Fernando Márquez Cecilia, Richard Levene]. Madrid: El Cróquis, 2008
- Steven Holl, Catalogue. / Published by Artemis Verlags AG, Zurich, 1993 (Introduction by Kenneth Frampton)
- Steven Holl. Urbanisms Working with Doubt., Princeton Architectural Press, New York., 2009
- Steven Holl. House: Black Swan Theory. Princeton Architectural Press, New York, 2007
- Steven Holl. Experiments in Porosity. The 2005 Martell Lecture. School of Architecture and Planning, University at Buffalo, The State University of NY, 2005
- Bold Expansion. The Nelson – Atkins Museum of Art. Bloch building / The Nelson Atkins Museum of Art in association with Scale Publishers.,2007

პიტერ აიზენმანი

- Peter Eisenman: feints / edited by Silvio Cassarà.Milan: Skira, 2006
- Peter Eisenman: contropiede / a cura di Silvio Cassarà.Milano: Skira, c2005
- 7 Cities of Artificial Excavation. The work of Peter Eisenman, 1978-1988. Centre Canadian d'Architecture / Canadian Center for Architecture, Monreal. Rizzolo International Publications, 1994
- Peter Eisenman houses of cards / Peter Eisenman & Rosalind Krauss & Manfredo Tafuri
- Peter Eisenman: a dekonstruktivizmustól a foldingig / Kunszt György, Klein Rudolf = Peter Eisenman: from deconstruction to folding / Kunszt György, Klein Rudolf.Budapest: Akadémiai Kiadó, c1999
- Peter Eisenman & Frank Gehry
- International Architectural Exhibition (5th: 1991: Venice, Italy) New York: Rizzoli, c1991
- Peter Eisenman: recente projecten = recent projects / onder redactie van Arie Graafland ; met bijdragen van Peter Eisenman... [et al]
- Peter Eisenman: Guardiola House = Guardiola Haus: Ausstellung vom 16. Januar bis. 14. Februar 1989, Aedes Galerie für Architektur und Raum. Berlin : Die Galerie, 1989
- 18. Peter Eisenman / Daniela Brogi.Milano : Motta architettura, 2007
- 20. Peter Eisenman.Madrid: El Croquis Editorial, 1989
- 24. Tracing Eisenman: Peter Eisenman complete work / with essays by Stan Allen... [et al.]; edited by Cynthia Davidson. London: Thames & Hudson, 2006
- Architecture and psychoanalysis: Peter Eisenman and Jacques Lacan / Hendrix, John. New York: Peter Lang, c2006
- Re: Working Eisenman, Academy edditions: Ernst&Sons, 1993

დილერ სკოფიდიო + რენფრო

- Diller Scofidio + Renfro: architecture after images / Edward Dimendberg.Chicago: University of Chicago Press, 2013
- Diller + Scofidio (+ Renfro): the ciliary function: works and projects, 1979-2007 / Guido Incerti, Daria Ricchi, Deane Simpson. Incerti, Guido, Milano: Skira, 2007
- Diller + Scofidio: [Eyebeam Museum of New Media, the 2002 Charles and Ray Eames lecture] / essay by Keith Mitnick.: University of Michigan, Taubman College of Architecture and Urban Planning, 2004
- Arts of wonder : enchanting secularity: Walter de Maria, Diller + Scofidio, James Turrell, Andy Goldsworthy / Jeffrey L. Kosky. Chicago: The University of Chicago Press, 2013
- Blur: the making of nothing: Diller + Scofidio. New York: Harry N. Abrams, 2002
- Flesh: architectural probes / Elizabeth Diller and Ricardo Scofidio. The mutant body of architecture / Georges Teyssot. New York: Princeton Architectural Press, c1994
- Space: landscape urbanism strategies / [dirección / editors: Aurora Fernández Per, Javier Mozas]. Vitoria: A+T, 2011
- Designing the High Line: Gansevoort Street to 30th Street / Friends of the High Line, Field Operations, Diller Scofidio + Renfro.Friends of the High Line. New York: Friends of the High Line, c2008
- Blur: the making of nothing / by Elizabeth Diller and Ricardo Scofidio
- Diller, Elizabeth. New York; London: Harry N. Abrams, 2002
- Scanning / The aberrant architecture of Diller + Scofidio. Whitney Museum of Art, New York, 2003
- Aberrant architectures? [videorecording]: Diller & Scofidio at the Whitney Museum / producer and director, Michael Blackwood.New York, NY]: Michael Blackwood Productions; [distributed by] Insight Media, c2006

ფრენკ გერი

- Frank O. Gehry, projets en Europe
- Gehry, Frank O., 1929
- Paris : Éditions du Centre Pompidou, c1991
- Architects – Frank O. Gehry / [editor Ulrike Stark].Stuttgart : IRB Verlag, 1990
- Frank Gehry: Vitra Design Museum / by Olivier Boissière and Martin Filler; with photographs by Richard Bryant; [translation into English by Michael Robinson]. Boissière, Olivier. London : Thames and Hudson, c1990
- Pritzker Architecture Prize 1989, presented to Frank Owen Gehry / sponsored by the Hyatt Foundation
- Gehry, Frank O., Los Angeles: The Foundation, c1990
- Frank O. Gehry, Design Museum Vitra: Ausstellung vom 19. Juli bis 17. August 1989: Aedes Galerie für Architektur.Gehry, Frank O., Berlin: Die Galerie, c1989
- Frank O. Gehry special / Luciano Rubino. Rubino, Luciano. Roma : Kappa, c1984
- Architecture of Frank Gehry / foreword by Henry N. Cobb ; essays by Rosemarie Haag Bletter... [et al.]; commentaries by Frank Gehry
- Minneapolis: Walker Art Center: New York: Rizzoli, c1986
- Frank Gehry, buildings and projects / compiled and edited by Peter Arnell and Ted Bickford; essay by Germano Celant; text by Mason Andrews; recent work photographed by Tim Street-Porter.Gehry, Frank O., 1929- New York: Rizzoli, 1985
- Frank O. Gehry – Kurt W. Forster / edited by Cristina Bechtler in collaboration with Kunsthaus Bregenz
- Frank O. Gehry: the complete works / Francesco Dal Co, Kurt W. Forster; building descriptions by Hadley Arnold
- Dal Co, Francesco, New York: Monacelli Press, 1998
- Gehry, Frank O., 1929–Ostfildern–R.: Cantz, 1999
- Frank O. Gehry: Guggenheim Bilbao Museoa / text, Kurt W. Forster; photographs, Ralph Richter.Forster, Kurt Walter
- Stuttgart; London: Edition Axel Menges, c1998
- Frank O. Gehry: DG Bank: Pariser Platz 3: Proze eines Entwurfs = Development of a design / Frank O. Gehry. Berlin: Aedes Galerie East und Architekturforum, 1997
- Frank O. Gehry, Guggenheim Museum Bilbao / by Coosje van Bruggen.Bruggen, Coosje van. New York: H.N. Abrams, 1998

მორფოზისი

- Morphosis / [editor, Toshio Nakamura].Tokyo, Japan: A + U Pub., 1994
- Ayyuce, „Orhan" „Thom Mayne ın Coffee Break" - *Archinect* (July, 2007)
- Orlandoni, „Alessandra" „Interview with Thom Mayne" – *The Plan 014* (May 2006)--Morphosis: continuities of the incomplete : exposition présentée au Centre Pompidou, galerie 1B, du 8 mars au 17 juillet 2006, puis au Museum of Contemporary Art de Los Angeles du 1er avril au 2 juillet 2007 / sous la direction de Frédéric Migayr. Paris: Centre Pompidou : Adagp, c2006
- Morphosis / Thom Mayne; commentary by Val K. Warke
- Morphosis/Diamond Ranch High School / [interviewed by Jeffrey Kipnis and Todd Gannon]. New York: Monacelli Press, 2000
- Morphosis: buildings and projects, 1993-1997 / essays by Thom Mayne, Tony Robins, Anthony Vidler.Mayne, Thom. New York : Rizzoli, 1999
- Morphosis / edited and photographed by Yukio Futagawa; interview by Yoshio Futagawa. Mayne, Thom. Tokyo: A.D.A. Edita, c1997
- Mayne, Thom. London: Phaidon, 2002

- Morphosis: buildings and projects, 1989-1992 / introduction [essay] by Richard Weinstein.New York: Rizzoli, 1994. Call Number: AA685 M84
- Bio-morphosis. Basel, Karger, 1938- Morphosis: connected isolation / [Thom Mayne]
- London: Academy Editions; [Berlin]: Ernst & Sohn; New York, N.Y.: Distributed in the US by St. Martin's, 1993, c1992
- Morphosis: buildings and projects / essays by Peter Cook, George Rand
- Cook, Peter, 1936- New York: Rizzoli, 1989
- Morphosis: recent project / [edited by Yukio Futagawa]. Tokyo : A.D.A. EDITA, c2010
- GSA/Morphosis / Arup: San Francisco Federal building / [editor, Brian Carter]. Buffalo, NY: School of Architecture and Planning, University of Buffalo, The State University of New York, c2008
- Morphosis buildings & projects, 1999-2008. Morphosis Architects. New York: Rizzoli, 2009, c2008
- Combinatory urbanism: the complex behavior of collective form / [Thom Mayne, Stan Allen; project credits, architecture and urban design, Morphosis; design director, Thom Mayne]. Mayne, Thom. Culver City, CA: Stray Dog Café, c2011
- Continuity of contradiction / Thom Mayne
- Mayne, Thom. Buffalo, NY: School of Architecture and Planning, 2010

ბრიჯიტ შიმი და ჰოვარდ სატკლიფი

- Integral House: Shim-Sutcliffe: the 2006 Martell lecture. Shim, Brigitte, 1958 – Buffalo, NY: School of Architecture and Planning, [University at Buffalo, State University of New York], c2006.
- Shim / Sutcliffe. Shim, Brigitte, 1958 – Ann Arbor, Mich.: A. Alfred Taubman College of Architecture + Urban Planning, c2002

თოდ უილიამსი და ბილი ჩენი

- **Art and use** // Tod Williams, Billie Tsien./Buffalo, NY: School of Architecture and Planning, University of Buffalo, The State University of New York, c2007
- Matter: the work of Tod Williams and Billie Tsien: February 17-May 7, 2003: Yale University, School of Architecture Gallery
- Tod Williams Billie Tsien: the 1998 Charles & Ray Eames lecture. / Ann Arbor, Mich., USA: College of Architecture + Urban Planning, the University of Michigan, c1998
- Work Life. Tod Williams Billia Tsien, The Monacelli Press, 2000
- Tod Williams Billie Tsien and Associates.New York, N.Y.: Tod Williams Billie Tsien and Associates, 1993-1998
- Tod Williams Billie Tsien and Associates – an annotated bibliography / Douglas Heller
- Williams, Tod, New Haven, Conn.: Yale School of Architecture, c 2003
- Architecture of the Barnes Foundation: gallery in a garden, garden in a gallery / Tod Williams, Billie Tsien
- Williams, Tod, New York: Skira Rizzoli Publications; Philadelphia: In association with the Barnes Foundation, 2012
- Young architects 4: material process / foreword [by] Billie Tsien and Tod Williams; introduction [by] Anne Rieselbach.New York: Princeton Architectural Press Architectural League of New York: 2003
- Williams, Tod ,New York: Monacelli Press, 2000
- Contemporary curtain wall architecture [electronic resource] / Scott Murray.Murray, Scott, New York: Princeton Architectural Press, c2009
- Imagining the future of the Museum of Modern Art.Museum of Modern Art (New York, N.Y.) New York: Museum of Modern Art: Distributed by H.N. Abrams, c1998

- Liquid stone: new architecture in concrete / Jean-Louis Cohen and G. Martin Moeller, Jr., editors.New York, N.Y.: Princeton Architectural Press, c2006

ჯონ და პატრიცია პატკაუები

- Patkau Architects / Kenneth Frampton. New York: Monacelli Press, 2006
- Patkau Architects: investigations into the particular
- Patkau, John. Ann Arbor, MI.: University of Michigan, College of Architecture + Urban Planning, c1995
- Patkau Architects / introducción, Andrew Gruft. Barcelona: Gustavo Gili, 1997
- Reciprocity, Patkau +16 = Réciprocité, Patkau +16 = Reciprocitá, Patkau +16. Montréal: Centre canadien d'architecture/Canadian Centre for Architecture, c1996
- Patkau Architects: selected projects, 1983-1993 / [editor, Brian Carter]. Halifax, N.S.: TUNS Press, c1994
- Patkau Architects: projects, 1978-1990. [Vancouver]: Fine Arts Gallery, University of British Columbia, 1990
- Five North American architects: an anthology / by Kenneth Frampton.
- Frampton, Kenneth. Zurich: Lars Müller Publishers, c2012
- Twelve modern houses, 1945-1985: from the collections of the Canadian Architectural Archives / Graham Livesey, Michael McMordie, Geoffrey Simmins. University of Calgary. Canadian Architectural Archives
- Calgary, Alta.: Aris Press: University of Calgary Press, 1995
- Inside outside: between architecture and landscape / Anita Berrizbeitia and Linda Pollak

სტენლი საიტოვიცი

- Stanley Saitowitz / postscript by Lars Lerup. Saitowitz, Stanley, 1949-Houston, Tex.: Rice University School of Architecture, c1994
- Stanley Saitowitz/Natoma Architects, Inc.: buildings and projects / principal photography by Richard Barnes and Tim Griffith.
- New York: Monacelli Press, 2005
- Stanley Saitowitz: a house in the Transvaal / edited by George Wagner; with essays by George Wagner... [et al.]
- New York, N.Y.: Princeton Architectural Press; Cambridge, Mass.: Harvard University Graduate School of Design, c1995
- American Playgrounds [electronic resource]: Revitalizing Community Space. Solomon, Susan G. Lebanon: University Press of New England Aug. 2005
- New modernists [videorecording]: nine American architects / produced by Michael Blackwood Productions in association with Saarländischer Rundfunk; writer, Kenneth Frampton; producer/director, Michael Blackwood.Northvale, NJ: Audio Plus Video International [distributor, 2003], c1993
- Durbach Block: the luminous space of abstraction / [Harry Margalit, Philip Goad; introduction by Stanley Saitowitz]. Sydney, Australia: Pesaro Publishing, 1999
- Detail in contemporary bar and restaurant design / Drew Plunkett and Olga Reid.Plunkett, Drew. London: Laurence King Pub 2013, c2012
- Liquid stone: new architecture in concrete / Jean-Louis Cohen and G. Martin Moeller, Jr., editors.New York, N.Y.: Princeton Architectural Press, c2006
- Creating the new American town house / Alexander Gorlin. Gorlin, Alexander. New York: Rizzoli, 2005

მადლიერებით მინდა მოვიხსენიო
ამერიკის საელჩო საქართველოში,

კენეტ ფრემპტონი, მარკ უიგლი, პიტერ აიზენმანი,
სტივენ ჰოლი, რონი ატვუდი, რიჩარდ მაიერი,
ბერნჰარდ კარპფი, ედგარ ალმაგუერი,
თოდ უილიამსი და ბილი ჩენი, ბერტა აგილეირა-გერი,
ჯონ და პატრიცია პატკაუები, ბრიჯიტ შიმი, სკოტ ლი,
ნელი და ბობ გიბსონები, კრისტინ ალენი,

ნელსონ ატკინსის მუზეუმი,

კოლუმბიის უნივერსიტეტის
ეივერის ბიბლიოთეკის არქივარიუსი
უანეტ სილვერსტოუნი,

პენსილვანიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა
და არქივის დირექტორი
ჯულია მური,

დალი გვენცაძე, გეგა პაქსაშვილი,
იუზა ხუსკივაძე, ია ჯაყელი,
ქეთი მსხილაძე, ნანა ჯოხარიძე...

და ყველა ის ადამიანი, რომლებიც სხვადასხვა დროს
ამ წიგნზე მუშაობისას დამეხმარნენ.